

№11 (358), 25 ოქტომბერი – 28 ნოემბერი, 2018

ქართული ქართული

მართლმადიდებლური ჟურნალი ფასი 1 ლარი

„ქარიბჭის“
ამ ნომერთან ერთად!

გაგზური სიკეთის სამყაროში

შვილებთან
ერთად საკითხავი
წიგნები

ტომი 9

წიგნის ფასი 4 ლარი
ქონალთან ერთად 5 ლარი



**წმიდა
ნიკოლოზ სერბი**
უფალო,
სინარულო ჩემო

**ქრისტინაული
ოჯახი**
ვაბივი-ვმ მამსა შენსა
ლა დელსა შენსა

**დეკანოზი
შიო პაიჭაძე**
მსუბუქი ნარკობიანის
მოსმარების
ლაგალიზება
ერთგვარი ზბილის
მოსინძვანა...

აგბიონი
სულიერ ბრძოლაში
გამარჯვება გმირობის
ბოლფასია

**შურნაღვი
სარუქარია**
2019 წლის
სააკლანო
კალენდარი



ქართული მეფეები

კათრონი და მსახური ქვეყნისანი




24
თვედ
მეგობარი ყლით

სპეციალური ფასი 5.50 ლ
გაზეთთან ერთად 7 ლ

უკვე გამოვიდა:



შემდეგი:



თომი 12

გაზეთ „კვირის კადრებსა“ ერთად ისტორია, რომელიც ძვირფასია! **გამოდის თვეში ერთხელ**

იკითხეთ წიგნის მალაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.

სარჩივი

იყავ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი!----- 4

უფალო, სიხარულო ჩემო ----- 7

წმინდა ნინოს ნატერფალზე ფეხაკრეფით უნდა დადიოდეთ
და ჩურჩულებდეთო...----- 9

პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა... ----- 12

აქ მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარების ლეგალიზება
ერთგვარი კბილის მოსინჯვაა... ----- 14

სულიერ ბრძოლაში გამარჯვება გმირობის ტოლფასია ----- 16

აი, იხილე ის, რაც გინდოდა, გიხაროდენ! -----18

თავკვეთულას მონასტერში ერთი ბერის აღვლენილი ლოცვა --- 19

ეს ზღაპარი გაქრა, რადგან სინამდვილეში ომი არის
განსაწმენდელი ----- 20

წმინდანები გასცემდნენ სისხლს და მიიღებდნენ სულს...----- 24

მოდიოდა ასკეტი იაკობი, ფეხშიშველი, თმაგაჩეჩილი,
დაკემსილ-დაკერილი კაბით ----- 26

ანგელოზები, როგორც ქმნილებები, შემქმნელები არ არიან ----- 28

მას ავადმყოფები უყვარდა და არასოდეს ჩქარობდა მათგან
განშორებას ----- 30

მარიხუანა გზაა უფრო ძლიერმოქმედ ნარკოტიკებზე
გადასასვლელად ----- 32

რამდენი დაფარული მონა ჰყავს ქრისტეს ამ ტყეში! ----- 35

ჩვენ სამეფო გაგვიუქმა დამპყრობელმა რუსეთმა – უნდა
აღვადგინოთ, რაც წაგვართვეს!----- 37

მოძღვრის როლი ქრისტიანის ცხოვრებაში ----- 39


„ცხოვრებაში დიდი სასოება გქონდეთ ყოვლადწმინდა
ღვთისმშობლისა და ის აუცილებლად მიგიყვანთ
თავის ძესთან“----- 41

„ვინც ამ პურს შეჭამს, უკუნისამდე იცოცხლებს“ ----- 43

ადამიანის გონი უსხეულო ავლადიდება ----- 45

წითელუბანი ----- 47

აი, რას აძლევს ქმნილებას ღმერთის განდიდება -----49



განა შეიძლება
დღე ეწოდოს ჟამს,
თითქოსდა კარით
შემოსაზღვრულს
– დღითა და
ღამით?

33. 7



თქვენ გინდათ, რომ მე ეპისკოპოსის საწოლზე
დაწვე? გამოიცხულია! მე, არაღირსი მიწისა
და ცისა, მონასტერში კურთხევისათვის მოვედი,
და არა თავის დასაწყველად.

33. 30



დავიღვართ
ტაძრებში, ვინანიე-
ბთ ცოლვებს,
ვაბარებთ აღსარე-
ბას. იმისთვის, რომ
ხალხმა თქვას –
ნახეთ, რა ეკლესი-
ური და მორწმუნე
ადამიანია, რწყილს
ფეხს არ დაადგამ-
სო...

33. 49

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი:
219-60-13; 219-60-53

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49.

ტელ.: 238-74-44; 599 24-06-83

გამოწერა: ტელ.: 238-26-73

გაპრეტყველების სამსახური:
ტელ.: 595 70-90-80 გიორგი

E-mail: karibche@list. ru
karibche@palitra. ge



დაიბეჭდა სტამბა კოლორში

ბთხოვთ, შურნალს, მასში
გამოქვეყნებული მასალებისა
და სტამბის გამო, ფრთხილად
მივაყვროთ

ISSN 1987-5045 „ქარიბჭე“

კონსულტანტი: ლეკანოზი ლევან მათეშვილი –
პროფესორი, ისტორიისა და თეოლოგიის დოქტორი

მთავარი რედაქტორი: **თამარ მამაცაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე: **მანანა ჯანელიძე**
სტილისტი: **სალომე ნიკოლეიშვილი**
კორექტორი: **სოფიო ჯაფარიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირა ჯახაია,**
თამარ არაბული, რეზო თხილიშვილი

შემაჯავებელი უფლის წინაშე

იყავ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი!

ნოემბერში მართლმადიდებელი ეკლესია ორ დიდ დღესასწაულს აღნიშნავს: 21 ნოემბერს – წმინდა მთავარანგელოზი მიქაელისა და სხვა უხორცო ძალთა კრების დღეს და 23 ნოემბერს – წმინდა დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამებას.

როგორ გამოვლინდა წმინდა მიქაელ მთავარანგელოზისა და დიდმოწამე გიორგის მფარველობა საქართველოს ისტორიაში, გვესაუბრება ბერი სვიმეონ ჯონსაძე.

როგორ შეენიშნა მიქაელისა და გიორგის მფარველობა საქართველოს ისტორიაში

წმინდა კეთილშესახური მეფის, თამარის ურიცხვი გამარჯვებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავი ბასიანის ბრძოლაში მოპოვებული ბრწყინვალე ძღვევა.

თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი საქართველოსკენ დაიძრა. რუმის სულთანი რუქნადინი დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა. ეგონა, ქართველთა მცირე მხედრობა მასთან შებმას ვერ გაბედავდა და თავდაცვას მიმართავდა. ცხადია, ასე არ მოხდა. ქართველი ერთი ბრძოლის სამზადისს შეუდგა.

რუქნადინს ელჩის ხელით თამარის წერილი მიუტანეს: „შენ ოქროსა მევირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯვარსა წმიდასა, რომელი შენ ჰგმე. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობაი ჩემი წინამოგებებად შენდა. იყავ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი!“

შეტევაზე ქართველები გადავიდნენ. რუქნადინს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ამას გაბედავდნენ და თქვა, – მტერი თავისი ფეხით მოდის, რათა ჩემს მახვილზე წამოეგოსო.

ქართველებმა საბრძოლო პოზიციები დაიკავეს. დაინახეს თუ არა ქართველთა მოიერიშე მხედრობა, რუქნადინის მოლაშქრეებმა „დააგდეს სადგომი მათი, და სიმაგრეთა მიმართეს, რამეთუ მიავლინა

მათ ზედა ღმერთმან შიში დიდი“. ქართველები დაეღვენენ და გარემოიკვეს მტერი. „იქნა ომი ფიცხელი და ძლიერი“, რომელიც დიდხანს გაგრძელდებოდა. დანაკარგი ორივე მხრივ დიდი იყო, მაგრამ „უმეტეს სულტნისა სპანი მოისვროდეს“.

ხანგრძლივ ბრძოლაში ცხენები დაუხორცეს ივანე მხარგრძელს, ზაქარია გაგელს, შადვა და ივანე ახალციხელებს „და სხუათა მრავალთა თავადთა“.

შეუცვივდეს ურიცხვთა მათ სპათა სულტნისათა... სცეს რისხვა ღვთისა, განხეთქნეს რაზმნი მათნი და ივლტოდნენ სულტანისანი“.

ამით ისარგებლეს ქვეითად მებრძოლმა ქართველებმა, ამხედრდნენ და გაქცეულ მტერს დაედევნენ. „ჰხოცდეს, ჩამოჰყრიდეს და იპყრობდეს“. ამ შენლა-შემოხლაში თურქ-სელჩუკნი „ურთიერთას დასორგუნვიდეს“.

გამარჯვებულმა ქართველებმა თამართან ერთად მადლობა შესწირეს ღმერთს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანის“ ავტორი ამბობს: „განკვირვებულ ვარ, თუ ვითარითა წყალობითა მოხელა სამკვიდრებელსა თვისსა ღმერთმან და ვარძიისა ღვთისმშობელმან, ვითარ უვნებლად დაიცვა მის წინაშე და მისი შევედრებული ერთი ქართველთა“.

ამ ძღვევამოსილი გამარჯვების შემდეგ დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამეფოს თბილისი შემოუერთა და საგახგო ქალაქი ქუთაისიდან კვლავ თბილისში გადმოიგანა. „და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“. ეს იყო 1122 წელს.

როგორც კი მოლაშქრეებმა ქვეითად მებრძოლი „თვის-თვისნი პატრონი“ იხილეს, ყველანი ჩამოქვეითდნენ და მათ მხარდამხარ ეკვეთნენ მტერს.

დავით სოსლანმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: თურქ-სელჩუკთა პირისპირ ჩამოქვეითებული რაზმები დატოვა, ცხენოსანი მოლაშქრეები კი მტრის ფრთებზე გადააჯგუფა. მარცხენა ფრთას თვითონ ჩაუდგა სათავეში, მარჯვენაზე ზაქარია მხარგრძელი განაწესა. ერთდროულად შეუტყის მტერს. „ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ

ცხადია, ბასიანის ბრძოლაში გამარჯვებას მხოლოდ ქართველთა სამხედრო ძლიერება არ განაპირობებდა. „უკუეთუ უფალმან არ აღაშენა სახლი, ცუდად შერებიან მამენებელნი მისნი. უკუეთუ უფალმან არ დაიცვა ქალაქი, ცუდად იღვიძებენ მხუმილავნი მისნი“, – კვითხულობთ ფსალმუნში. ღმერთი გვწყალობდა. ყოვლისმპყრობელი და ყოვლისშემძლე უფლის ზრუნვა სასწაულებით გამოვლინდა.

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: ბრძოლისას ქართველებს ძალზე გას-

ჭირვებით. მაშინ ევლოგი სალოსს, „წინაშე თამარისა მწირველს“, სამეზის აღუპყრია ხელი ზეცად და მიწაზე დამხოხობილა. შემდეგ ისევ აღმართულა და ღვთისთვის მადლობა შეუწირავს. როდესაც ამგვარი საქციელის მიზეზი უკითხავთ, უპასუხია: „რაჟამს დავეცემოდი, ენინლა მიდრკენდა სპანი ჩვენნი, ხოლო აღვხლტი რა, მოსცა ღმერთმან ძლევა სპათა ჩვენთა“.

წმინდა მეფე თამარის სახელს კიდევ ერთი სასწაული უკავშირდება. ერთ-ერთი დატყვევებული სულთანი თამარს თავისთან უხმია, ის კი მის ფერხთით დაცემულა – გველივით იკლაკნებოდა და ხმას ვეღარ იღებდა. გონს რომ მოსულა, უთქვამს: „რომელი არს თავსა ზედა თამარისასა, მან ჰყო ძლევა ესე ჩვენ ზედა და აწცა შევწინდი მის მიერო“. შემატანე დასძენს: „ხოლო ჟამსა მას იყო ხატი მთავარანგელოზისა მიქაელისა თავსა თამარისასა მკიდარე“.

ასე შეიტყვეს ქართველებმა, რომ ფიცხელ ბრძოლაში მთავარანგელოზი მიქაელი შესწევიათ. მართალია, თავად ვერ ხედავდნენ განცხადებულად, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი ხილვით ზარდაცემული მტერი შედრკა და დაუძღურდა.

სასწაული ღვთის განგების იარაღია, რომლითაც კიდევ უფრო ნათელი ხდება ის მარადიული და ურყევი ჭეშმარიტება, რომ უფალი ზრუნავს, „უფალი მეფობს“, „უფალმან ძალი ერსა თვისსა



მამა სვიმეონი

მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“.

როგორ შეინაოდათ ქართველ მამოძრებებს წმიდა ღმერთნამე ბიორბი ღმერთორის ბრძოლა

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ საქართველოდან განდევნილმა თურქ-სელჩუკებმა და

თბილისის, დმანისის და განძის მმართველებმა სხვა მუსლიმან მფლობელებს სთხოვეს დახმარება. მუსლიმანთა გაერთიანებული ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის წამომწყები და ხელმძღვანელი იყო ერაციის სელჩუკიანთა გამგებელი სულთანი მაჰმუდ მოჰამედის ძე. მან მუსლიმანებს მიმართა: „სადაღაცა ვინ იყო, დამასკო და ჰალაბიდან ამომართ, ყოველსა მხედრობად შემძლებელსა, ამათ



ვიკითხოთ წმინდა სახარება!

ლუკა 8,40-56

- 40. მოხდა ისე, რომ იესოს დაბრუნებისთანავე მიიღო იგი ხალხმა, ვინაიდან ყველანი ელოდნენ მას.
- 41 და ამა, მოვიდა ერთი კაცი, სახელად იაიროს, სინაგოგის წინამძღვარი, ფეხქვეშ ჩაუვარდა იესოს და სთხოვა, სახლში წამომყევიო.
- 42. რადგანაც ერთადერთი ასული ჰყავდათ, თორმეტი წლისა, და ისიც უკვდებოდა. წაჰყვა და ხალხი ზედ აწყდებოდა მიმავალს.
- 43. ერთმა ქალმა, რომელიც თორმეტ წელიწადს სისხლის დენით იტანჯებოდა და ექიმებისთვის გადაეცო მთელი თავისი საბადებელი, მაგრამ ვერავის განკურნა,
- 44. უჩინდნ მოუარა, მისი სამოსის კალთას შეეხო და მაშინვე შეუწყდა სისხლის დენა.
- 45. და თქვა იესომ: ვილაცა შეეხო მე; მაგრამ რაკი ყველამ უარყო, პეტრემ და მისმა თანამდგომებმა უთხრეს: მოძღვარო, ხალხი გაწყდება და გავიწროებს, შენ კი ამბობ, ვინ შეეხოთ?
- 46. მაგრამ იესომ თქვა: ვილაცა შეეხო მე, რადგანაც ვიგრძენი, რომ ძალა გავიდა ჩემგან.
- 47. რაკი მიხვდა ქალი, რომ ვერ დაიმალა, კანკალით მიუახ-

- ლოვდა, ფეხქვეშ ჩაუვარდა და მთელი ხალხის წინაშე აღიარა, რატომ შეეხო და რა უცებ განიკურნა.
- 48. ხოლო იესომ უთხრა მას: მხედ იყავ, ასულო, შენმა რწმენამ ვიძინა: წადი მშვიდობით.
- 49. ამას რომ ამბობდა, ერთი კაცი მოვიდა და სინაგოგის წინამძღვარს უთხრა: შენი ასული მოკვდა; ნუღარ აწუხებ მოძღვარს.
- 50. მაგრამ იესომ, ეს რომ გაიგონა, უთხრა: ნუ გეშინია, შენ მხოლოდ გწამდეს და ვადარჩება.
- 51. ხოლო სახლში მისვლისას არავის დაანება მასთან ერთად შესულა, პეტრეს, იაკობის, იოანესა და ბავშვის დედ-მამის გარდა.
- 52. ყველანი ტიროდნენ და მოთქვამდნენ; ხოლო მან თქვა: ნუ ტირით, კი არ მომკვდარა, არამედ სძინავს.
- 53. ისინი კი დასცინოდნენ მას, რადგანაც იცოდნენ, რომ მოკვდა.
- 54. ხოლო მან ხელი მოჰკიდა გოგონას, შეჰლაღადა და თქვა: პატარავ, აღდეგ;
- 55. მოიქცა მისი სული და მაშინვე აღდგა. ხოლო მან ბრძანა, საჭმელი მიეცათ მისთვის.
- 56. მშობლები გაოგნებულნი იყვნენ. ხოლო იესომ უბრძანა მათ, არავისთვის ეთქვათ, რაც მოხდა.

თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხითისა ამირათა“; მონაწილეობა მიეღოთ საქართველოსთან ომში. კოალიციურ ლაშქარს სულთნის სახელით სათავეში ჩაუდგა ანტიკავაროსნული ომის მთავარსარდალი ილღაზი, კაცი „მოხერხებული და მრავალღონე“. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, თურქ-სელჩუკთა კოალი-

მთავარმოწამისა გიორგისსა, და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯვეთ და განკრძალულად სდევნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა“... ხოლო ჩვენი ჯარი და სამეფო ოქროთი და ვერცხლით აივსო: „რაოდენ ქარ-

ნაქერალის მთაზე შეგროვდებოდნენ. ბიძინა ჩოლოყაშვილმა, რომელიც აჯანყების მოთავე იყო, ქსნისა და არაგვის ერისთავებს უთხრა: „ძებო, ეს ჭირი, რომელიც კახეთზე მოიწია, თქვენამდეც მოაღწევს. ავღვეთ და გავწყვიტოთ მტერი, სანამ უფრო გამრავლებულა და ძირი გაუდგამს კახეთში. თითქოს შეუძლებელი ჩანს მტრის დამარცხება, მაგრამ უფალი ჩვენთანაა, წმინდა გიორგი თავისი ტაძრის (ალავერდის) შერყენისათვის თვითონ მიაგებს უსჯულოთ. ინებოს ღმერთმა, ვძლიოთ, თუ არადა, დავსდვათ სული ჩვენი უფლისთვის და მათა ჩვენათვის. იყავს სახელი უფლისა კურთხეულ უკუნისამდე“. ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავებმა „დიდითა გულსმოდგინებითა მორთეს ძალი, რაისაცა შემძლებელ იყვნეს სპითა თვისითა. მოვიდნენ თიანეთს, იხმეს თუმ-ფშავ-ხევსურნი, ერთ ბნელსა და უმთვარო ღამეს გარდავლეს მთა და ჩავიდნენ ახმეტას“. ქართველთა ლაშქარი ორად გაიყო, ერთი ბასტრიონის ასაღებად გაემზავრა, მეორემ ალავერდს მიამურა. მტერს ძალები ძირითადად აქ ჰყავდა გამაგრებული. ილოცეს ქართველებმა და საომრად მოემზადნენ. ბრძოლა ღამით, მტრისთვის ძოულოდნელად მოხდა: „წარვიდეს ღამესა ერთსა, დაესხნენ თავსა სულთანსა ბასტრიონის და ამოსწყვიტეს და მოსრნეს ბასტრიონის ციხეში მღვდონი... მიჰყვნენ იქიდანვე სოცითა, ჩავიდნენ ალავერდს და, რომელნიცა მუნ იყვნენ, ყოველი მოსრეს პირითა მხვილისათა... და რომელნიმე ივლტოდეს. წარვიდეს და განაძეს“. ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში მკირე ცნობება შემონახული ამ ბრძოლების შესახებ, ზეპირსიტყვიერებაში კი მდიდარი მასალაა დაცული.

ქართველებმა პაგიოსანი ჯვრის ძალით და წმინდა გიორგის წინამძღოლობით აოტეს და განაბნიეს მტერი. „კახეთში თათარნი აღარსად იპოებოდნენ“. ამბობენ, რომ ცხადად ხედავდნენ ამ ბრძოლაში წმინდა გიორგის „ელვის სახედ მიმსრბოლს წინა მავლად მათდა“.

ციური ჯარი 300000 მეომრისგან შედგებოდა (ფრანგი გოტიე 600000-ს ასახელებს) და ბევრად აღემატებოდა საქართველოს ლაშქარს. ერთ-ერთი ცნობით, ქართველთა ლაშქარში შედიოდა 40000 ქართველი, 15000 ყივჩაღი, 500 აღანი და 100 ფრანგი მეომარი. 1121 წლის აგვისტოს დასაწყისში მუსლიმანთა ლაშქარი თრიალეთ-მანგლისსა და დიდგორში განლაგდა და ხელი იღო ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული მისაღვოში. დავით აღმაშენებლის სარდლობით საქართველოს ლაშქარი დიდგორის ველს ნიჩბისის ხევიდან მოუახლოვდა. „ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შევნიერად და ღონიერად ყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თვისნი სპანი დაიცვნა უვნებლად, – ამათ ყოველთათვის არა ჩვენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედმიწევნით ყოველსავე“, – ბრძანებს მემატანე.

ტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად?!“ ამ ძლევაშილი გამარჯვების შემდეგ დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამეფოს თბილისი შემოუერთა და სატახტო ქალაქი ქუთაისიდან კვლავ თბილისში გადმოიტანა. „და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“. ეს იყო 1122 წელს.

ბასტრიონის ბრძოლა

ისტორიკოსი ბერი ევნატაშვილი წერს: „მამან უსჯულოთა აგარიანთა მიიმძლავრეს სრულიად კახეთი და მრავალს ბოროტსა უყოფდნენ მკვიდრთა კახეთისათა, მოაზრეს და განრყუნეს წმიდანი ეკლესიანი“. ჩამოსახლებულმა თურქმანთა ურდოებმა (80 ათასმა სახლმა – როგორც ბრძანებს მემატანე) მთელი კახეთის ბარი დაიჭირეს. სულიერმა უკუნმა მოიცვა კახეთი. ალავერდის ტაძარში მწუხრ-ცისკრის ნაცვლად ნამაზი აღესრულებოდა. ქართველებს ბარში აღარ დაედგომებოდათ და მთებში ივლტოდნენ. ქრისტეს სახელს ბარში აღარავინ ახსენებდა. ყოველ დილით მუქმინის ყვირილი აღვიძებდა კახეთს.

ამ ბრძოლაში არნახულად გამოვლინდა უხილავი მფარველი ძალის მონაწილეობა: „რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ხელი მალისა შეეწოდა და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედამოწვევულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვით იგი უსჯულონი და უმეტარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას

ამ ამბებით შეწუხებულმა ზაალ ერისთავმა „შემოიფიცა ქსნის ერისთავი შალვა და ელიზბარ და კახი სუფრაჯი (სუფრის ზედამხედველი) ბიძინა ჩოლოყაშვილი. და შემოიფიცეს მთის კაცნი თუშნი“. „ან შურისძიება, ან სიკვდილი“, – შესძახეს თუშებმა და კაცები გაგზავნეს ფშავ-ხევსურეთში, იწყეს მზადება სალაშქროდ. გადაწყდა, რომ ხევსურნი არდოტის ზევით, მთაზე შეიყრებოდნენ, ფშაველები ლაშქარს ჯვარში შეუერთდებოდნენ და ერთად წამოვიდოდნენ პანკისის ხეობაზე, თუშნი კი

ქართველებმა პატიოსანი ჯვრის ძალით და წმინდა გიორგის წინამძღოლობით აოტეს და განაბნიეს მტერი. „კახეთში თათარნი აღარსად იპოებოდნენ“. ამბობენ, რომ ცხადად ხედავდნენ ამ ბრძოლაში წმინდა გიორგის „ელვის სახედ მიმსრბოლს წინა მავლად მათდა“.

საკვირველი იყო ეს გამარჯვება. მან იმედი ჩაუსასა ქართველებს და ერთად ყოფნის აუცილებლობაში კვლავ დაარწმუნა; რომ არა ეს ბრძოლა, კახეთი ახლა დაკარგული გვექნებოდა.

ამ გამარჯვებით უსჯულოთაგან განიწმინდა კახეთი, რითაც სპარსთა ბატონობას საფუძველი შეერყა.

ლელა ჩხარტიშვილი

წმინდა ნიკოლოზ სერბი

უფალო, სისხარულო ჩემო

წმინდა მღვდელმთავრის, ნიკოლოზ სერბის (მელიმროვიჩი) შემოქმედებას გამორჩეული ადგილი უჭირავს მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაში. განსაკუთრებით პოპულარულია მისი ტრილოგია „ლოცვები ტბასთან“, „ფიქრები სიკეთესა და ბოროტებაზე“, და „ქადაგებანი მთის ძირას“, სამივე უაღრესად პოეტური სულისკვეთებისა და ერთგვარი აღსარებაა მორწმუნე სულისა, რომელსაც ამქვეყნიური ცხოვრების საზრისად ღმერთთან ერთობის მიღწევა დაუსახავს. მეტიც, როგორც მართებულად აღნიშნავენ, ყოველმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ნიკოლოზ ველიმროვიჩს შესაძლებლობა ჰქონდა, სულიერი და ლიტერატურული სფეროს ნებისმიერი მწვერვალისათვის მიეღწია, რომელსაც კი შეეხებოდა, ყველგან და ყველაფერში იგი პირველი ან პირველთა შორის იყო როგორც მქადაგებელი, და პოეტი, არანაკლები, როგორც მისიონერი, მოაზროვნე და წინასწარმეტყველი.

ნუ მიყურებთ, არამედ უმზირეთ და დაინახეთ, სად არის თქვენი სამშობლო.

რისთვის უნდა მიყუროთ მე – თქვენი განდევნის სახეს? თქვენი მსწრაფლ-წარმავლობისა და დროებითობის გამოსახულებას?

უფალო, ჩემო მშვენიერო სასყიდლო, სერაფიმთა ოქროცურვილით მოარსიებული, ქვრივივით მომაბურე შენი საფარველი და შეაგროვე მასში ჩემი ცრემლები, რომელშიც ყველა შენი ქმნილების მწუხარება დულს.

ლოცვები ტბასთან

უფალო, ჩემო მშვენიერო საფარველო, წარხოცე ცრემლნი ჩემნი.

ვინ მიჭვრეტს ასე დაჟინებით ზეციდან ვარსკვლავთა და დედამიწის ყველა ქმნილებათაგან გამჭოლად გამომზირალი?

დახუჭეთ თვალნი ზეციურ ვარსკვლავთა და მიწიერო ქმნილებათა; თვალი მორიდეთ ჩემს სიშიშველს. კმა-არს ჩემდა სირცხვილი თვალებს რომ მიწვაკს.

რას უნდა ვუჭვრიტოთ? ხეს ცხოვრებისას, რომელიც გზისპირა ეკალივით ხმება, გამვლელებსაც ესობა და საკუთარ თავსაც? რას უნდა ვუჭვრიტოთ? ზეციურ ცეცხლს, ტალახში რომ ლბება. არც ქრება და არც ანათებს? მხენელო, შენი ყანა კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ უფალი, რომელიც შენს შრომას დასცქერის;

მგალობელო, შენი გალობა კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ უფალი, რომელიც ამით განდიდება;


მძინარევ, შენი სიზმარი კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ უფალი, რომელიც ფხიზლობს მასზედ;

სანაპიროს პატარა წყარო კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ტბა... ტბისაგან გამოქცეული, სინანულშია, რომ მიატოვა იგი, რამეთუ კლდოვან ქვიშაზე შეჯახებისას დაშრა?

ო, ვარსკვლავნო, ქმნილებანო, მე კი

წმინდა ნიკოლოზ სერბი

განა შეიძლება დღე ეწოდოს ჟამს, თითქოსდა კარით შემოსაზღვრულს – დღითა და ღამით?



უფალო, სიხარულო ჩემო, მესტუმრე, რათა არ მრცხვენოდეს ჩემი სიშიშვლის, რათა ჩემკენ მომართული მრავალთა მწყურვალე მხერა უკან დაურწყებული ბრუნდებოდეს.

უფალო, წყალობაო ჩემო, აღმადგინე მე?

ვისი ნებით აღმოვჩნდი აქ, მატლთა შორის?

ვისი ნებით ვარ შთავდებული მტვერში გველებს მეზობლად და ქორის მსხვერპლად?

ვინ ჩამომავლო მაღალი მთიდან ბოროტმოქმედთა და უღმერთთა თანამგზავრად?

მე ცოდვილი ვარ და შენ მართალი, უფალო. სამყაროს შექმნიდან მოედინება და მრავლდება ჩემი ცოდვები და აღმატება შენს მართლმსაჯულებას.

დაუთვლელია ცოდვანი ჩემი ცხოვრების, ჩემი მამის, მთელი კაცთა მოდგმის სამყაროს შექმნიდან და მოგმართავ: ჭეშმარიტად ვამბობ უფალო, შენი სამართლიანობის სახელი გულმოწყალებას.

წინაპართა ჭრილობებს მე ვზიდავ. მე ვამზადებდი მათ ჩემში, როდესაც ისინი ვერ კიდევ წინაპრებში იყო, ახლა თვით ვცხოვრობ მათში და დაჭრილი ვარ მათით. და აი, ახლა ჩემს სულს დააჩნდა ისინი, დაფარეს ის ისე, როგორც ჟირაფის სხეული — ლაქებმა; როგორც ტყავმა მორიელებისა, ჩემს სულს რომ ღრღინან.

მოწყალე მექმენ, უფალო, ასწიე შენი ზეციური მადლის მდინარის სარქველი, გადმომაფრქვიე ზეციური მადლი შენი სიტყვისა და განმწმინდე კეთრისაგან, რათა განკურნებულმა კანდიერ-ვეო შენი სახელის წარმოთქმა სხვა კეთროვანთა წინაშე და მათ არ დამციონ და შეურაცხმონ.

შემეწიე, რომ თავი მაინც წამოვწიო ამ მატლებით სავსე ორმოდან. შევისუნთქო კეთილსურნელოვანი საკმეველი და გამოვცოცხლდე. შემეწიე, რათა პალმის სიმაღლეზე მაინც წამოვდგე, რომ დავცინო გველებს, რომლებიც მდევნიან და ცდილობენ ქუსლზე მიკბინონ.

უფალო, თუ ერთი მცირეოდენი სიკეთე მაინც აღმისრულებია მიწიერი ცხოვრების მანძილზე, ამ მცირედის გამო მაინც გამათავისუფლე, ჩემო, უღმერთო, თანამგზავრებისა და უღმერთობისაგან. უფალო, ნუგეშო ჩემო, სასოწარკვეთის ჟამს;

უფალო, ძალაო ჩემო, უძლურების ჟამს;

უფალო, მხერაო ჩემო, წყვდიადში;

მხოლოდ შენი ბეჭდით შეეხე ჩემს თავის ქალას და წამოვდგები და თუ ძალზე უწმინდური ვარ შენი შეხებისათვის, გამომიწოდე სხივი შენი სამეფოდან და აღმადგინე; შენი გულმოწყალების გამო აღმადგინე მატლებით სავსე ორმოდან.

უფალო, არიან დღენი?

აღამიანო, არის თუ არა შენ მიერ განვლილ დღეთა შორის ისეთი, რომელთა დაბრუნებასაც ისურვებდი? ეს დღეები ვიზიდავდნენ, როგორც აბრეშუმის ნაზი შეხება, მაგრამ შენი ცდუნების შემდეგ აბლაბუდის ქსელად იქცნენ. თავლით სავსე ფიალასავით გეგებებოდნენ ისინი, მაგრამ სიცრუითა და ცოდვით აღსავსე სიმყრალედ გადაიქცეოდნენ. ყველა ისინი სიცრუითა და ცოდვით იყვნენ აღსავსენი.

შეხედე, როგორ გვაგონებს სუფთა სარკეს ნაკადულები მთვარის შუქზე, შენი ქარაფშუტობით აღსავსე უდარდელი დღეები კი — გამჭირვალე შუშებს. მაგრამ როდესაც ერთი მათგანიდან

მეორეზე გადასრიალდი, მაცდური შუშები თხელი ყინულივით იმსხვრეოდნენ, შენ კი წყალსა და სიბინძურეში ცურავდი.

განა შეიძლება დღე ეწოდოს ჟამს, თითქოსდა კარით შემოსაზღვრულს — დღითა და ღამით?

უფალო, ნათელი ჩემო, მხოლოდ ერთ დღეზე დარდობს სიცრუით განაწამები სული ჩემი: უჭიშკრო დღეზე, რომლიდანაც იგი ჩრდილთა ნაკადში ჩაიძირა, სახელად საღამო რომ ჰქვია; უფლის დღეზე, რომელსაც ჩემად ვიგულებდი, როდესაც ღმერთთან განმარტოებული ვიყავი. აღამიანო, შენი ცხოვრების გარდასულ ბედნიერებაზე დარდობ? გაიხსენე წარსულის განვლილი სიტკბოება, რომელმა მათგანმა უფრო დიდი მწუხარება მოგიტანა? და აი, სინანულით აქცევ ზურგს გუშინდელ ბედნიერებას.

მხოლოდ ბედნიერების წამები გაქვს მოცემული, რათა დადარდიანდე იმ გარდასული ჭეშმარიტების მოგონებით, როდესაც ბედნიერების წყაროს მფარველები ქვეშ იყავი. მწუხარებათა ასწლეულები მოგეცა, რათა გამოგაღვიძოს და სიცრუის სამეფოს ტყვეობისგან გაიხსნას. უფალო, უფალო ჩემო, ერთადერთო ბედნიერებავე, მიმზადებ თუ არა თავშესაფარს შენს ტანჯულ მწირს? უფალო, ჩემი სულის მარადიულო სიყრმევე, განბანე თვალი ჩემნი და გაბრწყინდებიან ისინი მზეზე უფრო ბრწყინვალე ნათლით.

უფალო, შენ გულმოდგინედ აგროვებ მართალთა ცრემლებს და წვიმასავით აპკურებ მათ სამყაროს...

ამირან-ლაზარე სინაურიძე

ღმერთს მიახლოე ყოველივე შენი საქმე

სტამბოლში ბიძასთან მყოფი ჭაბუკი ალექსი (შემდგომში წმინდა ალექსი შუშანია) დილით ჩვეულებრივად წამოდგა, უეცრად რაღაც ძალამ ელვასავით იელვა მის თავზე და მთელი მისი არსება უცნაურმა მოვლენამ შეიპყრო „გვრძნობდი ჩემთვის მოულოდნელ, გაუგებარ და გამოუთქმელს ძალას, რომელიც ალისებრ მოძრაობდა სიტკბოებით ჩემს შინაგანში“ — ჰყვებოდა შემდგომში. აღტაცებაში მყოფს, უხილავად მის წინაშე მდგომარე ეტყოდა: „აწ შენ ქრისტეს მოწაფე უნდა გახდეო“. შევიდა თავის სახლში და იგივე პირი უმეორებდა ქრისტეს შედგომას. წარ-

მოუდგა ყმაწვილს ახლობლების სიყვარული და მათდა მიმართ პასუხისმგებლობა... „ახლა რომ მოკვდე შენს საქმეს ვინ განარიგებსო“ — ჰკითხა უჩინარმა. „ღმერთი“ — „მამ შენც მოკვდი ღვთისთვის საწუთროსგან და ღმერთს მიახლოე ყოველივე შენი საქმე და გაარიგებსო“. მაშინ ალექსი ადგა, ამოიღებდა ქუჩიდან ქვა, შესდგა ზედ, ხატის წინ სანთელი აანთო, თმა მოიწვა და აღთქმა მისცა ღმერთს შემდეგი სიტყვით: „ღმერთო შემიწირავს შენთვის ჩემი სიყმაწვილე და შენ იცი ჩემი საქმე და ჩემი ანებისაც“.

სამთავროს მონასტარი

წმინდა ნინოს ნაბერჯალზე ფეხაკრებით უნდა დადიოდეთ და ჩურჩულაბდეთ...


სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის მშვენიერი ბაღი
და უნიკალური მუზეუმი

რისაც ერთხელ მაინც მოულოცავს მცხეთის სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტერი, კიდევ მრავალჯერ უჩნდება სურვილი, მიესლოს და თავიანისცეს ამ მაღლმოსილ წმინდანთა ნატერფალის სავანეს... მონასტრის კარიბჭის იქით უკვე სხვა სამყაროში გრძნობ თავს, სულსა და გულში სიმშვიდე ისაღვურებს... ცად აწვდილი კვიპაროსი გტაცებს თვალს – ეს ხე თურმე უწმიდესს დაურგავს და მისთვის დარაჯი დაურქმევია. წმინდა მამა გაბრიელის კოშკის წინ სამი კვიპაროსია, მათთვის კი სამი გენერალი უწოდებია. ირგვლივ დედების მიერ წალკოტად ქცეული ნაირფერი მცენარეების ბაღი იპყრობს ყურადღებას... ვარდობისთვეში ვარდის სურნელიც განსაკუთრებულად იგრძნობა...

სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვრის, ილუმენა ქეთევანის (კოპალიანი) სულიერი და ფიზიკური მზრუნველობა ყველაფერზე აისახება. მონასტრის სულიერი მოძღვარია არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე). მონასტრის დედებმა დიდი სითბოთი და სიყვარულით მიგვიღეს.


მონასტრის წარსული

სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტერი ერთ-ერთი უმთავრესი სავანეა, სადაც საქართველოში მენელსაცხებლე დედათა ცხოვრების დასაბამია. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ ნაკურთხი ჯვარი ვაზისა აქ, „მაცვლოვანში“ აღმართა წმინდა



სამთავროს
მონასტარი





სამთავროს მონასტრის კრეპული

ნინომ (IV ს.) და სამოციქულო ღვაწლს მისცა დასაბამი. მცხეთის სამთავრო V საუკუნიდან ქართლის მთავარეპისკოპოსთა კათედრა იყო, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე (1811 წლამდე). სამთავროში დაკრძალულნი არიან ერისმთავრები და ეპისკოპოსები. ცნობილია, რომ ქართლის მთავარეპისკოპოსს კათოლიკოსთან ერთად აჰყავდა მეფე ამბიონზე. ვარაუდით, ტაძრის სახელწოდება, „სამთავროც“ აქედან წარმოდგება. მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარი საუკუნეების განმავლობაში ბევრჯერ განახლდა და გადაკეთდა. სამთავროს სამონასტრო კომპლექსიდან დღეს შემორჩენილია მთავარი, ფერისცვალების ტაძარი, ტაძრის კანკელი, ფრესკები. მიქაელ მთავარანგელოზის ეგვტერი (ეკვდერი) – ტაძრის ერთ მხარეს ორი სამლოცველოა: წმინდა იოანე ნათლისმცემლის და წმინდა იოანე ოქროპირის სახელობისა, ასევე წმინდა მეფე-დედოფლის – მირიანისა და ნანასი. სამთავროს კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილია წმიდა ნინოს მცირე ეკლესია (IV ს.). კომპლექსში შემავალი კოშკი აგებულია XIII საუკუნეში, ხოლო სამრეკლო – XV საუკუნეშია განახლებული; შემორჩენილია, „მირიანის ბუხრის“ კედლის ნანგრევი (IV ს.).

მონასტერში მრავალი სიწმინდეა, მათ შორის: სვეტიცხოვლის მირონმდინარე სვეტის წმინდა ნაწილი, სამთავროს ივერიის ღვთისმშობლის სასწაულომოქმედი ხატი,

რომელიც 1912 წელს ათონის ივერთა მონასტერში დაიწერა მღვდელმონაზონ ბავლე ჯაფარიძის თაოსნობით. აქვე დაბრძანებული წმინდა ნინოს სასწაულომოქმედი ხატი, 21 წმინდა ნაწილით შემკული. ეს ხატი შემოსწირეს ქართ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის შვილიშვილებმა (1870 წელს). მონასტერში განისვენებენ პირველი ქრისტიანი გვირგვინოსნები, წმინდა მოციქულთაწორი მეფე მირიანი და დედოფალი ნანა. უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, გამშვენდა მათი საფლავები ქვის ოსტატის, გიორგი ლალიაშვილის ხელით. საკურთხეველის ტრაპეზის ქვეშ დაკრძალულია წმინდა მღვდელმოწამე აბიბოს ნერესელი. ფერისცვალების ტაძარში ღირსი მამა გაბრიელის სულიერი შვილის, არქიმანდრიტ კირიონის მიერ გაკეთდა წმინდა მამის ლუსკუმა, ჩასაბრძანებელი. ძალიან ბევრი მომლოცველი მოდის ღირსი მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებთან, სადაც უამრავი სასწაული და კურნებები აღეწვინება. მაცხოვრებელს განისვენებენ ახალკანონიზებული წმინდანები: მონასტრის განმანათლებელი ღირსი ნინო (ამილახვარი) და ღირსი ილუმენა ნინო (ამილახვარი).

უწმინდესის ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებულია სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტერთან. ბავშვობისა და ყრობის წლებში მას ხშირად უწევდა მონასტერში ყოფნა. უწმინდესმა ერთ-ერთი ქადაგებისას აღნიშნა, რომ მომავალი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დალოცვა დედათა მონასტერში მიიღო სამთავროში მსახურებისას და რომ არსად ისეთი მაღალი არ მიუღია, როგორც აქ.

ილუმენა ქეთევანის ლოცვა-კურთხევით, მონასტრის წვერები ლოცვასთან ერთად სხვადასხვა მორჩილებას აღასრულებენ – ტაძარში, მუზეუმში, სატრაპეზოში. დედები სხვადასხვა ხელსაქმესთან ერთად აკეთებენ სკვნილებს, ქარგავენ. ლიტანიების დროს ძველი და თანამედროვე დედების მოქარგულ ბაირაღებს გამოაბრძანებენ. მონასტერი საგამომცემლო საქმიანობითაც არის დაკავებული. უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, 2010 წლიდან პერიოდულად გამოსცემენ ჟურნალს „სამთავროს მაცხოვრებელი“, ასევე – ბუკლეტებსა და წიგნებს. მონასტერში ლოცვა და შრომა შეზავებულია.

სამთავრო ძალიან დიდი მონასტერია, 60-მდე მონასტრის წვერი ცხოვრობს. ოდითგანვე დედა-მონასტრად ითვლებოდა. უწმინდესს სამთავროში სტუმრობისას დედებისთვის უთქვამს, – წმინდა ნინოს ნატურფალზე ფესვკრეფით უნდა დადიოდეთ და ჩურჩულებდეთ... ყური დაუგდეთ, რა დიადია სიწმინდე...
სამეფო ბაღი...

სამთავროს მონასტერი წინათ სამეფო ბაღი ყოფილა... შესაბამისად, დედები ცდილობენ, მოწესრიგებული ჰქონდეთ მონასტრის ეზო და ამით შექმნან მყუდრო გარე-

მო. დედა ილუმენია ყველაზე მეტს შრომობს.

– საერთო მორჩილების დროს სუფთა თაფლისგან სანთლებსაც ვაკეთებთ, სეფისკვრებსაც და პურსაც ვაცხობთ. წიწამურში მეურნეობა გვაქვს – მარწყვიც მოგვყავს, ბოსტნეულიც, სიმინდს ვთესავთ. რამდენიმე სკაც გვაქვს, – მიაბობენ დედები.

სამთავროს ბაღი დღეს ასეთი გამშვენებული რომ არის, ამამი უდიდესი წვლილი ბატონ თამაზ შარიქაძეს მიუძღვის. მონასტარის თავისი პროფესიონალი მეზაღე ჰყავს – ვასიკო ალიბეგაშვილი, იგი ყოველდღიურად ზრუნავს თითოეულ მცენარეზე და მნახველებს ესთეტიკურ სილამაზეს ანიჭებს. მეზაღის რჩევებს საერთო მორჩილების დროს დედები ზედმიწევნით ასრულებენ. სხვადასხვა სახეობის ხე-ბუჩქთან ერთად ბაღს უცხოური სოჭის ხეები ამშვენებს. გარემოს განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებენ ნეკრჩხლები, ბრაზილიური შინდები, უთხოვრები, კოწახურები, კანადური ნაძვები. ვარდების ხეივანს ფოტინიები ენაცვლება.

ილუმენია ქეთევანის ლოცვა-კურთხევითა და ძალისხმევით, მონასტერი დღითიდღე მშვენიერდება და ძლიერდება. მონასტრის წევრები ერთობლივად ალაგებენ ტერიტორიას, უელან ეზოს, საცხოვრებელ ნაგებობებს.

– მიწასთან მუშაობას უარყოფითი ენერგია გააქვს და მადლი და ხალისი გვეძლევა... მონასტერში მთავარია ლოცვა და შრომა, სულიერი და ფიზიკური მორჩილება. შეიძლება ფიზიკურად საქმე აღასრულო, მაგრამ მთავარი უდრტვიწველი მორჩილებაა წინამძღვრისა და სულიერი მოძღვრისადმი. კურთხევის გარეშე რაც უნდა გააკეთო, მადლი არ აქვს და უფლის წინაშე არც შეიწირება.

მუხაშუმი

სამთავროს ტერიტორიაზე მდებარე მუხუშუმი მოიცავს სახვითი ხელოვნების, ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ ნიმუშებს – III-დან XIX საუკუნის ჩათვლით.

სავანის კუთვნილი ნივთების გარდა, მუხუშუმის ექსპონატები კოლექციაში სხვადასხვა საშუალებით აღმოჩნდა. ზოგიერთი მათგანი მონასტერმა საჩუქრად მიიღო კერძო პირის არქივიდან, მაგალითად, ლევან გოთუას სახარება და მისი გადასახლების დროინდელი მალაროს ქუდი, რომელიც მისმა ძმისშვილმა, მაია გოთუამ, სავანეს გადასცა. აქვეა მაია გოცირიძის მიერ შემოწირული ვარდის ხის ძველებური კარადაც. ზოგიერთი ისტორიული

ღირებულების ექსპონატი მონასტერმა საგანგებოდ შეიძინა. მაგალითად, ხევსური ქალის ორსაუკუნოვანი სრული შესამოსელი (სადიაცო, მანდილი, სათაურა, პაჭვიჭები, ტყავიბრამოკრული წინდა-თათები, წინდები და გარეთა სამოსი – ქოქლო). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სავანეს დაუბრუნა საპატრიარქოში დაცული სამთავროს XI საუკუნის კანკელის უნიკალური ფრაგმენტები. მონასტერს ასევე გარკვეული შეთანხმების საფუძველზე გადაეცა სავანის ტერიტორიაზე არქეოლოგთა მიერ სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ექსპონატები, რომლებიც წლების განმავლობაში მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის კუთვნილება იყო.

მუხუშუმში ორი კუთხე საგანგებოდაა შექმნილი: ღირსი მამა გაბრიელისა და ილუმენია ნინო ამილახვრისა (უმცროსი), სადაც მათი პირადი ნივთებია დაბრძანებული. წმინდა ბერის კუთხეში ინახება მისი ხელით დაწერილი ანდერძი, შესამოსელი, ჯვარი, დიადემა, ჩაიდან, ნავთქურა, საათი, სკამი, ქუდი და ნარის ნაწილი, რომელზეც მამა გაბრიელი ესვენა. ილუმენია ნინო ამილახვრის კუთხეს ამშვენებს საილუმენიო ჯვარი და წმინდა მთავრინა ელიზავეტას მიერ გამოგზავნილი სამკურდე ნიშნები. აქვეა მნიშვნელოვანი დოკუმენტი მონასტრის დაარსების ოფიციალური ცნობის შესახებ. სავანის მოძღვრო ილუმენიათა პირადი ნივთებიდან მუხუშუმის კოლექციაში ინახება ილუმენია ნინო ციციშვილის სკამი და ილუმენია ანა აჭაიძის მიერ მოთელილი დეკორატიული თექა, სკვინლი და საყოფაცხოვრებო ნივთები.

ბეჭდური გამოცემლობიდან აღსანიშნავია XVIII-XIX სს-ის საღვთისმშასურო წიგნები – ბიბლია, ახალი აღთქმა და ჟამნი.

სამუხუშუმო კოლექციაში ორი მნიშვნელოვანი ხელნაწერი ინახება: პირველი წარმოადგენს საღვთისმშასურო ტიპიკონურ ლოცვათა ჩანაცვლების წესს შესაბამისი რაოდენობის „იესოს ლოცვით“, რომელიც შესრულებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ხელით. ხოლო მეორე ხელნაწერი წმინდა ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე – მონასტრის მოძღვარი 1919-1945 წლებში) მიერ გადაწერილი სანოტო კრებულია, რომელშიც 13 ცალხმადანი საგალობელია შეტანილი.

თეა ცაგურიშვილი

მამათა გამონათქვამები

კართა მიღმა რჩება და არ შეიწყნარება ის ლოცვები, უსიყვარულოდ რომ აღეგლინება უფლისადმი. რამეთუ მხოლოდ სიყვარული განულებს კარს ლოცვებს.

წმინდა ეფრემ ასური

მეცხრე მცნება კრძალავს ცილისწამებას, რომელიც ყველაზე უფრო აღმამფოთებელი შეურაცხყოფა არის მოყვასისა, იგი მკვლელობის ტოლფასია. თვით დავით წინასწარმეტყველიც კი ასე ლოცულობს: „მიხსენ მე ცილისწამებისაგან კაცთაისა და დავიცუნე მე მცნებანი შენი“ (ფს. 118. 134). თუ ასეთი რამ ჩაგედენიათ, ცრემლით შეინანეთ უფლის წინაშე, ითხოვეთ შეწყალება მკვლელთა თანაბრად და დაუყოვნებლივ, ვისაც მისწვდებით, საპირისპირო უთხარით, გააბათილეთ ცილისწამება, რათა ინებოს უფალმა, რომ თქვენი შეცოდებით გამოუსწორებელი ბოროტება არ ჩაიდინოთ.

არქიმანდრიტი იოანე კრესტიანკინი

არა ცილი სწამო (ლუკ. 18, 20; იხ. გამოსვლ. 20, 16) – მცნება უფლისა, რომელიც ჩაწერილია ორივე – ძველსა და ახალ აღთქმაში. ხუმრობა არ არის მისცე ცრუ ჩვენება უფლისა და მისი ანგელოზების წინაშე. ხუმრობა არ არის ქუდმოხდილი წარდგე ჯვრისა და სახარების პირისპირ და წამოიძახო: „ცოცხალ და ყოვლისშემძლე ღმერთს ვფიცავ, რომ ეს ჭეშმარიტება სიცრუეა“, ანდა: „ეს სიცრუე ჭეშმარიტებაა და, დაე, ჩემი სიმართლისამებრ მომაგოს უფალმა!“ გასაკვირი არაა, რომ ღმერთი ჭეშმარიტებისა და სიმართლისა, შოლტავს თავის ცრუმოწმეთ, ვის ხელებს, ვის ფეხებს, სხვებს თვალებს, ზოგიერთს ოჯახს და ახლობლებს.

წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზ სერბი (გელიძიროვიჩი)

ცილისმწამებელი შენვე გიმზადებს დიდ საზღაურს (მათე 5, 11-12).

ქრისტიანული ოჯახი

პატივი-ეს მამასა შენსა და დედასა შენსა...

კ შობლების სიყვარულს, პატივისცემას, მორჩილებასა და მათ უზრუნველ მოხუცებულობას უფლის მათე მცნება გვაფაღდებულებს: „პატივი-ეს მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღევრძელ იყვნე ქვეყანასა ზედა“. თუკი ჩვენ მათ მოხუცებულობას, უძღურებას და მწუხარებას ვიტვირთავთ და გავი-

კი ძირფესვიანად ამოვადებს“. დედ-მამის ურჩი შვილები თავს იღუპავენ. მამისა და დედის შემრისხველი სიცოცხლის დღეებს იმოკლებენ, რაოდენ მართალიც უნდა ეგონოთ თავი უფლის წინაშე, ასეთი წარმართებზე უარესნი და ბიწიერების თანამზრახველნი არიან, რომელთა შესახებაც ილია წინასწარმეტყველი ბრძანებს: „მოკვდება ბიწიერი, ვერ იხილავს უფ-

ნამტკიცებს, დედის ლოცვა კი დაიცავს მას მტრის თავდასხმისაგან. თუ სიბერეში მშობლებს გონება დაუქვეითდებათ, სახელს ნუ გაუტეხთ. ნუ შეარცხვენთ მათ და მამინ, თქვენი შვილებიც დაგაფასებენ. არ დაივიწყოთ დედ-მამის შრომა და თქვენზე გაწეული ამაგი. ისეთივე მზრუნველობით მოუარეთ სიბერეში, როგორც ისინი თქვენზე ზრუნავდნენ. არასდროს თქვათ, რომ ბევრი სიკეთე გაუკეთეთ, აცემეთ, აჭმეთ და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი გყავთ ისინი, ეს არ გათავისუფლებთ მათი მზრუნველობისაგან, რადგან შენ არ გაგიჩინია ისინი და ისე არ გიზრუნია მათზე, როგორც ზრუნავდნენ ისინი შენზე. ამიტომ საეკლესიო სამართალი მოგვიწოდებს, შიშით ვემსახუროთ მათ, ისე, როგორც მონებმა. და სწორედ ამ შემთხვევაში მივიღებთ უფლისაგან როგორც ამქვეყნად დღევრძელ და უზრუნველყოფილ, ისე ზეციურ ნეტარ, საუკუნო, სიცოცხლეს, როგორც ღვთის მცნებების შემსრულებელნი და ცხოვრებაში მათი გამტარებელნი.

არ შეიძლება ბავშვების მუდმივად მბრძანებლობა, არ მისცეთ მათ ხშირი განკარგულებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მორჩილება შესუსტდება;

თავისებთ, ამავე მცნებით ვიღებთ უფლისგან დაპირებას, რომ ცოდვები მოგვეტყუება, კეთილი მოგვეზღვება და უზრუნველი, მხსოვანი სიბერე მოგვემადლეება და ამქვეყნიურ ცხოვრებას კეთილდღეობაში გავატარებთ. ეს — ოჯახის კურნების და გადარჩენის გზაა. და პირიქით, თუ ვინმე ძვირს ამბობს ან შეურაცხყოფს საკუთარ მშობლებს, წყევლის და დრტვინავს მათზე, ის უფლის წინაშე უდიდეს ცოდვას ჩადის, საზოგადოების მიერ კი დაწყევლილი იქნება. ეკლესიური კანონმდებლობით, ვინც მშობელზე ხელს აღმართავს, განიკვეთება ეკლესიიდან და ზიარებიდან, დაე, მოკვდეს იგი უღმობელი სიკვდილით, რამეთუ დაწვილია: „მამის წყევლა გაახშობს, დედის

ლის დიდებას“. წმ. ილია ბიწიერს უწოდებს მათ, ვინც საკუთარ მშობლებს შეურაცხყოფს, დასცინის მამას და აყუდრის დედას: „დაე, დაკენონ ის ყვაუებმა და შეჭამონ არწივებმა!“ ხოლო ვინც პატივს სცემს დედ-მამას და ემორჩილება მათ უფლის გამო, ისინი, თავის მხრივ, გაიხარებენ შვილებით, უფალი დაიფარავს მათ მწუხარების დღეებში და შეისმენს მათ ლოცვას და ყველანაირი სიკეთე მიეცემათ მათ, რასაც ითხოვენ. მამის მამებელი და საკუთარ დედაზე მზრუნველი ყველაფერში წარმატებულია, ამიტომ, ბავშვობიდანვე უნდა ვაამოთ საკუთარ მშობლებს, რათა მათგან ლოცვა-კურთხევა მივიღოთ. მამის დალოცვა ოჯახს გა-

— **როგორ აღვზარდოთ ჩვენს შვილებში ბავშვობიდანვე ისეთი მორჩილება, რაც მათ მზრუნველობის შესრულების გარანტიას მისცემს?**

ღვთისმეტყველთა მიღებული შეხედულებით, მორჩილება ბავშვური სათნოების დელოფალია, რასაც მოსდევს ბავშვებში სხვა სულიერი ღირსებების განვითარება. აქედან გამომდინარე, ბავშვის ხასიათზე მუშაობისას მშობლების პირვე-

მართლმადიდებლურად აზროვნებისათვის

დიდება მაღალთა შინა ღმერთსა 17 სექტემბერი, 19:27

ნუთუ არ იცით, რომ მათ, ვინც სასოწარკვეთილებით, უსისხროლო ცხოვრებით იტანჯება, წმინდა მამები უფლისადმი დიდების ხშირად აღვლენას ურჩევენ? თქვი ხშირად: დიდება შენდა, ღმერთო! დიდება შენდა, ღმერთო, დიდება შენდა!“ — და იცხოვრებ, როგორც სამოთხეში. სწეულებებსა და მწუხარებებს

შორის იქნები, როგორც სამოთხეში. ისეთი განცდა გექნება სიხარულისა, რომ თავდაც ვერ შეძლებ გაგებას — საიდანაა იგი. ხოლო იგი იმისგან არის, რომ შენ ადიდებ ღმერთს ყველაფრისათვის. აი, რას აძლევს ქმნილებას ღმერთის განდიდება. აძლევს გამოუთქმელ სიხარულს, მზიარულებას, სიცოცხლის სისავსეს, ხოლო, ღმერთის შეუქებლობა, ქმნილებას აძლევს სევდას, ტანჯვას, დარდს, უსიხარულობას, სასოწარკვეთას...



ლი ამოცანა, მათში სრული მორჩილების დანერგვა და თვითნებობის აღმოფხვრა.

ბავშვებში რომ მტკიცე მორჩილება დავენეროთ, მშობლებმა არ უნდა დავივიწყოთ შემდეგი ათი დებულება, რომელიც ნ. პესკოვმა შეიმუშავა:

1. უკიდურესი აუცილებლობის გარდა, მშობლებმა არასდროს გააუქმონ საკუთარი განკარგულებები და ბრძანებები;
2. განკარგულება ჩამოყალიბებული უნდა იყოს ზუსტად და იყოს კატეგორიულად თქმული;
3. ბრძანების შესრულება უნდა მოითხოვონ სასწრაფოდ, ბავშვები უნდა მივაჩვიოთ პირველი თქმისთანავე გაგონებას;
4. მშობლები ყოველთვის უნდა უფრო ხილდებოდნენ ერთმანეთის ავტორიტეტს, ამისთვის მშობლების განკარგულებები ერთმანეთს სრულად უნდა ეთანხმებოდნენ. ერთ-ერთ მშობელს არ შეუძლია მეორის განკარგულების შეცვლა და ბავშვების თანდასწრებით არ შეიძლება კამათი განკარგულების ხასიათზე, ან აუცილებლობაზე. შვილების თანდასწრებით მშობლებს საერთოდ არ უნდა ჰქონდეთ უთანხმოება, რათა მათი ავტორიტეტი ბავშვებში არ შეირყეს. ამის შესახებ ბერი ამბროსი ობტელი წერს: „არანაირად არ

იკამათო საკუთარ განსხვავებულ შეხედულებებზე ბავშვების თანდასწრებით“;

5. არ დატოვო ურჩობა დაუსჯელი, განმეორებით შემთხვევაში, გააძლიერეთ სასჯელი;
6. არ შეცვალოთ მოთხოვნები, დღეს არ დაუშვათ ის, რაც გუშინ აკრძალული იყო;
7. არ შეიძლება ბავშვების მუდმივად მბრძანებლობა, არ მისცეთ მათ ზმირი განკარგულებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მორჩილება შესუსტდება;
8. არ მოითხოვოთ ბავშვებისგან რაიმე ძნელად შესასრულებელი, ან უსამართლო;
9. არ მისცეთ ბავშვებს ფამილარული დამოკიდებულების ნება. სიყვარული, ალერსი და სინაზე, პატივისცემა უნდა იყოს შენამებული, პატარებს არ უნდა მიეცეთ უფროსებისთვის თმების დაწოკნის, ყურების აწვევის, ან თუნდაც ხუმრობით დარტყმის ნება;
10. თქვენ მიეცით ბავშვებს მაგალითი მორჩილებისა, ცოლებმა – ქმრების და ორივემ – საკუთარი სულიერი მოძღვრისა.

ამირან-ლაზარე სინაურიძე

რელიგიურ-ფილოსოფიური ტერმინები

ფენომენოლოგიური მიდგომა რელიგიისადმი – ამგვარი მიდგომა ნატურალიზმისა და რედუქციონიზმის ოპონენტად გვევლინება, ის ახლოს დგას დესკრიპტიულ მიდგომასთან და მისი მტკიცებით, რელიგიური არსის ასახსნელად უშუალოდ რელიგიის შინაარსის გამოვლენა და არა მისთვის სხვა რაიმე უცხო, მაგალითად, ობიექტური სამეცნიერო საშუალებების მიზიდვაა საჭირო. ფენომენოლოგიური მიდგომისათვის მეტაფიზიკის გარეშე მოქმედება და რელიგიის, როგორც ადამიანის ცნობიერებისა და მასთან დაკავშირებული სულიერი გამოცდილების და სპეციფიკური მოვლენების ერთობლიობის შესწავლა მიზანშეწონილი. ძირითადი წარმომადგენლები არიან: გ. ვან დერ ლეივი, მ. შულერი, მ. ელიადე. მ. შულერმა სულიერ ცხოვრებაში გრძნობებისა და ფასეულობების როლი და ასევე ის განიხილა, რაც „მარადიული ადამიანი“ თეომორფიზმს, ანუ მყოფობას და რელიგიური გამოცდილების პირველსაწყისს წარმოადგენს და რომლის უმაღლესი წერტილიც პიროვნული სიყვარულია, რითიც შელერისათვის მტკიცდება, რომ სიყვარულის საწყისი თავად ღმერთია, რომელიც პიროვნება ყველა პიროვნებისათვის. ვან დერ ლეივი მიიჩნევდა, რომ ადამიანის სულის სიღრმეში სიკოცხლის წყურვილი, როგორც ნებელობითი ძალა მოქმედებს, ეს ძალა უმაღლეს ძალას ხვდება და რელიგია აქ იწყება. ამგვარი შეხედრის შედეგი შეიძლება გაქცევა, ბრძოლა ან მშვიდობა მყოფობა, უსასრულობაში გასვლის მცდელობა, ან მისგან თავის დასხნა, უზენაესის ნების მორჩილად გაზიარება, მისი სრული მორჩილება იყოს, ბოლოს და ბოლოს შეიძლება ღმერთის სიყვარულსაც წარმოადგენდეს. სწორედ აქედან ჩნდება რელიგიათა ტიპები; ამასთან, სხვადასხვა რელიგიის სულიერების კრიტერიუმების შედარების წყაროდ, ერთადერთი – ქრისტიანობა გვევლინება. მ. ელიადე – თავისი ძალისხმევა მითისა და სიმბოლოს აზრის კვლევას მოახმარა, რომელიც მას, უძველესი ხალხების სულიერი აზრების ინტეგრირებულ გამოვლინებად მიიჩნდა და როგორც უძველესი რელიგიური ცნობიერების არქეტაიპები ესმოდა. ეუდეურ-ქრისტიანულ ტრადიციაში გარკვეული მნიშვნელობა არა არქეტაიპებს, არამედ რწმენას ენიჭება, მაგრამ ამგვარი არქეტაიპები არც თუ იშვიათად ისეთ მნიშვნელობას იძენენ, რაც ქრისტიანობას საერთო სახით წარმოაჩენს. ფენომენოლოგიური მიდგომა არ გვაძლევს რელიგიის შეცნობის ამოწმურავ შესაძლებლობას. მაგალითად, უძველესი მითების ანალიზი ამგვარმა მეთოდმა ცივილიზაციის განვითარების პროცესზე დაკვირვებასთან ერთად, შეიძლება ადამიანისგან „ღმერთის დამორების“ მაგალითებიც გამოავლინოს (მ. ელიადე), და ეს თავისებურება ორგვარად შეიძლება იქნეს განმარტებული: ერთ შემთხვევაში, თავად ღმერთის განდგომა ადამიანისგან და შესაბამისად ბოროტების გაძლიერება და სხვა შემთხვევაში, როგორც „შესაქმის შემდგომი გადაღობა“. ბიბლიური ტრადიცია პირველ გარიანტს ემხრობა და განმარტავს, მაგრამ აქ უკვე არა ფილოსოფიურ, არამედ სარწმუნოებრივ ფენომენტან გვაქვს საქმე.

აქტუალური თემა

აქ მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარების ლეგალიზება ერთგვარი კბილის მოსინჯვაა...

ღ ათუმის წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი შიო პანიჭაძე:

— აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში სიკვდილით დასჯა აიკრძალა. ბოლოს თვითმფრინავის ბიჭები და ერთი უდანაშაულო მღვდელი დახვრიტეს კომუნისტებმა, ოთხი წლის შემდეგ კი გაუქმდა სიკვდილით დასჯა. საინტერესოა, მართლაც გაუქმდა თუ არა, სიკვდილით დასჯა? იდეურად კი ის არ გაუქმებულა და არც გაუქმდება ქრისტეს გარეშე! დოსტოევსკი ამბობდა, რომც დამიმტკიცონ მათემატიკური სიზუსტით, ქრისტე არარსებობს, მე მაინც მას ავირჩევდიო! ეს საკმაოდ დიდი თეოლოგიური სიტყვაა და ამას ადამიანი უნდა ჩაწვდეს, რადგანაც მათემატიკურად ორჯერ ორი ოთხია, მაგრამ უფლისთვის შეიძლება იყოს ექვსი და სხვა ციფრი, რომელსაც ჩვენ არ ვეთანხმებით. ქრისტიანობა კი სწორედ ამ ადამიანურ ლოგიკამდე არ მიდის და იგი უფრო ზეკაცობრივია, რომელიც სულიერი ლოგიკით მარტივად აღიქმება თავად ადამიანისათვის. რამდენიმე თვის წინ ჩვენმა ხელისუფალმა და საკონსტიტუციო სასამართლომ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა ქართველ ერს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რომელთა ფსიქიკა მეტად პლასტიკურია და არასტაბილური. მიიღეს მარიხუანას ლეგალიზების კანონი. ხშირად ადამიანებს ჰგონიათ, რომ მარიხუანა მსუბუქი ნარკოტიკია, მაგრამ მეცნიერული კვლევის შედეგად და საზოგადოდ, დაკვირვების საფუძველზე ჩანს, რომ მარიხუანა ფსიქოტრო-

მამა შიო



პული სიმძაფრის ნარკოტიკია, რომელიც იწვევს სულიერ აშლილობებს, მენტალურ გადაგვარებას. ადამიანი ზოგადად არაადეკვატური ხდება. ადამიანური ბუნებითი სჯული, რომელსაც პავლე მოციქული სინდისს უწოდებს, აი, ეს ერთმევა პიროვნებას. შეიძლება ითქვას, რომ ხდება პიროვნების რღვევა და მისი გადაგვარება. ბათუმში მარიხუანის მომხმარებელი ალისა და ნინოს ძეგლზე ავიდა და იქიდან გამოხატა პროტესტი, რომელიც არაადეკვატური იყო და ფაქტობრივად, დღესაც ვერ გაუგიათ სამართალდამცავებს, რა უნდოდა ამ ადამიანს? უბრალოდ, ავიდა და დააფიქსირა მისი სრული შეშლილობა. ჩვენ გვეცოდება ეს ადამიანი, ის საჭიროებს დახმარებას, მაგრამ სულ ცოტა ხანში მთელი ერის დიდი ნაწილი ამ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. რაც ეს საშინელი მოლალატებრივი ქმედება ჩაიღინა საკონსტიტუციო სასამართლომ, გახშირდა ახალგაზრდების სიკვდილიანობა. ახალგაზრდობა მძიმე მდგომარეობაშია. ქუჩებში, ნებისმიერ ადგილას ნახავთ მარიხუანის გაბრუნებულ ბავშვებს, მოზარდებს. არ არსებობს ადგილი, სადაც განსაზღვრული იქნება ამ საშინელების გამოყენება. იქნებ დაფიქრდეთ! თქვენ, ხელისუფალნი და მოსამართლენო, ერის მოლალატეები გამოდინართ. მერწმუნეთ, რომ საქართველოში არაოფიციალური სიკვდილით დასჯა ამოქმედდა და ერი დაკარგავს თავის იდენტობასა და პირადულ გამოცდილებას.

რას ნიშნავს ნაციზმი და რა არის ეს? ჩვენ ვიცით, ამ მძიმე იდეოლოგიამ როგორ მიგვიყვანა დაღუპვამდე. ეს კანონი, ლიბერალიზმის ქურქით, ნაციისტური ქმედებაა. ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს. გირჩს მიეცა საშუალება, ეკლესია ჩამოეყალიბებინა და მარიხუანის მოხმარების ლეგალიზებაში უდიდესი წვლილი შეეტანა. ახალგაზრდებში ჩაკლა პატრიოტიზმის

გრძნობა და აგერ უკვე ათიათასობით ახალგაზრდა სამხედრო სამსახურს გაემიჯნა. ამას ხელისუფლება ძალიან ზედაპირულად უყურებს! ხვალ ჩვენს ქვეყანას რომ დაემუქროს გარეშე ძალა ომითა და ოკუპაციით, ვინ დაიცავს მას? ამაზე არ ფიქრობთ? თუ გინდათ, რომ პირდაპირ მტერს ჩაგვაბაროთ? იქნებ დაფიქრდეთ და სირაქლემას პოზიციიდან გამოხვიდეთ.

სულ ცოტა ხანში მძიმე ნარკოტიკის ლეგალიზებასაც მოახდენენ. ვგრეთ წოდებული, მსუბუქი ნარკოტიკის მოხ-

შემოდის ჩვენს ქვეყანაში და რა უცნაურიც უნდა იყოს, მისი გამოწერა ინტერენტიც ხდება. მომისმენია პოლიციელების გულისტკივილი – დაუცველნი ვართ და ცოტა ხანში ალბათ, აღარ იქნება საჭირო სამართალდამცავი ორგანოები. ეს ნიშნავს, რომ საქართველო გადაიქცევა მეცამეტე რაიონად და კავკასიის ბორდელად. ეს მწარე რეალობაა. გამოსავლის ძიება და მასზე მსჯელობა უკვე ამაოა, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლო როცა იღებს გადაწყვეტილებას, იქ გასაჩივრება

არსებობს სულიერი სიკვდილი და ასევე ხორციელიც. დღეს ჩვენ ორივე გვჭირს. ეკლესია ყოველთვის ხმამაღლა ამბობს თავის სიტყვას, მაგრამ ამაოდ. ამ უდაბნოში უკვე არავის აღარ ესმის, რადგანაც უდაბნოს გამოცდა ჩვენმა ერმა ვერ ჩააბარა.

მარების ლეგალიზება ერთგვარი კბილის მონიჯვა იყო ჩვენი საზოგადოებისთვის, რამდენად მძაფრი იქნებოდა რეაქცია ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ამაოდ! იყო გამოსვლები, მიტინგები და, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება განიტვირთა და უარყოფითი ენერგია გამოუშვა, კვამლი გამოუშვა ნერვებიდან და ამის შემდეგ დაიშალა და გაჩუქდა. ეს ნამდვილად ასეა! მერწმუნეთ, რომ ეს ნარკოდამოკიდებული თაობა გახდება კრიმინალი, რადგანაც ეს ნარკოტიკული თრობის გაგრძელებაა. ყველას სახლში შევა და მოგვაკითხავს დაღუპული თაობა, როგორც საშინელებათა ფილმებშია ზომბების ჯგუფური გადაადგილება. ეს ყველას უნახავს, მაგრამ იქნებ ნახოთ, რომ არსებობს ნარკოტიკი ზომბი, რომელიც ადამიანს ცოცხალ ლეშად აქცევს. აი, ეს არის სწორედ მარიხუანა, რომელიც ქიმიურად დამუშავებული

დაუშვებელია. ამიტომაც გაიხარე, ერო წამებულო! ილიას ერი ემსგავსება მკვდარი თევზების მდინარეს, რომელიც მიედინება იქ, რასაც მიწიერი ჯოჯობითიც ჰქვია. მკვდარ თევზს არ აქვს უნარი, დინების აღმა იცუროს და მოიძიოს უფრო წმინდა და მტკნარი წყალი, სადაც ბედნიერად იგრძნობს თავს. არსებობს სულიერი სიკვდილი და ასევე ხორციელიც. დღეს ჩვენ ორივე გვჭირს. ეკლესია ყოველთვის ხმამაღლა ამბობს თავის სიტყვას, მაგრამ ამაოდ. ამ უდაბნოში უკვე არავის აღარ ესმის, რადგანაც უდაბნოს გამოცდა ჩვენმა ერმა ვერ ჩააბარა. ვითხოვ შენდობას, მარად თქვენთვის მლოცველი უღირსი მღვდელი.

თეა ცაგურიშვილი

არ შეგეშინდეს მწუხარების

წმინდა სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი ბრძანებს: „ის, ვინც აქ არ შეუერთდება უფალ იესოს, მას საერთოდ ვერ შეუერთდება“.

წმინდა ანატოლი ობტელი გვასწავლის: „არ შეგეშინდეს მწუხარების, ტანჯვისა და განსაცდელების, რამეთუ

ეს მოხილვავა ღვთისა და შენთვის სასარგებლო... სიკვდილის წინ ღმერთს მადლობას გადაუხდი არა სიხარულისა და ბედნიერებისთვის, არამედ მწუხარებისა და ტანჯვისთვის; ეს უკანასკნელნი, რაც მეტი იყო შენს ცხოვრებაში, მით ადვილად მოკვდები და მით მსუბუქად წავა შენი სული ღვთისკენ“.

ნაბიონი

სულიერ ბრძოლაში გამარჯვება გმირობის ტოლფასია

ტ მონარქები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უფიქსისა და უნეტარმის, ილია მამორის ქაღებებიდან და ებისტოლებიდან.

ადამიანი იმდენად ევლობა ყოველდღიურ საქმიანობაში, რომ ავიწყდება მარადიული ღირებულებები, თავისი უკვდავი სული, ავიწყდება, რომ იგი წუთისოფლის სტუმარია და მარადიული ცხოვრებისათვის არას არგებს მხოლოდ სიმდიდრის შექმნა და მის დაგროვებაზე ზრუნვა.

ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე რთული ალბათ ბრძოლაა კეთილსა და ბოროტს შორის. ეს ბრძოლა არის არა მხოლოდ ადამიანთა, ქვეყანათა თუ სახელმწიფოთა შორის, არამედ ეს ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, არის თვით ადამიანში, ერთ ადამიანში.

აუცილებელია, როგორც ისტორიის, ისე ჩვენი ცხოვრების სულიერი მხარის გაგება, რაც, ამავე დროს, საკუთარი თავის შეცნობას გაგვიადვილებს. აუცილებელია განმარტობა, ფიქრი, ძიება-საკუთარი სულის საპოვნელად, რათა ჩავიხედოთ საკუთარ გულში და ობიექტურად შევაფასოთ ჩვენი ცხოვრების დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. ბედნიერია ის ადამიანი, ის კაცი, ის გვარი, ის ერი, რომელიც სულიერ საუნჯეს აგროვებს.

თუ სწორი ცხოვრება გვსურს, მუდამ უნდა ვიყოთ ღმერთთან, მუდამ უნდა გვქონდეს განცდა მისი სიახლოვისა.

თუ ამქვეყნიურ საცდურს განვირდებით, უფალი ღირსგვყოფს, რომ ჩვენს გულში იმეფოს. რა თქმა უნდა, უბრძოლველად ეს არ მიიღწევა.

ადამიანი მეტისმეტად გამიწიერდა, ამიტომ ის სულიერ შიმშილს გრძნობს. სულიერი ცხოვრება აუცილებელია. არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომელთა სულიერი ზრდა ჩერდება და ერთ წერ-



ილია II, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ტილზე იყინება, რადგანაც ბოროტი სულით შეპყრობილი თავიანთ თავს ვერ სძლევენ. ერთადერთი, ვისაც მათი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია, უფალია, მაგრამ უფალიც არჩევს ჭურჭელს, ისევე, როგორც ჩვენ, როცა ვცდილობთ, რომ სურნელოვანი ზეთი შესაფერის ჭურჭელში ჩავასხათ.

აუცილებელია უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანის სული უკვდავია, რომ ეს ცხოვრება არის წუთისოფელი, რომ ამქვეყნიური ცხოვრების შემდეგ იწყება სხვა, დაუსრულებელი ცხოვრება. და ყოველი ადამიანი – ბავშვი, მოზარდი თუ ზრდასრული – უნდა ემზადებოდეს იმ დღი

ცხოვრებისათვის.

დღეს, ჩვენ ირგვლივ ბოროტება მძვინვარებს, რისი მიზეზიც თითქოს აუხსნელია, რადგან მეცნიერულ და ტექნიკურ სიახლეებს ზღვარი არა აქვს, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამაგიეროდ, უზარმაზარი ნაბიჯებია გადადგმული უკან, მორალისა და სულიერების სფეროში, ყოველივე ნათელი გახდება.

ზეცის ხმა ოდნავდა ესმის ჩვენს ასე სუსტად განვითარებულ სმენას. ზოგჯერ განმარტობითაც უნდა დავტკბეთ, რათა ყურადღება შინაგან ცხოვრებაზე გადავიტანოთ და უმაღლესი რეალობის არსებობა ვიგრძნოთ.

თუ ამ ცოტა ხნის წინ ვოცნებობდით, რომ ადამიანს რწმენა მაინც ჰქონოდა და ღმერთი არ უარყო, დღეს ეს უკვე საკმარისი აღარ არის, დღეს უკვე იგი ეკლესიურიც უნდა იყოს; ანუ, ისე უნდა ცხოვრობდეს, როგორც ამას ეკლესია მოითხოვს: ლოცვით, მარხვით, წმინდა ზიარების მიღებით. ზოგჯერ ჰგონიათ, რომ ეს მხოლოდ გარეგნული წესებია, რომელთა შესრულება სრულიად არაა საკვლევებულო, მაგრამ ლოცვის, მარხვის, ზიარების, სანთლის ანთების თუ ხატის თაყვანისცემის გზით, ჩვენთან მოდის მადლი უფლისა, რომელიც მასთან გვაახლოებს.

ვერანარი მიწიერი სიმდიდრე სულიერ სიღარიბეზე ვერ ამოავსებს. მატერიალურმა სიმდიდრემ კიდევ უფრო წარმოაჩინა და აუტანელი გახდა სულიერი სიღატაკე, ამიტომ ადამიანმა კვლავ დაიწყო ძიება მარადიულისა და წარუვალის.

თუ ჭეშმარიტი რწმენით, სიყვარულითა და სასოებით შევიძინებთ და მივწვდებით უფალს, ყველანაირ განსაცდელს გავეუძლებთ და გავიმარჯვებთ.

თუ სულიერი საუნჯე გააჩნია ადამიანს, მიწიერი საუნჯე მას აუცილებლად ექნება. რომელიც აგროვებს მიწიერ საუნჯეს, მისი გულიც იქ არის. და, თუ გული მიწიერთანაა, უკვე სულიერი მას არაფრად სჭირდება, სულიერი მისთვის უცხოა. რწმენა, გონიერება სიყვარული და ნებისყოფა იყო და არის ადამიანის ერთადერთი მკურნალი და დამცველი.

როგორ შეიძლება ადამიანმა ისწავლოს ისეთი სავნები, როგორცაა ქიმა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია და არ ისწავლოს, რა არის რწმენა, რა არის სიყვარული, რა არის შენდობა და შერიგება, მიტევება ცოდვათა?!

როცა ადამიანი შეიცნობს თავის თავს, დაინახავს, რომ შეიძლება ჩვენ ხშირად ვხდებით მონები და აღმასრულებელინი ამ ბოროტი სულებისა, დაინახავს, რომ

ძალიან ხშირად ვაკეთებთ იმას, რაც არ გვწავია. და დაინახავს, რომ თვითონ ადამიანში არის ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. აი, ამიტომ, ძალიან ხშირად უნდა ჩავიხედოთ ჩვენს თავში, გულსა და გონებაში.

რაც დრო გადის, ჩვენი მსჯელობა და აზროვნება, დამოკიდებულება სერიოზული საკითხებისადმი უფრო და უფრო ზედაპირული ხდება, განსხვავებით ჩვენი

სულიერ ბრძოლაში გამარჯვება გმირობის ტოლფასია.

უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებისადმი ჩვენი დამოკიდებულება უნდა შევცვალოთ. ჩვენ ხომ ზედმეტად თავდაჯერებულნი ვართ და ხშირად ვფიქრობთ, რომ წარმატება ან წარუმატებლობა ჩვენზე, ან გარკვეულ გარემოებებზეა დამოკიდებული და მიზეზ-შედეგობრივ ანალიზს არ ვაკეთებთ.

თუ სულიერი საუნჯე გააჩნია ადამიანს, მიწიერი საუნჯე მას აუცილებლად ექნება. რომელიც აგროვებს მიწიერ საუნჯეს, მისი გულიც იქ არის. და, თუ გული მიწიერთანაა, უკვე სულიერი მას არაფრად სჭირდება, სულიერი მისთვის უცხოა.

წინაპრებისაგან, რომელნიც ლოცვის ყოველ სიტყვასა და მის დედააზრს ძალიან ღრმად განიცდიდნენ.

რა შეიძლება იყოს სინათლეზე უფრო სასიამოვნო?! მისკენ ისწრაფვის ყოველი ცოცხალი, მისით არსებობს, მისით ხარობს, მაგრამ როცა სინათლის სხივი სწეულ თავს მოხვდება, აღიზიანებს და მწვავე ტკივილს იწვევს. ასევეა სულიერ ცხოვრებაშიც.

საკმარისი არ არის, ვთქვათ, რომ ჩვენ ვართ მართლმადიდებელი ქრისტიანები. ჩვენი სარწმუნოება უნდა ჩანდეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენს საქმიანობაში.

სიწმინდე, თავისთავად, ღვაწლის გაწევის გარეშე არ მოდის. როგორც უფალი გვასწავლის, მადლი ღვთისა და სასუფეველი ცათა იიძულების, ესე იგი, ადამიანმა თავისი თავი უნდა აიძულოს და ზეციური სასუფეველი ისე უნდა მიიტაცოს.

ქრისტიანობა და თავის თავში ჩაკეტილობა ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია. ღირსი მამის, ანტონ დიდის აზრით, ერთადერთი გზა ადამიანის ღმერთთან მიახლოებისა, არის დაახლოება მოყვასთან სიყვარულით, შენდობით, სასოებითა და სიკეთით.

ქრისტიანისთვის ყოველი ადამიანი, რა ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, და რა სარწმუნოებისაც, მოყვასია და ღვთის წინაშე ვალდებულია უყვარდეს ის. მოწყალე სამართლის იგავი ამის ნათელი დადასტურებაა.

ქრისტიანად ყოფნა ნიშნავს განახლების გზით მუდმივ სვლას, მადლისა და ცოდნის განუხრელ ზრდას, ჩვენს სულში სრულყოფილების, ღვთის მსგავსების აღდგენას.

ამირან-ლაზარე სინაურიძე

დედაჩემი ქრისტესთან მივიდა

მამა ეფრემ კატუნაკელის დედას მონასტერში წასვლა სურდა, მაგრამ ოჯახი შექმნა. საოცარი სულის ადამიანი იყო, სიკვდილის წინ ღვთისგან დაფარულმცოდნეობის ნიჭი მიეცა. მამა ეფრემის კურთხევით, იგი მონაზვნად აღკვეცეს. როცა ვარდაიცივალა, მისი სხეულიდან მირონი წამოვიდა. მამა ეფრემმა აღიარა: „ხედავთ, რა მოხდა! მე ერთგვარად შურით შევცოდებურბალო სოფლებმა, უსწავლებლმა ქალმა რას მიაღწია! როცა მისთვის ვლოცულობდი, ვიღებდი, კი არ

გავცემდი. სიხარულით ვივსებოდი. ვნახე ხილვასავით, დედაჩემი ქრისტესთან მივიდა. „კეთილი იყოს შენი მობრძანება, მარიამ!“ – ჩვენ აქ წლობით ვშრომობთ, რომ ასეთ მღვდმარეობას მივაღწიოთ.“
მამა ეფრემი ამბობდა, საღმრთო გამოცხადებით შევიტყვე, დედაჩემის და მამა იოსების სულიერი მღვდმარეობა ერთნაირიაო. „მას არ ჰყავდა თვალწინ მისაბაძი მაგალითი – თავისთვის იყო და მწუხარებათა ჟამს მოთმინებით ცხონდა“.

სულთა ხაზვირი

აი, იხილე ის, რაც გინდოდა, გიხაროდენ!

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მარიამი ერთადერთია დედამიწაზე ნაშობთა შორის, ვისაც მიწიერი სიკვდილი არ განუცდია და არც სულთა საზვერეთსაცავი გაუკვლია. მან 63 წლის ასაკში მიიძინა და თავისი ძის, უფალ იესო ქრისტეს მკერდზე მირჩეული იქნა აღტაცებული ზეციურ დიდებაში.

უფლის დედა ყველასაგან გამორჩეულია თავისი ღრმა სულიერებითა და წარმოუდგენელი კაცთმოყვარებით, როგორც მისი თანამედროვე ამბროსი აღწერს: „წმინდა ქალწული იყო მდაბალი, ღვთაებრივი სიბრძნით აღვსილი, საუბრობდა ძალიან ცოტას და აუცილებელს, კითხულობდა დაუღალავად, იყო შრომაში ფხიზელი, საუბარში ბრძენი, არავის შეურაცხყოფდა, ყველას უსურვებდა სიკეთეს. მისი პირიდან გამოდიოდა ღვთაებრივი მადლი, საქმეები მისი უბიწოებით ბრწყინავდა.“ დაპირები-სამებრ, ყოვლადწმინდა ქალწული მარიამი მიძინების შემდეგაც ბევრ ადამიანს ეხმარება სხვადასხვა სიძნელის გადალახვაში. თუ რა სასწაული დაუშვა მან მიცვალებულზე, ამის შესახებ ღირსი პავლე თავის ხილვას გვანდობს; ღირს პავლეს, რომელსაც უწოდებდნენ უბრალოს, ერთი მოწაფე ჰყავდა, რომელიც ხშირად სხვადასხვა

ცოდვაში ვარდებოდა. როცა გარდაიცვალა, პავლე ბევრს ლოცულობდა მისი სული-სათვის. განსაკუთრებით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს სთხოვდა, ეჩვენებინა ადგილი, სადაც მისი მოწაფის ცოდვილი სული იმყოფებოდა და ყოვლადწმინდა დედას ავედრებდა მას. ღირსმა პავლემ ერთხელ ლოცვის დროს, მართლაც იხილა გარ-

ჩემი მოწაფე საშინელ მდგომარეობაში, როგორ არ ვიგლოვო მისი საშინელი სული?“ ამაზე ღვთისმშობელმა უპასუხა: „შენი შრომა და მოთმინება შეწირულ იქნა. მე დაგამშვიდებ შენ, გაჩვენებ მას იმ მდგომარეობაში, როგორშიც შენ გინდოდა გეხილა“. მეორე დღეს პავლემ იხილა თავისი მოწაფე მხიარული სახით: „შეისმინა

მამა პავლეს ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა: „რაგომ დარდობ და გლოვობ, მოხუცო?“ მან უპასუხა: „მე ვნახე ჩემი მოწაფე საშინელ მდგომარეობაში, როგორ არ ვიგლოვო მისი საშინელი სული?“

დაცვილი მოწაფე, თავით ფეხებამდე ქვეით გარშემორტყმული. შეშინდა და ამ ხილვის შემდეგ უფრო გულმოდგინედ დაიწყო ლოცვა მისი სულის გადასარჩენად, ხშირად იხსენიებდა მას კეთაში, ინახავდა მარხვას მის სახელზე და მის მოსახსენიებლად გასცემდა მოწყალებას. რამდენიმე დღის შემდეგ მამა პავლეს ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა: „რატომ დარდობ და გლოვობ, მოხუცო?“ მან უპასუხა: „მე ვნახე

ღვთისმშობელმა შენი ლოცვა მამაო, რადგან მას ძალიან უყვარხარ და ჩემზე მოწყალება სთხოვა მაცხოვარს, რომ ვეხსენი ცოდვებისაგან, რომლითაც გარშემორტყმული ვიყავი, ვითარცა ქვეითი“. ამის შემდეგ ღირს მამას ისევ გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: „აი, იხილე ის, რაც გინდოდა, გიხაროდენ! არ დაიზარო, მუდმივად ილოცე შენი მიცვალებული ძმის სულზე, გაეცი მის სახელზე მოწყალება და მოიხსენიე იგი კეთაში, ამით შეეწევი და გადაარჩენ მიცვალებულს!

ერთ მიცვალებულზე კი ასეთი სასწაული შემოგვინახა ისტორიამ: ვერდუნის დასახლებაში ერთი დიაკვანი მოკვდა. საფლავში ჩასვენების წინ იგი გაცოცხლდა, წამოდგა და მოყვა, რომ ნახა ადგილები მუდმივი სიძნელისა და მუდმივი ნათლის, როდესაც მონინდომეს მისი ჩაგდება მუდმივ სატანჯველში, მაშინ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა გამოითხოვა მისი სული, რათა კვლავ დაებრუნებინათ წუთისოფელში, რომ ხშირი აღსარებით, ზიარებით, კეთილი საქმეებით, მოწყალებით, მარხვითა და ლოცვით ღმერთს ძველი ცოდვები შეენდო მისთვის.

ამირან-ლაზარე სინაურიძე



მონასტერი

თავაპეთულას მონასტერში ერთი ბერის აღვლენილი ღოცვა

ბმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის მონასტერში წლების წინ მოხვედრა მხოლოდ მდინარეში ფეხით გასვლით შეიძლებოდა. ამჯერად დაუბრკოლებლად მიეახლებიან თავაპეთულას გამოქვაბულს. მდინარეზე ხიდის გაგლის შემდეგ, ვიწრო ბილიკმა გამოქვაბულამდე მიგვიყვანა. წინ ერთი ბერი შემოგვევება და მეგზურობაც გაგვიწია. დიდი თხოვნის შემდეგ „კარიბჭისთვის“ მცირე საუბარზეც დამთანხმდა. **ბერი ალექსი** ოცი წელია, ღვთისმსახურია. თავაპეთულას მონასტერში კი ორი წელია მსახურობს.


– მონასტერი ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიას ეკუთვნის. წინამძღვარი მეუფე ნიკოლოზია. მე კეთილმოწესე გახლავართ, – მიამბობს მამა ალექსი.

– მამაო, ხომ არ იცით, როგორ აღმოაჩინეს აქაურობა?

– თავაპეთულას მონასტერი მეუფე იობმა ოცი წლის წინ აღმოაჩინა. გაცუბულები იყვნენ აქაურობის ნახვით. სოფელმა იცოდა ამ ადგილის არსებობა. აქვეა სოფელი აფნია და თმოგველები, რომლებსაც აქ მინდვრები აქვთ. თიბვის დროს სიცხეს თავს ამ გამოქვაბულში აფარებდნენ. გამოქვაბულის ერთ კედელზე თურმე წყალი გროვდებოდა და სასმელად იყენებდნენ. აქვეა ქვის ემბაზი, ინათლებოდნენ კიდევაც და ერთგავრად წყლის რეზერვუარიც ჰქონდათ. გაჭირვების ჟამს აქ ცხოვრება შეეძლოთ.

როგორც მეუფე იობმა თქვა, ტაძარი VII-VIII საუკუნეებისა უნდა იყოს. გამოქვაბულში ორი დიდი ლოდია. მტრის შემოსევის დროს შემოსასვლელს ამ ლოდით შეგინდან გმანავდნენ. ტრაპეზის ქვაც გამოკვეთილია.

ოცი წელია, ყოველი წლის 11 სე-



მამა
არსენი

ქტემბერს, თავაპეთულობას იკრიბებიან სასულიერო პირები, მორწმუნეები.

– თავაპეთულას სახელიც საიდან წამოვიდა?

– მეუფე იობი ადრე აქაურ მხცოვან ბაგრატ პაპას ელაპარაკა, მეც ვიცნობდი ბაგრატ პაპას. ბრძენი ადამიანი, მებაღე იყო. მან თქვა, ამ ადგილს თავაპეთულა ერქვას. ადრე აქაურობას სამერცხულს ეძახდნენ, იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის ტაძარია. აქ სასწაულებიც ხდებოდა, ყოველ წელს, ტაძრის დღესასწაულზე, მდინარეზე წყალი იწვევდა და ფეხით გადადიოდა

ხალხი. წირვის შემდეგ თუ ღიბხანს დარჩებოდნენ, წელამდე წყალში გასვლა უწევდათ. ორი წლის წინ წყალმა არ დაიწია. თურქებს ჰესი აქვთ გაკეთებული, გაუმვეს წყალი და ხალხს გაუჭირდა გადასვლა. მაშინ გადაწყდა აქ ხიდის აშენება. ამ დროიდან თავაპეთულაზე მონასტრული ცხოვრებაც აღდგა.

შეგვეწიოს თავაპეთულას მონასტრის მადლი.

თეა ცაგურიშვილი

აფხაზეთის ომი

ეს გლჰკარი ბაქრა, რაღბან სინამდვილეში ომი არის ბანსაწმენდელი

სოხუმის დაცემიდან 25 წელი გავიდა. გუშინდელ დღესავით გვანსოვს სახელმილიანი უნივერსიტეტელი ბიჭები ცისფერი ეკრანიდან, მხიარულებასა და საზრიანობაში თანატოლებს რომ ეპაექრებოდნენ. საახალწლოდ კვლავ ეკრანზე, ჯარისკაცის ფარაჯებში, „თეთრი არწივის“ მართვითა შორის იდგნენ, მათთან ერთად გვილიმოდნენ, გვანუგეშებდნენ, „მრავალჟამიერს“ მღეროდნენ...

სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულებს, მომავალი ცხოვრების უსაზღვრო იმედები ჩამოჰყვათ თან.

კვლავ უნივერსიტეტის კედლებში გავრძელდა ცხოვრება...

და აი, გაგრის დაკარგვის შემდეგ, სტუდენტებმა „თეთრი არწივის“ ბრიგადის გენერალს, გაა ყარყარაშვილს, საარტილერიო დივიზიონის შექმნის უფლება სთხოვეს და სამკვირიანი მომზადების შემდეგ, აფხაზეთს გაემგზავრნენ. დივიზიონში, ლენინგრადის საარტილერიო სასწავლებლის კურსდამთავრებული, ავთანდილ წიკლაური რომ მეთაურობდა, თავდაპირველად 23 კაცი იყო. ძირითადად ფიზიკოსებმა მოიყარეს თავი.

ლაბრა, კვიტოული, ტაშიში, გუმიხთა. თავგანწირული ბრძოლები. კრწანისის ყაყაროებით მოცული ბიჭები: ვია ჯვოლიძე, გონა წულაია, ლოვა ავაქოვი, ელუნა იკაევი და მრავალი სხვა. მეგობრობა და მტრობა, ზრუნვა და უსულგულობა, სიყვარული და შურისძიება. ყველაფერი სულს ცხოვლად დააჩნდა.

ერთბაშად მოხლვაჰდა: თაჰვისუფლია, სისხლის ყივილი, რომანტიზმი დიტიო ბუხსიანიძე:

– 23 წლისანი ვიყავით. ჩვენი მეგობრობა უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა. თსუ-ს ხალხური სიმღერების გუნდში ვმღეროდით ერთად. მერე ომი დაიწყო და, როგორც აღმოჩნდა, ყველამ ჩვენთვის გადავწყვიტეთ ომში წასვლა. ადრე, საბჭოთა კავშირის დროს ავღანეთის ომში „მამლუქებად“ გზავნიდნენ ქართველ ჯერ უწვევრულ ვაჟაკებს. რაც ჩვენი ქვეყნის ღირსებისთვის აბსოლუტურად არაფერს ნიშნავდა, თუმცა პიროვნულ დონეზე თითოეული მათგანი უღრმეს პატივისცემას იმსახურებს. უცებ კი მოგვეცა ჩვენივე ქვეყნის დაცვის შესაძლებლობა. ეს დიდი ამბავი იყო. ერთბაშად მოხლვაჰდა: თავისუფლება, სისხლის

ყივილი, რომანტიზმი.

მოკლედ, გაირკვა, რომ ყველა ომში წასვლას ვაპირებდით, ვიფიქრეთ, რაღაცალ-ცალკე, ბარემ ყველანი ერთად წავიდეთო. ამ დროს შემოგვიერთდნენ ავღანეთგამოვლილი ზაზა სულაბერიძე, ვია ლობჟანიძე და ბესო ქათამაძე. ნოემბერში სოხუმში ჩავედით, სადაც ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობდა. სულ ერთად ვიყავით და ომში ჩვენი მეგობრობა უფრო გამყარდა. დივიზიონში, ომის მანძილზე, სულ 35 ბიჭი ვიყავით. ბევრი მათგანი აფხაზეთში დაიღუპა, ნაწილიც კი ომის შემდეგ გამოგვეცალა ხელიდან. ღვთის წყალობა იყო, ალბათ, რომ ყველანი ერთი ჭკუისანი შევიკრიბეთ. ერთნაირად მოაზროვნები. ერთნაირი ფასეულობები გვქონდა; ნაღდი ადამიანობის, მეგობრობის, ავისა და კარგის გარჩევისა და ცნობის ერთნაირი უნარი.

თვალდაუხუჭული ვენდობოდით ერთმანეთს. ჩვენი არტილერია კინდლთან იბრძოდა. პირველი მსხვერპლი ზუსტად 19 იანვარს, ნათლისღებას გაიღო ჩვენმა ბატალიონმა. დაგვეღუპნენ გონა წულაია და ლოვიკა ავაქოვი. მე იმ დროს თბილისში ვიყავი და კარგად მანსოვს, იაგო მელაშვილმა რომ დამირეკა და გამაგებინა ეს ამბავი. მთელი დღე ხმა არ ამომიღია. ჩემები მიხვდნენ, რომ მეგობრები დამეღუპნენ. მანსოვს, დედა როგორ ატირდა.

უთანასწორო ბრძოლა

დაკარგულ თანამებრძოლებზე საუბარს თანამებრძოლი ბიძინა ზატიაშვილი აგრძელებს:

– 16 მარტს დაიღუპა ჩვენი ოსი თანამებრძოლი ელუნა იკაევი. მანამდე კი იყო ერთი ლამაზი დღე. ელუნას ომში 19 წელი შეუსრულდა. სოხუმის ახალი რაიონის მოსახლეობა წყაროზე იღებდა წყალს და იმ წყლის რიგში გაიცნო ქართველი გოგონა. ერთი-ორჯერ შინაც მიატანინა წყალი. მოეწონათ ერთმანეთი. მოვიდა და გამოგვიცხადა, – ჩემი მეუღლეა, გაიცანიეთო. პატარა პურ-მარილიც გაეშალეთ. დაბადების დღე და ქორწილი ბიჭებმა ერთად გადავუსადეთ. მაგრამ ომი რის ომია, ნათელი დღე რომ არ დაგინელოს. იმ დამით, მოწინააღმდეგემ სოხუმზე მასირებული შეტევა დაიწყო. გვბომბავდნენ ავიაციით, ტანკებით, არტილერიით, მსხვილკალიბრიანი სხვა იარაღით. ბევრი მეომარი დაეცა იმ დამით ბრძოლის ველზე. ელუნაც იმ დამით დაიღუპა უთანასწორო ბრძოლაში. სწორედ, ელუნას და მისნაირების დამსახურებაა, რომ იმ დამით სოხუმი ვერ აიღეს და ძალიან დიდ მსხვერპლად დაუჯდა

აფხაზეთის ომის
მემორიალი
25 წლის შემდეგ



მოწინააღმდეგე მხარეს. იმ დამით, კახა მახარაძე, რომელიც ეღუნას გვერდზე იყო, სასწაულებრივად გადარჩა. წარმოიდგინეთ, სამი ნატყვიარი ვნახეთ მის ფორმაზე. ერთი ნაკაწრიც კი არ ჰქონდა სხეულზე. გუმისთაზე შემოტყვევის დროს ზღვას კელასურის მხრიდან კატარლები მოადგნენ. სოხუმში დესანტის გადმოსხმას აპირებდნენ. სწორედ იმ დამეს იმარჯვეს ალიკა პაპაშვილმა და იაგო მელაშვილმა, ზღვაზე კატარლა ჩაძირეს, რის შემდეგმაც ზღვიდან დესანტის გადმოსხმაზე მტრებმა უარი თქვეს და იძულებულები გახდნენ, უკან დაეხიათ.

აფხაზეთში ჯილდოსათვის არავენ წავსულვართ, მაგრამ გულოს ეამება, შენი მეგობრის, შენი თანამებრძოლის ღვაწლს სათანადოდ რომ შეაფასებენ. თუმცა არ ღირს ამაზე ლაპარაკი...

ინინი მხოლოდ მკვდრებს მოეჩივნა

იმ ხანად სოხუმი გადარჩა, მაგრამ უამრავი ხალხი დაიღუპა. საიდან უნდა გაეგოთ ჩვენებს, ცოცხლები ვიყავით თუ მკვდრები. ერთადერთი სალაპარაკო პუნქტი იყო სოხუმში, საიდანაც

შინ დარეკვა შეგვეძლო. რიგები იდგა. მახსოვს, ჩვენმა თანამებრძოლმა „ციტრუსამ“ (გია ლურსმანაშვილმა) თავისიანებთან, ხარაგაულის რაიონში დარეკა და პირველი ის იკითხა: – ჩემი ცხენი

გავიხელოთ და სასაფლაოზე მოდის „ციტრუსას“ ცხენი. მოვიდა, საფლავთან შეჩერდა, დიდხანს იდგა და დაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები...

როგორ არისო... მხოლოდ 22 წელი იცოცხლა „ციტრუსამ“ და ამ ხნის მანძილზე ალამაზებდა თავისი ოჯახის, სოფლის, მეგობრების, ახლობლების ცხოვრებას სუფთა და კეთილი გულით. გასვენებაში ვიყავით. დაკრძალვის შემდეგ მხოლოდ ჩვენ და ვიას ძმა დავრჩით სასაფლაოზე. ღვინოს

ვსვამდით, ვიხსენებდით. გავიხელოთ და სასაფლაოზე მოდის „ციტრუსას“ ცხენი. მოვიდა, საფლავთან შეჩერდა, დიდხანს იდგა და დაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები... გია სტიქაროსანიც იყო. ერთხელ თბილისში კარს მომადგა – ჩემი საცოლე გაიპარაო. ძალიან წუხდა... აღმოჩნდა, რომ საცოლის დაქალი და მისი შეყვარებული გაპარულან და ეს გოგო გაჰყოლია ხელისმომკიდედ. ეჰ, აუხდენელი დარჩა ოცნება – მშრომელ და პატიოსან ოჯახში გაზრდილს, ასეთივე კერა შეექმნა.

მერე იყვნენ: იაგო მელაშვილი და ალიკა პაპაშვილი.

ალიკა პაპაშვილი ჩვენზე უფროსი იყო – 36 წლის (37-ისა ომში გახდა). ვესუძრებოდით, რა გინდა ომში, ისედაც მოკვდებიო. არადა სულ ახალგაზრდა წავიდა ამქვეყნიდან.

ვერც ერთს ვერ გამოარჩევ. ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ. ყველაზე მეტად მახსენდება მამუკა კაკვაჭიშვილის სიკვდილი 1-ელ ივლისს. რადგან სიკვდილიც არის და სიკვდილიც. ასეთ სიკვდილს სხვანაირი გამბედაობა ჭირდება. ჩვენი ბიჭები ალყაში მოაქციეს ზავის დროს. უამრავი მებრძოლი დაიღ-

უბა მაშინ: ავთო წიკლაური, ბენო ვაშაკიძე, გელა შამანაური, ალიკა პაპაშვილი, ირაკლი ქიმერიძე, ვანიკა სააკიანი, რუდიკა ხაჩატურიანი, ვია ლურსმანაშვილი.. მამუკას გონება გაეთიშა. აზრზე რომ მოვიდა და დაინახა, ყველანი დასოცილიყვნენ, ადგა და განწირულმა მტერს მარტომ შეუტია. უკანასკნელ ტყვიამდე იბრძოლა. მერე ისიც მოკლეს.

ჩავსვით თვითმფრინავში და გაუშვით რუსეთში. დაგვიბარა, – ყველგან მოგვები, თუ ვინ არიან ქართველებიო. თითი არ დაგვიკარებია. რადგან უიარაღო ტყვე კაცის გასაზიზღრება არ შეიძლება. ჩვენ (არც „თეთრი არწივის“, „ავაზას“, „თეთრი გიორგის“ და სხვა დანაყოფების ბიჭებს) ასეთი რამ არასდროს გვიკადრებია.

აფხაზეთიდან დაბრუნებული დავრწმუნდი, რომ ის ღირებულებები, რითაც ჩვენ ვიმრღებოდით, მღაპარი იყო. ეს მღაპარი გაქრა, რადგან სინამდვილეში ომი არის განსაწმენდელი. ისეთ რაღაცეებს ნახავ ომში, წიგნებშიც რომ ვერ წაიკითხავ.

ესეც არ აკმარეს. მკვდარი ცემეს. იგივე ბედი ეწიათ ალიკა პაპაშვილს და ირაკლი ქიმერიძეს. მტრისთვის ძვირად დათმეს თავიანთი სიცოცხლე. ისინიც მხოლოდ მკვდრებს მოერივნენ. მამუკას კონდახებით ჰქონდა თავი ჩამტერებული. ნავარჯიშები ბიჭი იყო და ტანით ვიცანით.

ესეც იმის ტესტია, თუ ვისთან, რა რჯულის მტერთან გაქვს საქმე. ომში ისე უნდა მოიქცე, როგორც ამას ომი ითხოვს, მაგრამ არსებობს კანონები, რომლებიც ომის სისასტიკეზე მაღლა დგას. მეომარს თავისი მტრის იოტი-სოდენა პატივისცემა მაინც უნდა ჰქონდეს. მკვდარს როცა სცემ, სხვა რამეს ნიშნავს. მკვდარზე შურისძიება ლაჩრობაა, ტყვესაც ღირსეულად უნდა მოეპყრა. აფხაზებმა დაატყვევეს თემურ სირაძე, რომელიც მაშინ 16 წლის იყო და საშინელი დღეები გამოიარა ტყვეობაში. ჩვენც გვყავდა ერთი ტყვე. პეტერბურგელი სერგეი ბრიულოვი. პატარა ბიჭი იყო. არაფერს ვუშავებდით. არ ცვემდით. პირიქით, მათემატიკაში, ფიზიკაში, ისტორიაში ვამეცადინებდით. ვეუბნებოდით, სირცხვილია, ამხელა ჯორს დისკრიმინანტის გამოყვანა რომ არ შეგძლიაო. აფხაზები ამინებდნენ თურმე, ქართველებს თუ ჩაუვარდით ტყვედ, სიკვდილს განატრებენო. ბოლოს, წასვლა აღარ უნდოდა აფხაზებთან. ჩვენ ჩაფიქრებული გვქონდა, რომ თემურ სირაძეზე გაგვეცვალა, მაგრამ ერთ თვეში დაგვიბრუნეს თემური. მერე ეს რუსი ტყვე

საქართველოს თავისუფლებასა და ტერიტორიულ მთლიანობას შეეწირა ჩვენი თანამებრძოლი, ახალგაზრდა მეცნიერი ირაკლი ქიმერიძე.

28 წლისა იყო. ხანმოკლე სიცოცხლე სწავლასა და შრომაში გაატარა. თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა. სადისერტაციო ნაშრომის დასრულებას ბევრი აღარაფერი აკლდა, საუბედუროდ, არ დასცალდა.

აფხაზეთში მოხალისედ წამოვიდა, თავისი დაჭრილი ძმა შეცვალა. აფხაზეთში აითვისა არტილერიისტიის რთული სპეციალობა და ქვედანაყოფში ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი იყო. წყნარი, თავმდაბალი და ზრდილობიანი, ყველას უყვარდა. ომშიც კი არ ისვენებდა. სადოქტორო ნაშრომზე მუშაობდა თავისუფალ დროს, უკრავდა გიტარაზე, ვიოლინოზე, პიანინოზე.

პირველ იენისს დაღუპულთაგან ყველაზე ბოლოს ავთო წიკლაური გადმოვასვენეთ. გოჩა წულაია და ავთო წიკლაური ჯგუფელები იყვნენ, მათემატიკურზე სწავლობდნენ უნივერსიტეტში. ავთომ სამხედრო სასწავლებელი (საარტილერიო ინსტიტუტი) დაამთავრა პეტერბურგში. მერე, ქვეყანა რომ აირია, ჩამოვიდა და ჩააბარა მათემატიკურზე. ავთო და გოჩა ერთად მოვიდნენ ჩვენთან. ავთო ჩვენს მეთვალყურედ დანიშნეს. 25 წლისაც არ იყო, უფალმა თავისთან რომ იხმო.

მადლიერება

– როგორ ფიქრობთ, თქვენ რამ გადაგარჩინათ ამ ფიცხელ ომში?

ლიტო ბუნსიანიძე:

– ვიდრე ომში წავიდოდით, დავიწყეთ კლდისუნის წმინდა გიორგის ეკლესიის აღდგენა, ნარიყალაზე. ომიდან დაბრუნების შემდეგ იქ გვინდოდა მგალობლებად დარჩენა. ომი გამოვიარეთ ნაკაწრის გარეშე. გუმისთის ბრძოლაში მოვეყვი. მასირებულად გვბომბავდნენ, გამოენიამდე, სოხუმის ახალ რაიონში. წვივიდან ბომბის პატარა ნამსხვრევი ამომიღეს მხოლოდ. ვერც ვიგრძენი. სიყვარულით მინდა გავისენო აფხაზი ცოლ-ქმარი, ჟორა და თამარ ნამბები, ფილტვების ანთებითა და კუჭის წყლულით დაავადებულს, საკუთარი შვილივით რომ მომიარეს.

ერთიც მინდა გავისენო. 1 ივნისის ბრძოლაში ჩვენებიდან ოთხი კაცი გადაგვირჩა: ზაზა დავლაძე, ბესო ქათამაძე, ზურა მახარაძე და თემო სირაძე (ტყვედ აიყვანეს). მანამდე ანჩისხატის მგალობლები იყვნენ ჩვენთან ჩამოსულები. პატარა ტყავის ყდიანი ლოცვანები დაგვიირავეს. ზურა მახარაძე გულის-ჯიბეში ჩადებულმა, ნაჩუქარმა „ლოცვანმა“ გადაარჩინა. ტყვიას მიმართულება შეუცვალა და მხოლოდ მსუბუქი ჭრილობით გადარჩა.

ბიძინა ზათიაშვილი:

– დედაჩემი რუსი წმინდანის, მამა დიმიტრი ვოზნესენსკის პირდაპირი შთამომავალია. დედა, რომელიც პურის მღაზინაშიც კი არ მიდიოდა მანქანის გარეშე, ერთ დღეს, დილით ადგა და ფეხით წავიდა სვეტიცხოველში. სანთლები დაანთო და ვისი სახელიც ახსოვდა, ყველა მოიხსენია. უვნებელი რომ დაგებრუნდი ომიდან, მისი ლოცვის წყალობაა. დედის ლოცვა, ხომ იცით, ღვთისმშობლის ლოცვასთან არის გატოლებული.

ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი ამ ბიჭების უმანკო სულებს, რომელთა სახელებს დავიწყება არ უწერია:

- ალიკა პაპაშვილი – 1957-1993 (01.06).
- ირაკლი ქიმერიძე – 1965-1993 (01.06)
- ვია ლურსმანაშვილი – 1972-1993 (01.06)
- გელა შამანაური – 1966-1993 (01.06)
- ავთო წიკლაური – 1968-1993 (01.06)

ბესო კვიციანი – 1964-1993 (01.06)

მამუკა კაჭკაჭიშვილი – 1966-1993 (01.06)

ლევან ავაქოვი – 1967-1993 (19.01)

გონა წულაია – 1969-1993 (19.01)

ვანია სააკიანი – 1959-1993 (01.06)

რუდიკა ხაჩატურიანი – 1966-1993 (01.06)

ელენა იკაევი – 1974-1993 (16.03)

ბენო ვაშაკიძე – 1969-1993 (01.06)

გია ჭითანავა – 1965-1993 (19.09).

თემური ლომთათიძე – 1949 (02.07).

ემზარი რაზმაძე – 1968 – უგზო-უკვლოდ დაკარგული.

ნუგზარი რაზმაძე – 1966 – უგზო-უკვლოდ დაკარგული.

– სოხუმის დაცემის დღემდე იბრძოდით, მაგრამ აფხაზეთი მაინც დაეკარგეთ. თუმცა ოთარ ჭილაძის სიტყვებით: „დაკარგული ის არის მხოლოდ, რის დაკარგვასაც ვეგუებით“. თქვენ შეეგუებით როდესმე ამას? ღიტი() ბუხ სიანიძე:

– ვერასდროს და ამიტომაც აფხაზეთი დაკარგული არც არის. თბილისელს რა მინდოდა აფხაზეთში? მინდოდა. მორჩა და გათავდა! სანამ ჩვენ ვართ, ის დაკარგული ვერ იქნება. ამის გარდა, აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველები ვერასდროს ამას ვერ შეეგუებიან. გასაგებია. მათი შვილები აქ გაიზარდნენ და იმათ ისეთი კავშირი აღარ აქვთ წინაპრების მიწა-წყალთან. მაგრამ ადრე თუ გვიან, როცა დადგება საკითხი: წავიდეთ აფხაზეთში, მათგან აქ დამრჩენი არავინ არის. ყველა დაბრუნდება. რას ჰქვია ჩვენი მიწა?.. ჩვენ გვეკუთვნის მხოლოდ ორი კუბური მეტრი მიწა, რომელსაც ზემოდან დაგვაყრიან და დამთავრდა. მაგრამ სულიერი თვალსაზრისით, მიწა სხვანაირი, მისტიკური კავშირითაა. ჯერ ერთი, აფხაზეთში არის უამრავი ადამიანის საფლავი. ახლობლობა, ნათესაობა, გვარი, სისხლი და ხორცი. ამას რანაირად დაკარგავ? ბიძაჩემი სოხუმელი იყო. თავისი ხელით აშენებული და გამშვენებული, ორსართულიანი სახლი ჰქონდა წამოჭიმული დიდებულ ეზოში. თბილისში გარდაიცვალა ანგერისხით. ბოლო წუთამდე სულ იმას ამბობდა, რაში მაინტერესებს სახლი, ოღონდ იქ დავბრუნდე და თავიდან ავაშენებ, ყველაფერს თავიდან დავიწ-



სოხუმი

ყებო. აფხაზეთს ასე ადვილად არ დათმობს ქართველი. ჩემი თაობა, ყოველ შემთხვევაში.

მტარი სისტემა და არა ალაშიანი

– რა მოგვით აფხაზეთის ომში მონაწილეობამ. რისი სკოლა იყო ეს ომი?

ღიტი() ბუხ სიანიძე:

– აფხაზეთიდან დაბრუნებული დავრწმუნდი, რომ ის ღირებულებები, რითაც ჩვენ ვიზრდებოდით, ზღაპარი იყო. ეს ზღაპარი გაქრა, რადგან სინამდვილეში ომი არის განსაწმენდელი. ისეთ რაღაცებს ნახავ ომში, წიგნებშიც რომ ვერ წაიკითხავ. ყველაფერს უყურებ შენ თვალწინ. ომი ლაკმუსით ამჟღავნებს ალაშიანებს. ვინც ვარგა – ვარგა... ვინც არა – არა. მნიშვნელობა არა აქვს, ვინაა და საიდანაა. გარკვეულწილად, კრისტალიზაცია ხდება. თუ მორალური და ესთეტიკური საყრდენი არ გაქვს გარემოსთან, ომში ვერ გაძლებ. ადრე თუ გვიან მოგერევა ომი ან გაიქცევი. ომში კავშირებს ხედავ. ისტორიის დიდ ასპარეზზე, ამ ქაოსურ მოვლენებში შენს როლს, შენს წილ პასუხისმგებლობას აცნობიერებ.

რეალობაში დამაბრუნა ომმა. გამოძლიძა, გამოძაფხიზლა. თორემ კარგი არაფერი დაუტოვებია. ჩემი ძმაცაცების ნატყვიარ გულებზე დაყრილი ქვების ბრახუნის ხმა დღემდე ჩამესმის. უბრალოდ, გონებით უნდა მივწვდეთ

იმას, რომ განა აფხაზეთთან გვექონდა ჩვენ საქმე და განა აფხაზი იყო ჩვენი მტერი? – მტერი სისტემაა, რომელმაც ეს ომი დაუშვა. მოწინააღმდეგე მხარეს მდგომი მეომრებიც იმსახურებენ პატივისცემას.

– თქვენი, დაბრუნებულების მეგობრობა როგორ გავრძელებათ?

– ერთი დიდი, სიმბოლური მნიშვნელობის სადღევრძელო გვაქვს. კინდში რომ ვიდექით, სულ გვენთო კოცონი, რომლის გარშემოც ვიკრიბებოდით. მარტო ჩვენ კი არა, სხვაც. იმ ადგილას ხომ ტყუილის თქმას აზრი არა აქვს. ახლაც იმ კოცონის სადღევრძელოს ვამბობთ. თითქოს ისევ იმ კოცონთან ვხვდებით ერთმანეთს. რადგან იმ კოცონთან ჩვენი ურთიერთობა სიმართლესთან ურთიერთობის სიმბოლოდ იქცა.

P.S. წერილს ვამთავრებთ პოეტ ჯონ მილტონის სევდით, სინანულით, საყვედურით ნათქვამი სიტყვებით:

„ომი წავაგეთ? რაა მერე, ამითი მანც არ დაკარგულა ყველაფერი, რადგან კვლავ შეგვრჩა უღრევი ნება და წყურვილი შურისგებისა, დაუშრეტელი სიძულვილი და მამაცობა; არ ვართ ჩვეულნი დათმობასა და მორჩილებას!“

ლელა ჩხარტიშვილი

ათონელი მამები

წმინდანები გასცემდნენ სისხლს და მიიღებდნენ სულს...

„ძლიერ მქენჯნის სინდისი, დაწვრილებით რომ არ ჩავეწერე ვადმოცემები ღირსებით გამორჩეულ მამებზე, რომლებიც სულ ახლახან ჩვენში ცხოვრობდნენ და რომლებზეც მიაბობოდნენ კეთილმორწმუნე ბერები, როცა ახალბედა მონაზონი ვიყავი. ვწუხვარ იმაზეც, რომ მეხსიერებაშიც კი არ დამრჩა ყველა ის საკვირველი მოვლენა, რაც ამ წმინდა ბერებს შორის ხდებოდა და რაზეც ესოდენ უბრალოებით მიაბობდნენ ჩემი სულიერი სარგებლობისათვის, – წერს ღირსი პატრიარქ ათონელი მოგონებათა წიგნში „ათონი და ათონელი მამები“, – წაკითხვის შემდეგ ვი-

გრძენი მისი თარგმნის აუცილებლობა თანამედროვე ქართული ბერ-მონაზვნების სარგებლობისათვის, – აღნიშნავს არქიმანდრიტი ღოროთი (ყუარაშვილი) წიგნის წინასიტყვაობაში, – განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია იმან, რომ აქ ასახულია ჩვენთვის უფრო ახლო სამონასტრო ცხოვრების ტრადიცია, აღწერილია ღირსეული მამის თვალთ დანახული ღირსი მამების ცხოვრება, რადგანაც სიწმინდე რომ დაინახო, თავადაც უნდა იყო განწმენილი“. (ბერძნულიდან თარგმნა ირინე ბარაქანიძემ).

როგორები იყვნენ ბერი პაისი მთაწმინდელის თვალთ დანახული წინა-

მორბედი თუ მისი თანამედროვე ათონელი მამები?! წმინდა მამის შთაბეჭდილებებს, ვფიქრობთ, დიდი ინტერესით გაეცნობა მკითხველი.

ძველ დროს მამები დიდი რწმენითა და უბრალოებით გამოირჩეოდნენ. უმეტესი მათგანი ნაკლებად წიგნიერი იყო, მაგრამ თავიანთი სიმდაბლის და მოწყალე სულის წყალობით, განუწყვეტლივ იღებდნენ ღვთიურ ნათელს. ხოლო ამჟამად, როცა მოძრავლად სხვადასხვა შემეცნებითი ცოდნა, ლოგიკამ, სამწუხაროდ, მთლიანად შეძრა ადამიანთა რწმენა, ათასგვარი კითხვებითა და ეჭვებით აღავსო მათი სულები, რის გამოც



განგვეშორება სასწაულები, რადგანაც სასწაული ცხოვრებით განიცდება და ლოგიკით არ განიმარტება.

ეს ძლიერი ამა სოფლის სული, რომელიც მომძლავრებულია დღევანდელ ადამიანებში, რომელთაც მთელი თავისი მისწრაფება მიმართული აქვთ იმისკენ, რაც შეიძლება უკეთესად იცხოვრონ, მეტი ფუფუნებით და ნაკლები შრომით, რაც, სამწუხაროდ, გავლენას ახდენს მორწმუნეთა უმეტესობაზე... წმინდანები გასცემდნენ სისხლს და მიიღებდნენ სულს“. მართალია, დღეს გვაზარებს ახალგაზრდობის მონაზვნობისაკენ ესოდენ მრავლად მოქცევა და გვაოცებს წმინდა მამათა სანიშნო იდეალებისაკენ მათი სწრაფვა, მაგრამ, ამასთანავე, სამწუხაროა, როდესაც ხედავ, რომ ესოდენ კეთილი ცომი არ შეერთვის შესაფერის სულიერ საფუარს, რის გამოც ვერ ღვივდება და მწარე რჩება.

ოციოდე წლის წინ კიდევ შეიძლება გვეჩვენა ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე მოფენილი სულიერი უბრალოება და მამათა უბრალოების ეს სურნელება თავს უყრიდა მორწმუნე ადამიანებს, რომლებიც ბაძავდნენ ფუტკრებს. იგი კვებავდა მათ და მათაც მიჰქონდათ ეს სულიერი სიწმინდე, რომ სხვებსაც ესარგებლათ. იმჟამად ყველგან მოისმენდი მეტად უბრალოდ მოყოლილ ამბებს სასწაულებსა და ნიშნებსზე. წმინდა მამებს სრულიად ბუნებრივად მიაჩნდათ ეს ყოველივე.

ამ მაღლიან სულიერ გარემოში არასდროს აღიძვრებოდა ეჭვი მოსმენილისადმი, რადგანაც თავდაც ნახავდი რამეს ამაღლარსა და გეგონებოდა, მარად გაგრძელდებოდა წმინდა მამათა ეს მაღლმოსილი გარემო და არც იმის წადილი გაგინდებოდა, სამომავლოდ ჩაგეწერა ან მეხსიერებაში აღგებჭდა ყველა ეს სასწაული. ვინ უწყობდა, რომ სულ მალე ესოდენ დიდი განათლებით გაუნათლებელი გახდებოდა უმრავლესობა. რას იფიქრებდი, რომ ისინი განისწავლებოდნენ უღმერთობის სულით და არა საღმრთო სულით, რომელიც გარეგნულ ცოდნასაც განწმენდს და ურწმუნოება იმ ზღვარს მიაღწევდა, რომ სასწაულებს ძველი დროის ზღაპრებად მიიჩნევდნენ. ცხადია, ექიმი თუ უღმერთოა, მეცნიერული მეთოდებით (სხივებით და ა.შ.) რაინარი გამოკვლევაც არ უნდა ჩაუტაროს წმინდანს, იგი მაინც ვერ დაინახავს მასში ღვთის

მაღლს, ხოლო თუკი ექიმიც სიწმინდით გამოირჩევა, თავადაც იხილავს, როგორ აფრქვევს სხივებს ღვთიური მაღლი.

უფრო ნათლად რომ წარმოვაჩინო მაღლის მოქმედება და მკითხველმაც უკეთესად წარმოიდგინოს ვითარება, რომელიც წმინდა მთაზე სულ ახლახან სუფევდა, ვფიქრობ, ურიგო არ იქნებოდა გადმოგცეთ ზოგიერთი ამბავი იმდროინდელი ბერების ცხოვრებიდან.

ესფიგმენოსის მონასტერში მე, ჯერ კიდევ ახალბედს, კეთილმორწმუნე ბერმა დღოთემ მიაგზო: მოხუცებულთა თავმესაფარში დადიოდა ერთი ბერი, იმდენად უბრალო, რომ ამაღლება, რომელსაც მონასტერი დღესასწაულობდა, ეგონა ისეთივე დიდი წმინდანი, როგორც წმინდა ბარბარე და სკვნილზე ლოცვის დროსაც ამბობდა: „წმინდაო, ამაღლებო, მეოხ გვეყავ ჩვენ!“ ერთხელ თავმესაფარს ეწვია სნეულებებით დაუძლურებული ძმა და რაკი არ აღმოაჩნდათ რამე მოსამაგრებელი საჭმელი, ბერი მსწრაფლ დაეშვა სარდაფში, ზღვაზე გამაგავა ფანჯრიდან გამოყო ხელები და ითხოვა: „წმინდაო ამაღლებო, მომეცა ერთი თევზი ჩემი ძმისთვის“. და, აჰა, სასწაული! ხელებში ჩაუვარდა ზღვიდან ამომხტარი ერთი დიდი თევზი. ბერმა ისე ბუნებრივად მიიღო თევზი, თითქოს საკვირველი არაფერი მომხდარა და გასამაგრებლად მოუშადა უძლურ ძმას. იმავე ბერმა მიაგზო სხვა მამაზეც, მგონი, პანოზზე, რომელიც მოღვაწეობის გასაძლიერებლად კაფსალაში ჩავიდა და სულიერების დიდ საზომს მიაღწია. ერთ დღეს, მონასტრის ერთ-ერთმა ბერმა კაფსალაში დაყუდებული ძმის მონახულება გადაწყვიტა და მისთვის შესაწირად ორი თევზი მოიპოვა. როდესაც გაასუფთავა და წასადებად ამზადებდა, მოფრინდა ყორანი, აიტაცა ერთი თევზი და მოუტანა მამა პანოზს კაფსალაში (სუთსათნახვერის სავალზე). მამა პანოზს ეუწყა ღვთისგან, რომ მას ძმა მოაკითხავდა და როცა ფიქრობდა, რით გამასპინძლებოდა, ყორანმა სწორედ მაშინ ჩამოუგდო თევზი. როცა ძმა მოვიდა და გაიგო მომხდარი, მანაც ადიდა ღმერთი, რომელიც დღესაც იღია წინასწარმეტყველის მსგავსად, ყორნის მეშვეობით ზრდის თავის ხალხს.

ამირან-ლაზარე სინაურიძე

მამათა გამონათქვამები

წმინდა მოციქული იოანე ღვთისმეტყველი ამბობს, რომ ღვთის მცნებები მძიმე არაა, მსუბუქია (1 იოან. 5, 3). მაგრამ მსუბუქია მხოლოდ სიყვარულისგან, ხოლო თუკი სიყვარული არაა, მაშინ ყველაფერი ძნელია. ამიტომ დაიმარხე სიყვარული, ნუ დაკარგავ, რადგან, თუმცა კი შესაძლებელია მისი დაბრუნება, მაგრამ ეს გვეძლევა მრავალი ცრემლითა და ლოცვით, ხოლო სიყვარულის გარეშე ძნელია ცხოვრება ქვეყნად. და ვინც სიძულვილშია, — ეს სულის სიკვდილია, რისგანაც, დაე, დაგვიფაროს უფალმა.

განსოვდეს ორი გულისსიტყვა და გეშინოდეს მათი. ერთი ამბობს: წმინდანი ხარ; მეორე — ვერ ცხონდები. ეს ორივე გულისსიტყვა მტრისგანაა და არაა მათში ჭეშმარიტება. შენ ასე იფიქრე: მე დიდი ცოდვილი ვარ, მაგრამ უფალი მოწყალეა, მას ძლიერ უყვარს ადამიანები და მომიტევეს ცოდვეს. გწამდეს ასე და მოგეცემა ეს: მოგიტევეს უფალი. მაგრამ შენს მოღვაწეობაზე არ დაამყარო სასოება, თუნდაც რომ ბევრს მოღვაწეობდე. ერთი მოღვაწე მეუბნებოდა: „მე აუცილებლად უნდა შეწყალებულვიქნე, რადგან ყოველდღე ამდენ მუხლმოდრეკას აღვასრულებ“; მაგრამ როდესაც სიკვდილი მოვიდა, მან პერანგი შემოიხია.

ასე რომ, არა ჩვენი მოღვაწეობისთვის, არამედ უსასყიდლოდ, თავისი სიკეთით გვეწყალობს ღმერთი.

უფალს სურს, რომ სული იყოს მდაბალი, უბოროტო და ყველას სიყვარულით პატიობდეს; მაშინ უფალიც სიხარულით აპატიებს. უფალს ყველა უყვარს, და ჩვენც მას უნდა ვაძავედოთ და ყველა უნდა გვიყვარდეს, და თუკი უძლურნი ვართ, ვითხოვთ, და უფალი უარს არ გვეტყვის, შეგვეწვევა თავისი მაღლით.

ბერი სილუან ათონელი

ათონური პატერიკი

მოდლო ასკეტი იაკობი, ფეხშიშველი, თმაბაჩვილი, ღაკემსილ-ღაკერილი კაბით

სიტყვა ქრისტესთვის სალმოსობაზე

ღამასტეში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის ყოვლადბატოსანი ილუმენია, მონაზონი კასიანა, დედებს უყვებოდა წმინდა ანას სკიტელი ბერდიდის, ილარიონის ჭემმარიტად საკვირველ ცხოვრებაზე. მან წმინდა ანას სკიტში მოწაფედ ოცდაათი წელი დაჰყო, შემდეგ მეტეორას მთაზე წმინდა სტეფანეს მონასტრის ილუმენი გახდა, პენსიაზე გასვლის შემდეგ მალენინში წმინდა გიორგის მონასტერში მღვდლად მსახურებდა, ბოლოს ღამასტეში მონასტერში მიიწვალა (1962 წ.), იქ ცხოვრების ბოლო შვიდი წელი იმსახურა.

ამ ნეტარ მოსაგრეს არასოდეს უღალატია თავისი საკვირველი ათონური ასკეტური ცხოვრების წესისთვის. ის მრავალი სათნოებით გამოირჩეოდა, განსაკუთრებით უპოვარებით (მთელი მისი ქონება შედგებოდა თოფრასი, კოვზების, ჩანგლების, დანის, ჭიქების, ყავის მადუღარასა და თიხის ქოთნისაგან) და გულმოწყალებით (ის ღრაქმასაც კი არ იჩერებდა – შეუძინებლად ურიგებდა გლახაკებს). ამასთან ერთად ის ქრისტესთვის სალოსობის უდიდეს ღვაწლსაც იტვირთავდა. ბერდიდი თავს ნეტარად აჩვენებდა და ქვებით სავსე თოფრას ატარებდა, ამით ის მოციქულთა სიტყვისაგან: დათრუნავდა და დაიმონებდა თავის სხეულს (მდრ: 1 კორ. 9,27). ყველაფერს თვითონ იმზადებდა, არავისგან არანაირ ზრუნვას არ იღებდა. საჭმელს დამოუკიდებლად კვირაში ერთხელ ამზადებდა და ორ დღეში ერთხელ იხმევდა.

ერთხელ ერთმა მონაზონმა დედამ კეთილი განზრახვით – სურდა, ბერდიდს დახმარებოდა – ტანსაცმელი

გაურეცხა და დაუუთოვა. ბერდიდმა მიწაზე დაყარა სამოსი, ფეხებით გათელა და საკუთარ თავს დაცინვით ეტყოდა: „ილარიკო, ვგორიკო, ჩაიცივი ახლა გახმებული და გაუთოებული ტანსაცმელი!“

ცეცხლი დავანთე და ვუთხარი, ღამის გასათევად საწოლს მოგიმზადებ-მეთქი. არა, აქ, ხის ქვეშ დავრჩებიო, – მიპასუხა.

მან ხომ ცხოვრების დიდი ნაწილი ხის ქვეშ გაატარა, დაბურულ ტყეში, ან

ის თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ზოგიერთ სიგყვასა და ასოებს ვერ სწავლობდა, თითქოს ამისთვის ნიჭიერება არ ჰყოფნიდა, ბერდიდი მოთმინებას კარგავდა და განრისხებული ღანძლავდა თავის ბენგერა მოწაფეს.

ერთხელ გზად ვილაც გენერალი შეხვდა და მანქანაში ჩაისვა. ბერდიდმა არა მარტო სიტყვა არ დაძრა, არამედ მისაღმი თავაზიანობაც კი არ გამოიჩინა.

სიბერეში გახდა ავად, მაგრამ ექიმი არ გაიკარა. ერში გარდაიცვალა, განუწყვეტლივ იმეორებდა იესოს ლოცვას. მას მრავალი სულიერი ხილვა ჰქონდა.



სერბი ისიქასტი მამა იუსტინე წმინდა ეფემიას კელიაში გახლდათ განმარტობული, გვიყვებოდა ნეტარ იაკობზე.

„როცა მე წმინდა ანას სკიტის წმინდა არტემის კელიაში ვცხოვრობდი, ჩვენთან მოდიოდა ასკეტი იაკობი, ფეხშიშველი, თმაგაჩვილი, ღაკემსილ-ღაკერილი კაბით (ათონზე ცხოვრების ორმოცდაათი წლის მანძილზე მხოლოდ ეს კაბა ეცვა)...“

ერთხელ ბარდნიდა და ძალზე ციოდა. ის ჩემთან კელიაში მოვიდა და დამიხასა.

სად იყავი-მეთქი, კკითხე. მითხრა, – დაფნაში ვიყავი, ცეცხლი დაანთე, თორემ ვიყინებო.

ბუჩქნარში. ძლივს დავითანხმე, ღამე შემის ფარდულში გაეთია.

დილით მამა იაკობი წმინდა ანას სკიტში წავიდა კარგ მოძღვართან, ღირსსაწმინდო მამა პავლესთან და მის მოწაფე მამა სერაფიმესთან. იქ ის ღამე ღუმელთან რჩებოდა, მაგრამ მძიმედ ავად გახდა, ბოლოს გარდაიცვალა და წმინდა ანას სკიტის ხსენებულმა მამებმა წესი აუგეს და დაკრძალეს.“



ბერდიდ იაკობ სალოსს ერთხელ ახალ სკიტელმა მოძღვარმა მამა საბამ უმასპინძლა. მან იაკობის მრავალგზის დაკემსილი კაბა საღამოს წყლიან ვარცლში ჩაალბო გასარეცხად. დილით ბერდიდი იაკობი მზის ამოსვლამდე ადგა, ამოიღო თავისი სველი კაბა, ჩაიცივა და სკიტიდან უჩუმრად წავიდა.

სიტყვა ზეამნევი თავმდაბლობაზე

იშვიათია ისეთი თავმდაბალი და თავგანწირული ადამიანი, როგორც გახლდათ ყველა მთაწმინდელი მონაზ-

ვნის მამა ღირსი ათანასე ათონელი. როცა მთაწმინდაზე მოვიდა, ემინოდა, იმპერატორ ნიკიფორე ფოკას და მთავარსარდლებს არ ეპოვათ, სახელი შეიცვალა და ბარნაბა დაირქვა. მას სურდა, ყველასთვის უცნობად დარჩენილიყო.

ღირსმა მამამ ზიგუს მონასტერში (უძველესი მონასტერი, რომელიც ათონის საზღვრებს გარეთ რამდენიმე მეტრში მდებარეობდა. შემდგომში ნანგრევებად იქცა და ახლა ზღვა მისი აღორძინება) ერთი ცხოვრების წესით და გონებით უბრალო ბერდიდი იპოვა და მას შეუდგა მორჩილად.

– ვინ ხარ ძმაო, აქ საიდან და რისთვის მოხვედი?

– მამაო, მეზღვაური ვიყავი და როცა დიდ განსაცდელში აღმოვჩნდი, ღმერთს აღვუთქვი, დავტოვებ სოფელს და ჩემს ცოდვებს დავიტირებ-მეთქი... ღვთის მითითებით შენს სიწმინდესთან მოვედი, რადგან მინდა შენი მორჩილი ვიყო.

უბრალო ბერდიდმა დაიჯერა ეს ღვთისმოსავი ამბავი და წმინდანი თავისთან დაიტოვა. ბერდიდმა მას მორჩილების კეთილი უღელი დაადგა და ყველა სამუშაოს ავალებდა – ამით მის ნებას მოჰკვეთდა. როცა წმინდანმა ყველაზე ჭუჭყიანი სამუშაოს აღსრულება ისწავლა, მან მოისურვა თავმდაბლობის მწვერვალისთვის მიეღწია, ასულიყო იქ, სადაც სულიერი სრულყოფილება მოიპოვება. კარგად შეიგნო, რომ თუ უფლის სიტყვისამებრ ბავშვივით დამდაბლდებოდა, მხოლოდ მაშინ გახდებოდა დიდებული ღვთის სასუფეველში (შდრ მათე 18,4).

უბრალო ბერდიდთან საკმაოდ დიდი ხნის ცხოვრების შემდეგ, ღირსმა ათანასემ ერთხელ მას უთხრა:

– მამაო, გრამატიკის საფუძვლები მასწავლე, რომ ფსალმუნის კითხვა შევძლო. მე ხომ ერში ნიჩბების ტრიალის გარდა არაფერი მისწავლია.

ბერდიდს საიდან შეიძლება სკოლნოდა მის წინაშე ვინ იდგა? დაფა აიღო და ზედ ანბანი გამოუსახა. წმინდანმა დაფა გამოართვა, მუხლი მოუდრიკა, და მას მერე ისე იქცეოდა, როგორც დაწყებითი სკოლის მოწაფე.

ის თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ზოგიერთ სიტყვასა და ასოებს ვერ სწავლობდა, თითქოს ამისთვის ნიჭიერება არ ჰყოფნიდა, ბერდიდი მოთმინებას კარგავდა და განრისხებული ლანძღავდა თავის ბენტერა მოწაფეს.



ათონის
მთა

ეს საკვირველი მორჩილი, რომელიც თავს უსწავლელად აჩვენებდა და სინამდვილეში უბრძენესი იყო ბრძენთა შორის, თავის ბერდიდს ამშვიდებდა:

– გულს ნუ გაიტუნ, მამაო. მე გაუთლელი მორი ვარ. მოითმინე და შენი ლოცვებით დაამხმარე.

მაგრამ ბერდიდმა ცივი უარი განაცხადა მისთვის წერა-კითხვის სწავლებაზე და წმინდანიც კვლავ უცოდინრობით იფარავდა თავს.

ერთხელ, ერთ შეკრებაზე, რომელიც კარესში წელიწადში სამჯერ იმართებოდა, პროტმა (ასე ეძახდნენ იმ პერიოდში ათონის მთის მონასტრების და კელიების ხელმძღვანელს) წმინდანს ტამარში ფსალმუნების კითხვა დაავალა. სწორედ ამ დროს ათონის მთიდან კონსტანტინოპოლამდე მიღწია ხმებმა მთაწმინდაზე დაფარულ საუნჯეზე. მრავალი თხოვნის შემდეგ ღირსი მამა ბოლოს დამორჩილდა. წამოდგა და პატარა ბავშვივით დამარცვლით დაიწყო კითხვა. ყოველი მარცვლის წარმოთქმის ბოლოს ინტონაციას დაბლა სწევდა. პროტმა მისი ამგვარად წაკითხული რომ მოისმინა, მაშინვე წამოდგა საპატიო ადგილიდან და უბრძანა, ისე წაკითხა, როგორც შეეძლო. მაშინ წმინდა ათანასემ, რომლის ენაც დიდხანს იყო შეკრული უდიდესი სიმდაბლით, თავისი ცოდნა და სიბრძნე გამოაჩინა. როცა ბერდიდებმა მოისმინეს, თუ როგორი გამომეტყველებით და სიმსუბუქით კითხ-

ულობდა ათანასე, ძალზე გაოცდნენ ამგვარი უეცარი ცვლილებით. რაღა უნდა ითქვას მის ბერდიდზე, რომელსაც მღელვარებისა და გაოცებისგან ენა ჩაუვარდა! თვალცრემლიანი ამბობდა: „დაე, განდიდდეს სახელი შენი, უფალო, რომ ამ ბრძენი ძმის მიერ სიმდაბლის გზა მიჩვენე!“

ამგვარად გამჟღავნდა წმინდა ათანასეს საიდუმლო, რომელსაც სურდა, ყველასთვის უცნობი ყოფილიყო. ნიკიფორე ფოკას და თესლონიკის მმართველს, რომელთაც მთელი სამყარო გადააბრუნეს მის ძებნაში, ახლა შესაძლოა, გამარჯვება ეხვიმათ. მაგრამ ღირსმა ათანასემ კვლავ გამოაჩინა ადამიანური დიდებისადმი სიძულვილი და უდიდესი თავმდაბლობა. მან პროტს ამგვარად მიმართა:

– მამაო, მეძებენ და არაფერი უთხრა მათ ჩემს შესახებ. რადგან ვშიშობ, მაშინ აქედან წასვლა მომიწევს, რაც ძალზე დამამწუხრებს.

პროტი საიდუმლოს შენახვას დათანხმდა, რადგან გულისხმაჰყო, რომ მთაწმინდას უდიდესი ზიანი მიაღებოდა, თუ ასეთ კაცს დაჰკარგავდა. მან წმინდანს ერთი უდაბნოს კელია მიასწავლა, სადაც ღირსი ათანასე დაფარულად მოსაგრეობდა და საკუთარი შრომით ირჩენდა თავს.

კახაბერ კენკიშვილი

დოგმატური ღვთისმეტყველება

ანგელოზები, როგორც ქმნილებები, შემქმნელები არ არიან

ნაწილი მესამე
ღმერთის სამყაროსა და
ადამიანის მიმართ
ნაკვეთი I. ღმერთი, როგორც
სამყაროს
შემოქმედი და განმგებელი

3.6.2 ანგელოზების ღამოკი- დებულება ღმერთისა და სივრ- ცისადმი

ღმერთსა და სივრცის მიღმა არსებობის შესახებ საუბარი მხოლოდ ღმერთის მიმართაა შესაძლებელი. რაც შეეხება ანგელოზებს, როგორც ქმნილი და, შესაბამისად, შეზღუდული არსებები, გარკვეული თვალსაზრისით, ქმნილი ბუნების არსებობისათვის დამახასიათებელ ღმერთსა და სივრცეზე არიან დამოკიდებულნი. ამასთან, ერთი მხრივ, წმინდა წერილიდან ვხედავთ, რომ ღმერთსა და სივრცისადმი, ადამიანებთან შედარებით, ანგელოზები შეუდარებლად დიდი თავისუფლებით გამოირჩევიან. კერძოდ, მათ უდიდესი სიჩქარით შეუძლიათ გადაადგილება, როგორც ღმერთის ითანე დამასკელი ბრძანებს, მათ ვერც კედელი, ვერც კარი, ვერც საკეტი, ვერ აჩერებს... ისინი მხოლოდ გონით წვდომად ადგილებში იმყოფებიან. წმინდა წერილში ანგელოზების სხვადასხვა ადგილსამყოფელია მითითებული, მაგალითად: ცანი ცათანი (3 მეფ. 8:27) ან მესამე ცა (2 კორ. 12:2). რა იგულისხმება ამ სიტყვებში, წმინდა წერილი არ აკონკრეტებს.

ანგელოზებს ფორმა ბუნებით არ გააჩნიათ, თუნდაც ისეთი, როგორც სხეულია და ამიტომ ისინი სამგანზომილებიანი სახით ვერ წარმოგვიდგებიან. მეორე მხრივ, არ არიან ყველგანმყოფები: სადაც დავალე-ბული აქვთ, სულიერად იქ იმყოფებიან. როდესაც ზეცაში არიან, მიწაზე ვერ იქნებიან, როდესაც ღმერთი მათ მიწაზე აგზავნის, – ზეცას ტოვებენ, ერთი სიტყვით, გარკვეული თვალსაზრისით, ვინაიდან მათ ერთდროულად ყველგანმყოფობის უნარი

არ გააჩნიათ, სივრცობრივად შეზღუდულები მაინც არიან.

ანგელოზთა სამყაროს მარადიულობა ღმერთის მარადიულობას არ შეესაბამება, რადგან ანგელოზთა სამყაროს დასაბამი უდავოდ გააჩნია. გარდა ამისა, ანგელოზთა სამყარო ამა თუ იმ თვალსაზრისით ცვალებადია – როგორც ცნობილია, ანგელოზთა ნაწილი ცოდვით დაეცა. წმინდა მამებთან ვხვდებით გამოთქმას, რომ

უკვდავები: „ანგელოზურ ბუნებას... სიცოცხლე არსობრივად გააჩნია, რომლის წყალობითაც თავისი ცხოვრებით ის უკვდავია და მის ბუნებასთან ზრწნალობა შეუსაბამოა“. წმინდა გრიგოლი აცხადებდა, რომ თუ არ არსებობს ანგელოზთა უკვდავება, მაშინ მიუღებელია მარადიული სატანჯველის გაგება. სრულად უარყოფილი დაცემული ანგელოზები ღვთაებრივ მადლს ვერ ეზიარებიან, მაგრამ მი-

წმინდა გრიგოლ პალამა წერს, რომ სხეულთან შეერთებულ ადამიანის სულს ცხოვრების მომცემი ძალა გააჩნია, ის ამ ძალით სულიერად აქცევს თავის სხეულს და მართავს მას.

ანგელოზებისთვის სრულყოფა შესაძლებელი და სიკეთების მოხვეჭით ისინი მუდმივად ვითარდებიან, რაშიც ასევე ღმერთთან მიმართებაც იგულისხმება.

3.6.3. უკვდავება

ანგელოზური ბუნებისათვის დამახასიათებელია უკვდავება (ნახ.: ლკ. 20:36). რას გულისხმობს ანგელოზთა უკვდავება: ეს თავისებურება ბუნებითა თუ მადლით აქვთ ანგელოზებს მინიჭებული? ამ საკითხზე წმინდა მამათა ორი თვალსაზრისი არსებობს. პირველი ღმერთს ითანე დამასკელს ეკუთვნის. ის მიიჩნევს, რომ ანგელოზები ბუნებით კი არა, მადლით არიან უკვდავები, რადგან ყველაფერი, რასაც დასაწყისი აქვს, დასრულებადია, ანგელოზებიც, როგორც ქმნილებები, ადრე თუ გვიან შეწყვეტენ თავის არსებობას; ის მხოლოდ ღვთაებრივი მადლის მოქმედების გამო არ სრულდება.

წმინდა გრიგოლ პალამა, პირიქით, მიიჩნევს, რომ ანგელოზები ბუნებით არიან

უხედავად ამისა, მათი არსებობა არ დასრულდება. შესაბამისად, ისინი მადლით კი არა, საკუთარი ბუნებით არიან უკვდავები.

დოგმატური ხასიათის არც ერთი და არც მეორე აზრი არ არის.

3.7. ანგელოზთა ბუნების სრულყოფილება

ანგელოზები – გონიერი არსებები არიან, მათ, როგორც თავისუფალი ნება, ისეთი გრძნობები გააჩნიათ, მაგალითად, „ხარობენ ღმერთის ანგელოზნი ერთი მონანიე ცოდვილის გამო“ (ლკ. 15:10). მაგრამ ანგელოზებს შერქმნების გარეგანი ორგანოები არ გააჩნიათ, ქმნილ საგნებს ისინი უშუალოდ ღმერთისგან ბომბეული განმანათლებლობის გზით აღიქვამენ.

ანგელოზური ბუნების სრულყოფილება ანგელოზების ღმერთთან სიახლოვეში ვლინდება. მათთვის უმადლესი ღმერთის ხედვაა დამახასიათებელი. უფალი იესო ქრისტე ანგელოზების შესახებ ბრძანებს,



რომ ისინი ზეცაში ღმერთს ყოველთვის ზედავენ. „ანგელოზები ცაში თვალს არ აშორებენ ჩემი ზეციერი მამის სახეს“ (მათ. 18:10). 2 პეტ. 2:11-ში ანგელოზების ძლიერებაზეა საუბარი, რომლებიც ადამიანებს თავისი სიმაგრითა და ძალით აღემატებიან. ანგელოზების ბუნების სრულყოფილება ასევე მათ სიწმინდეშია გამოხატული: უფალი იესო ქრისტე ანგელოზებს წმინდა ანგელოზებად მოიხსენიებს (მათ. 25:31).

მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ანგელოზების ბუნება შეზღუდულია. ასე მაგალითად, იობის წიგნში ნათქვამია, რომ ღმერთი „თავის ანგელოზებშიც კი პოულობს ნაკლს“ (იობ. 4:18). ასევე, არც ანგელოზების გონება არ არის სრულიად სრულყოფილი, მაგალითად, მათთვის შეუცნობელია ღმერთის ბუნება (ნახ.: 1 კორ. 2:11), არ უწყიათ მომავალი, თუ, რა თქმა უნდა, მათ ამ ცოდნას თავად ღმერთი არ მიაწვდის. მაგალითად, მათთვის უცნობია მეორედ მოსვლის ყამი (ნახ.: მარკ. 13:32). ანგელოზებისათვის ბოლომდე არ არის ცნობილი გამოსწის საიდუმლოს არსი, თუმცა მასში გარკვევის სურვილი მათ გააჩნიათ (ნახ.: 1 პეტრ. 1:12). წმინდა მამების მიხედვით, ანგელოზების სიძლიერე მათი ბუნების შესაბამისად არის შეზღუდული. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა წერილში ამ საკითხებზე არ არის საუბარი, წმინდა მამების საერთო აზრია,

რომ ანგელოზებს უშუალოდ, საკუთარი ძალის გამოყენებით, სასწაულების მოხდენა არ შეუძლიათ. ისინი სასწაულებს მხოლოდ ღვთისგან ბოძებული ძალით ახდენენ.

ასევე, წმინდა მამებთან ვხვდებით აზრს იმის შესახებ, რომ შემოქმედებითი უნარები ანგელოზებს არა აქვთ. ღირსი იოანე დამასკელი ბრძანებს: „ვინც ანგელოზებს რაიმე არსების შემქმნელებად ამბობს, იგი პირია მისი მამისა, ეშმაკისა, რადგან ანგელოზები, როგორც ქმნილებები, შემქმნელები არ არიან“.

საკმაოდ საინტერესოა საკითხი, რომელიც ანგელოზებისა და ადამიანების შედარებით სრულყოფილებას შეეხება. მაგალითად, ღირსი იოანე დამასკელი წერს, რომ „მან (ღმერთმა) შემოიყვანა ისინი არარსებობიდან არსებობაში და საკუთარი ხატისებრ უსხეულო ბუნებად შექმნა ისინი“. ამრიგად, ფართოდ გავრცელებული აზრის შესაბამისად, რომელიც დოგმატური ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოებშიც არის დამკვიდრებული, ანგელოზები, ისევე, როგორც ადამიანები, ღვთის ხატად არიან შექმნილნი. ამავე დროს, წმინდა მამებთან არაერთი საპირისპირო აზრის ამოკითხვა შეიძლება. მაგალითად, ღირსი მაკარი ეგვიპტელი ბრძანებს: „ადამიანი ყველა ქმნილებაზე უფრო ფასეულია, ვაგებდავ და ვიტყვი, რომ არა მხოლოდ ხილული, არამედ უხილავ არსებებიც ვიგულისხმე“.

დასკვნა. ანგელოზებზე ადამიანთა უპირატესობის შესახებ იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ ძე ღმერთი ჰიპოსტასურად ადამიანს შეუერთდა და არა ანგელოზურ ბუნებას. ამ საკითხთან დაკავშირებით მოციქული პავლე მაცხოვრის შესახებ ბრძანებს: „ანგელოზებს კი არ ვვლინებ მწედ, არამედ აბრაამის მოდგმას“ (ებრ. 2: 16).

ზოგიერთი წმინდა მამა ანგელოზებთან ადამიანების უპირატესობას იმაში ზედავდა, რომ ანგელოზებისგან განსხვავებით ადამიანს რთული ბუნება გააჩნია, ის თავის თავში ორ: გრძობადსა და ზეგრძობად სამყაროს აერთიანებს, ამიტომ მიწიერი სამყაროს მომავალი, მხოლოდ ადამიანზე, მის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. ადამიანის შემოქმედებითი უნარები სწორედ მისი სხეულებრიობიდან მომდინარეობენ. წმინდა გრიგოლ პალამა წერს, რომ სხეულთან შეერთებულ ადამიანის სულს ცხოვრების მომცემი ძალა გააჩნია, ის ამ ძალით სულიერად აქცევს თავის სხეულს და მართავს მას. ეს ის უნარია, რომელიც ანგელოზებს – უსხეულო სულებს არ გააჩნიათ.

შემდეგ: თავი 3. ანგელოზთა ბუნების სრულყოფილება (გავრძელება)

როლანდ ჩხეიძე

„აკლესიის უპილნი“

მას ავადმყოფები უყვარდა და არასოდეს ჩქარობდა მათგან განშორებას

პანდასის თესალიელი
(გაგრძელება)

ათენში ის ცნობილი საოჯახო ექიმი გახდა. ავადმყოფებს თავის საავადმყოფოში სინარულით და ალერსით იღებდა. ეკითხებოდა ოჯახებზე, ხოლო შემდეგ კი ღმერთზე ესაუბრებოდა. მისი სიტყვები მეტად მშვენიერი იყო, რადგან საკუთარი გამოცდილებით ლაპარაკობდა. მაგიდის უკან, წიგნების კარადაში, წმინდა მამათა წიგნები უფრო

გაჰყვებოდა მათ, თითქოს მისი შვილები ყოფილიყვნენ.

ერთხელ ერთ დედაბერთან იხმეს. ქალი სიკვდილის პირას იყო. იგი შეეხო მის გაყინულ ფეხებს.

– მარიამ, ცოტაც მოითმინე და ზეცაში გაემგზავრები.

მარიამმა, მონაზონმა, რომელიც ადრე გათხოვილი იყო, გაახილა თვალები, ისინი სინარულით გახლდათ ავსებულნი, ექიმს შეხედა და მშვიდად გარდა-

უყვებოდა მას, თუ რა ელოდა სულს გარდაცვალების შემდეგ. მისი საუბრის მანერაც კი ღვთაებრივ ლიტურგიას მოგაგონებდა. ავადმყოფს ის შინაურით ექცეოდა, რათა მას სინარულით მიელო მიწიდან ზეცაში გადასახლების ამბავი.

პანდასისი შუაგანისა გახლდათ. საჭმლისადმი თავშეკავებული დამოკიდებულებით სხეული ღონივრად და მხნეობით ავსებული შემოინახა. ხოლო ხმა სიცოცხლის ბოლომდე ისეთი ძლიერი შემორჩა, რომ ჯოჯოხეთს შეამრწუნებდა.

როცა სამედიცინო საქმიანობა დაუტევა, ვკითხე:

- ახლა რას საქმეს მოჰკიდებ ხელს?
- აგარაკისთვის ბენზინის ხერხი მაქვს ნაყიდი და შენ მეკითხები, რას გააკეთებ?

ყოველ კვირა დღეს კარდიოლოგ პერიდისთან ერთად ჰოსპისში ჩადიოდა და მღვდელს წირვაზე ესმარებოდნენ: პანდასისი მნათეობდა, ხოლო პერიდისი გალობდა. შემდეგ კი ანთებული სანთლით წინ უძღოდა მღვდელს, როცა ის პალატებს შემოივლიდა, რათა მომაკვდავები ეზიარებინა ქრისტეს სისხლისა და ხორცისთვის.

პანდასისს ქრისტესადმი ღრმა და ძლიერი სიყვარული ჰქონდა, ხოლო მისი კეთილმოკრძალებისადმი ხსოვნა სამუდამოდ ჩამრჩა გულში. მე ის სხვადასხვა ვითარებაში მინახავს. როცა საზიარებლად მოდიოდა, ერთიანად იყო ანთებული, თითქოს ხანძრით იწვოდა, ისე სურდა ქრისტესთან შეერთება.

ერთ შემთხვევას მოგიყვებით: 1978 წელს, როცა აღდგომის დღესასწაულისთვის ვემზადებოდი, მაშინ ის ეპისკოპოსის კელიაში დავაბინავე.

– მამაო, ჩვეულებისამებრ აქ ვის აცხოვრებთ ხოლმე?

თქვენ გინდათ, რომ მე ეპისკოპოსის საწოლზე დავწვე? გამორიცხულია! მე, არადირსი მიწისა და ცისა, მონასტერში კურთხევისათვის მოვედი, და არა თავის დასაწყევლად.

მეტი ეწყო, ვიდრე სამედიცინო. თუ წაკითხულიდან რაიმეს ვერ გაიგებდა, შეკითხვის არა რცხვენოდა. ყოველთვის აღნიშნავდა, თუ როგორ აზიანებდა ცოდვა ადამიანის სხეულს.

როგორც ექიმი, ის გამომეძიებელი იყო. ავადმყოფს ძალზე სერიოზულად და სიყვარულით ეყრობოდა. თუ რაიმე უსიამოვნო უნდა შეეცხოებინებინა, ამას ისეთი ტაქტით აკეთებდა, რომ თვით ყველაზე მძიმე დაავადება თამაშად მოგეჩვენებოდა. „უფალმა მოგვიხილაო“, – ამბობდა. განამხნევებდა სწეულებს და მკურნალობას ყოველთვის ამ სიტყვებით ასრულებდა: „გამოჯანმრთელი. იცოდე, მეტად აღარ სცოდო“. თავის რეცეპტებს ისეთი ლამაზი კალიგრაფიით წერდა, რომ აფთიაქებში ფარმაცევტები ჩარჩოში სვამდნენ. ავადმყოფებს გამოსასვლელამდე აცილებდა, გამოიძახებდა ლიფტს, შეუძღვებოდა და

იცვალა...

მას ავადმყოფები უყვარდა და არასოდეს ჩქარობდა მათგან განშორებას. თუ რაღაცაში ეჭვი ეპარებოდა, შეეძლო, საათობით მჯდარიყო სწეულის საწოლთან, ვიდრე დიაგნოზში არ დარწმუნდებოდა. ჩემს გვერდითაც ერთხელ სამი საათი იჯდა.

ვკითხე, შენი სპეციალობის გამო ვინმესთვის აბორტი ხომ არ დაგინიშნავს-მეთქი. არასოდეს, მძიმე ფეხმძიმობისას მე და ორსული მრავალი ლოცვის შემდეგ გამოსავალს ვპოულობდით, და არასოდეს დავმარცხებულვართო.

იგი ოთხმოცი წლის ასაკამდე პრაქტიკოსი ექიმი იყო, შესაძლოა, ოთხმოცდასუთ წლამდეც კი, ყოველთვის მხნედ გამოიყურებოდა და სწეულებს სიყვარულით ეყრობოდა. როცა სურდა, ავადმყოფთან სიკვდილზე ესაუბრა,

– ეპისკოპოსს, როცა ჩამოდის.
– თქვენ გინდათ, რომ მე ეპისკოპოსის საწოლზე დავწვე? გამორიცხულია! მე, არაღირსი მიწისა და ცისა, მონასტერში კურთხევისათვის მოვედი, და არა თავის დასაწყევლად.

საბოლოოდ, საწოლის შეცვლა მოგვიწია, რათა დაგვეწვინა ექიმი, რომელმაც აღზოცა საკუთარ თავში მეცნიერების მიერ ადამიანის გულში დანერგული რაციონალიზმის ყოველგვარი კვალი.

ერთ-ერთ დიდ შაბათს ჩვენ ჭემ-მარიტად ვისიამოვნეთ იმით, თუ როგორ კითხულობდა იგი „სამოციქულოს“. მან კარგი გაკვეთილი ჩაგვიტარა, – თუ როგორ გემართებს ამ წმინდა წიგნის წაკითხვა. მისი კითხვის მანერამ იმდენად განგვაკვივრა, რომ აღდგომის დღესასწაული მის დადგომამდე ვიდრე სასწაულოდ იგვიგრძნობდა გვქონდა, რაც სახარების კითხვისას: ჩვენ ვიცით, ის როდის დაიწყება, მაგრამ არ ვიცით, როდის დასრულდება. ასეა ღვთაებრივი ლიტურგია: ჩვენ ვიცით მისი დაწყების დრო, მაგრამ არ ვიცით დასრულებისა. ასეა ყველაფერში, რაც ჩვენს ცხოვრებას ეხება. თვით სრულყოფილებაზე ღირსი იოანე დამასკელი ბრძანებს, რომ დასასრული არა აქვსო. მუსლიმანებს ადრე არ სურდათ ყურადღებას მიაქციონ სტამბაში დაებეჭდათ, ხელით გადაწერილი ერჩივნათ (ამიტომაც წიგნის ბეჭდვა თურქეთში მოგვიანებით დაიწყო). ასევე მეც, მას მერე, რაც ამ ექიმის მიერ წაკითხული სახარება მოვისმინე, მეშინია, გულგრილი ადამიანის მიერ წაკითხული სახარება მოვისმინო, რომელსაც კითხვა არ შეუძლია. ანაფორიანი ადამიანისგან ფულს არასოდეს იღებდა, რადგან მკრეხელობად მიაჩნდა სახარების მსახურთა ხარჯზე ცხოვრება.

– ჩემთან რომელიმე სასულიერო პირი როცა მოდის და მის სხეულს ვეხები, – ამბობდა ექიმი პანდასისი, – ამ შეხებასაც დიდ კურთხევად ვივლი. „თუ მის სამოსს შევეხები, ვცხოვნივ“.

აი, უკვე თითქმის ასი წელია, რაც იგი ხმამაღლა შეგვიძახებს: „ქრისტე არის ცხოვრება და ნათელი სოფლისა!“ ადრე ამას ის თავის საავადმყოფოდან გვეტყოდა, ახლა უკვე სამარადისადაა.

სტავრულა ატალელი, კუნძულ ევბეადან



მამა გრიგოლ ზუბისი

სტავრულას დიდი კრძალვა ჰქონდა ყველაფრისადმი, რაც ეკლესიას ეხებოდა და გამოირჩეოდა მოთმინებითა და შრომისმოყვარებით. იმის გამო, რომ მისი შვილი არმიაში მსახურობდა, ავაზაკებმა მას კისერზე ლოდი შეაბეს და ეგეოსის ზღვაში დაახრჩვეს. რამდენიმე დღის შემდეგ მისი გვამი წმინდა კოსმა ეტოლიელივით ზღვის ზედაპირზე დამდგარი იხილეს. სტავრულას სუთი შვილი ჰყავდა. ის სატრაპეზოდ მანამდე არ დაჯდებოდა, ვიდრე ჯერ კარგად არ იშრომებდა. „ჩემო მამაო“, „ჩემო თეოქტისტე“ – ყველას ამგვარად მიმართავდა. ბაგეებზე მუდამ ჰქონდა საყვარელი სიტყვა „ჩემო“. მისი ქმარი მკაცრი და ბრაზიანი კაცი იყო, ამიტომაც სტავრულას სასიხარულო დღეები იშვიათად ჰქონდა.

ზოგჯერ ის ტელეფონით მიჩიკავდა.

– როგორ ხართ, ქალბატონო სტავრულა?

– ვცდილობ, რძლის მოვალეობა შევასრულო, მამამთილი რომ არ გამოწყრეს და ოჯახში უთანხმოება არ ჩამოვარდეს.

ხანდახან ძმა მის გაბრაზებას ცდილობდა, ხოლო სტავრულა მას წმინდათა სიტყვებით პასუხობდა.

– აი, დაიკო, შენ ვაჟმა წერა-კითხვა ისწავლა და მისგან რა გამოვიდა? ვიდაც მონაზონი. თუმცა, შეიძლება ის უკვე მღვდელმთავარი გახდეს?

– დიას, ძამიკო, ჩემი ვაჟი მონაზონობის ღირსი შეიქმნა.

ის, რომ მისი ვაჟი მონაზვნად აღიკვე-

ცა, ქალბატონ სტავრულასთვის ეს საამაყო გახლდათ და ტრაბახობდა, – ჩემი ვაჟი მთაწმინდელი მონაზონიაო.

ერთხელ როცა მასთან მართლ დავრჩი, აღიარა: „ღამდამობით ხშირად მეღვიძება და საკუთარ თავს ვეკითხები: ნეტავ როგორ ცხოვრობენ ჩემი შვილები? დღეს საღამოს მე ვივანშმე, ნეტავ ისინი მშვიდები ხომ არ დაწვენენ?“

წლების მანძილზე იგი მონასტრისთვის უფასოდ ამზადებდა ბლინებსა და ფაფას, ხოლო დიდ მარხვაში ღვთისმშობლის ხირიც მოჰქონდა. ახლა ჩვენ, მონაზვნები, დროდადრო ძალებს ამ თავმდაბალ დედაზე მოგონებებში ვპოულობთ.

იგი გახლდათ გონიერი და იმავე დროს პატარა გოგონასავით მორცხვი. ერთხელ ქმართან ერთად თესალონიკში ჩვენი მონასტრის მეტოქიონში მოვიდა. დამე საგანის კარებთან დარჩენა არჩიეს, ოღონდ კი ჩვენ არ შევეწუხებინეთ. სოფლის მძიმე შრომაში გატარებული ცხოვრება აკურთხებს ადამიანს. ის ჩვენს მონასტერში ხალხს ხშირად უფრო მეტ სასიამოვნოს აძლევდა, ვიდრე დიდი ქალაქის ბინებსა და უნივერსიტეტების აუდიტორიებში აღმზრდელები. ამიტომაც მთელი გულით შემიძლია აღმოვთქვა: „გიხაროდენ, უდაბნოვ, ტყეებო და მთებო, ბორცვებო და მწვერვალებო, მშვენიერები არიან თქვენი გამოზრდილები!“

კახაბერ კენკიშვილი

ინტერვიუ ფსიქოლოგთან

მარიხუანა გზაა უფრო კლიერმოქმედ ნარკოტიკებზე გადასასვლელად

ნარკოტიკებისგან დაბოლილი მოქალაქეების გამოისობით, ქვეყანა ვერ განვითარდება

ქოვორც ნარკომანთა, ისე დილექტანტთა შორის, ნარკოტიკულ საშუალებათაგან განსაკუთრებით პოპულარულია მარიხუანა. ამის მიუხედავად, მეცნიერებს მის შესახებ მეტად მწიერი ინფორმაცია გააჩნია.

მედიკოსები მას ასე აღწერენ: „მარიხუანასა და მის მოქმედებას კაცობრიობა იცნობს მრავალი ათასი წელია, მაგრამ მისი მასიური მოხმარება იწყება ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებიდან. მარიხუანა პირველად მიიღეს ჰიპებმა, რომლებმაც მის კვამლში განადიდეს ალტრუიზმი და მისტიციზმი, სიხარული და პაციფიზმი.

ძნელი სათქმელია, რა აიძულებს ახალგაზრდას, მარიხუანას გემო გაუსინჯოს. საამისოდ, ალბათ, ბევრი მიზეზი არსებობს, რომელთა შორის უმნიშ-

ვნელოვანესია ინტერესი, გავლენა ნაცნობ-მეგობართა მხრიდან, უჩვეულო და წარმატები განცდის, განწყობილებისა და ცნობიერების შეცვლის სურვილი.

ქცევა ადამიანისა, რომელიც იწყებს მარიხუანის მოხმარებას, განსაკუთრებულ ყურადღებას არ იქცევს. თავის სამსახურებრივ თუ ოჯახურ მოვალეობებს ის უწინდებურად ასრულებს. თვალსაჩინოა მხოლოდ მისი მიდრეკილება მარტობისაკენ და მუსიკის ფონზე საათობრივი მედიტაცია.

ორი-სამი თვის შემდეგ ნარკომანი გაურბის ძველ ნაცნობებს, უარს ამბობს უწინდელ საქმიანობაზე, იზრდება მისი კონსპირაციული მოთხოვნილებები. უკავშირდება ნარკომანებს ან იმ ხალხს, ვისთან ურთიერთობაშიც დიდი ნდობით სარგებლობს. ნარკოტიკებს ყველაზე ცოტა – სამ-ოთხჯერ იღებს

კვირაში, დღე-ღამის ნებისმიერ დროს და, რაღა თქმა უნდა, ახლო მეგობრების წრეში, ოჯახის წევრების დაუსწრებლად.

ნარკოტიკების ბევრი ახალგაზრდა მომხმარებელი მცდარად თვლის, რომ მარიხუანა ყოველთვის აღძრავს „საკუთარი თავის შეცნობას“, „ფარდას ხდის იდუმალ ჰორიზონტებს“, „ათავისუფლებს ადამიანს შიშისაგან და ზრდის სექსუალურ სიამოვნებას“.

მოწამვლის კლინიკური სურათი ასეთი გახლავთ: „მარიხუანას ან ჰაშიშის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ნარკომანის შეცნობა რთული არ არის. მათთვის დამახასიათებელია ჩასისხლიანებული თვალები, ოდნავ შესიებული ქუთუთოები, სიმშრალის უსიამოვნო შეგრძობისაგან ხშირი ლოკვით გამოწვეული მწეებარე ტუჩები, დამწვარი ბალახ-

თითოეულს იმის შესაბამისად მიეცემა მაღლი, თუ რამდენად მართალი იყო

წმინდა მარკინე აღმსარებელი ბრძანებს: „ღმერთი და სიტყვა ღმრთისა და მამისა ვახდა ძე კაცისა და ადამიანი, იმისთვის, რათა ადამიანები ღმერთები და ძენი ღმრთისანი გაეხადა. და ჩვენ გვწამს, რომ ასეთნი გავხდებით. იქ სადაც ახლა თვით ქრისტეა დავანებული, აღმატებული ყველა ზეცისა ძალთა და ვითარცა თავია მთელი სხეულისა, იგი შუამდგომელი ვახდა მამის წინაშე, თითოეულს თავისი საზომისაგან გამოუყოფს ზეციურ ნეტარებას და მასა და ღირსეულთა შორის არ იქნება განყოფა სივრცეში. ერთნი ამბობენ, რომ ზეციური სასუფევლის მეკვიდრნი ვახდებიან ღირსეულნი, სხვები კი ბრძანებენ, რომ ცხონებულთ ანგელოზთა მსგავსი მღვთმარეობა ექნებათ, მესამენი კი ამბობენ – ეს თვით ღვთაებრივი სილამაზის ჭკურება იქნება და მას მოიპოვებენ ისინი, ვინც საკუთარ თავში ზეციური ხატი იტვირთა. ჩემი შეზღუდულება კი ემთხვევა ყველა ამ სამი აზრის ჭკუშმარტებას, თითოეულს ხომ იმის შესაბამისად მიეცემა მაღლი, თუ რამდენად მართალი იყო იგი“.

ის სუნი, უმიზეზო ალგუნებულობა, სიცილის ხშირი მოძალევა – ყოველივე ეს მოწამელის ნიშნებია.

მარიხუანა გზაა უფრო ძლიერმოქმედ ნარკოტიკებზე გადასასვლელად. ის არის პირველი ხელოვნური საშუალება საკუთარი ცნობიერების საექსპერიმენტოდ. რამდენადაც განსაზღვრული პრეპარატების საშუალებით შესაძლოა საკუთარ ცნობიერებასა და ემოციებზე ზემოქმედება, იმდენად ნარკომანს უჩნდება სურვილი, ექსპერიმენტები გააგრძელოს უფრო ძლიერმოქმედი ნარკოტიკებით.

ჰეროინის, მორფინის, მუსკალინისა და ნებისმიერი სხვა მკვეთრად გამოხატული ფსიქოფარმაკოლოგიური ეფექტის მქონე ნარკოტიკის ერთჯერადი გამოყენების შემდეგ ნარკომანი თვლის, რომ მარიხუანა მეტისმეტად სუსტია, ამიტომ ის გადადის შედარებით ძლიერ და საშიშ საშუალებებზე.

დღესდღეობით ამ თემაზე საუბარი მეტად დროულია. ყველაფერს თავისი დრო აქვს. რატომ გახდა მარიხუანის



ჰომოსექსუალიზმის შემთხვევაში, შეუძლებელია, რომ ადამიანს (თავისივე სქესის პარტნიორისგან) ეყოლოს შვილები და გამრავლდეს და, შესაბამ-

ტიკების თემა წინ წამოწეულია ფილმებში, სადაც ის გვევლინება ამა თუ იმ სხვა სტიმულის თანამემქნელად. ანუ ამ ფილმებში არიან ძალიან სიმპათიური გმირები, თამამობენ კარგი მსახიობები და, ისინი, რა თქმა უნდა, ეწევიან მარიხუანას. როგორი ნეგატიური როლიც არ უნდა ჰქონდეთ ამ მსახიობებს, მათი სიმპათიურობა თავისთავად უკვე არაცნობიერად ადამიანში იწვევს პოზიტიურ განცდებს. სილამაზეს და სიმპათიურობას უერთდება ნარკოტიკი და ეს ავტომატურად აღძრავს მოწონებას, ხიბლს, მიბაძვის სურვილს, ყოველგვარი დადებითი ემოციების გამოვლენას ადამიანში. ერთი სიტყვით, არაცნობიერი მოტივაცია აქ ძალიან ძლიერდება. ასევე ძალიან საინტერესოა ის, რომ ფილმებში იღებენ მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს ნარკოტიკებთან ერთად. მაღალი სოციალური ფენა არის ყოველთვის ძნელად მისაღწევი და სასურველი. ამდენად, თუკი მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელი კინოფილმში გამოჩნდება ნარკოტიკთან ერთად, ესეც უკვე სტიმულია, მოტივაციაა. ადამიანს ისედაც უნდა თავის სოციუმში აიძალოს თავი და უჩნდება ილუზია, რომ თურმე ნარკოტიკთან ერთად უფრო კარგად ამაღლდება.

რომ გავაცნობიეროთ, ეს არის არა უბრალოდ ჰაერიდან მოტანილი რამ, არამედ ნარკომაფიის სერიოზული მუშაობა ამ საკითხზე. იმიტომ, რომ მსახიობს, მწერალს, კომპოზიტორს,

ნარკოტიკების ბევრი ახალგამრდა მომხმარებელი მცდარად თვლის, რომ მარიხუანა ყოველთვის აღძრავს „საკუთარი თავის შეცნობას“, „ფარდას ხდის იღუმალ ჰორიზონტებს“, „ათავისუფლებს ადამიანს შიშისაგან და მრდის სექსუალურ სიამოვნებას“.

თემა ასეთი აქტუალური და რამდენად საშიშია ამ ნარკოტიკული საშუალების წახალისება ფსიქოლოგიური, ფიზიკური, მორალური, ეროვნული თვალსაზრისით?.. ამ თემაზე გვესაუბრება ფსიქოლოგი ლევან გურიელიძე.

– ცნობილია, რომ 1972 წლამდე ე.წ. „ლგბტ“, ერთნირსქესიანი ურთიერთობები, ანუ ჰომოსექსუალიზმი, როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში, ავადმყოფობად ითვლებოდა. ეს ადამიანები მკურნალობდნენ და ა. შ. მოვიდა ჟამი და ეს ურთიერთობები უკვე ჩამოყალიბდა, როგორც ნორმა და წესი. დღეს ამ ურთიერთობებს ბევრი დამცველი ჰყავს. და ვინც ამას არ იღებს, არის ჰომოფობი. რას ვიზამთ, ასეთი დამოკიდებულება მოვიდა. ისევე როგორც მოვიდა ჰომოსექსუალიზმის ჟამი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ძალით მარიხუანის ჟამიც დადგა. არსი იგივეა. როგორც

ისად, ქვეყანა განვითარდეს ნორმალურად, ისე ნარკოტიკებისგან დაბოლილი მოქალაქეების გამოსიობით, ქვეყანა ვერ განვითარდება. საბოლოოდ, ეს პრობლემა თავის თავში მოიცავს ადამიანის, პიროვნების, ოჯახის, ქვეყნის გადავარებას.

– *ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რატომ უჩნდებათ მარიხუანას მოხმარების სურვილი, რა ხიბლი აქვს ამ ნარკოტიკს?*

– მარიხუანის მიმართ დამოკიდებულებაც ისეთივე ფორმით მოვიდა, როგორც მოდის ყველაფერი დანარჩენი. ანუ ქვეტექსტები არის არაცნობიერის დონეზე. უნდა თუ არა, სწორედ ამ არაცნობიერი მოდელით იღებს (იძენს) ადამიანი პოზიტიურ დამოკიდებულებას, განწყობას ამა თუ იმ მოვლენასთან, მათ შორის, მარიხუანასთან. სახელდობრ, ვიცით, რომ ნარკო-

მხატვარს ძალიან დიდ ფულს უხდიან, რათა პოზიტიური ფორმებით მიაწოდოს საზოგადოებას ამა თუ იმ ნარკოტიკული საშუალების გამოყენება, რომელიც თავისი არსით ნეგატიურია.

— **სწორედ ეს ფსიქოლოგიური მექანიზმები უდევს საფუძვლად რეკლამას და ამ რეკლამის წყალობით დღეისთვის ასეთ მიმდევარათა მდგომარეობაში არის, მარიხუანა ჯან-**

ამიტომ, ამ ადამიანებს პრობლემები ექმნებათ სიბერეში, რომელიც თავიდან იმდენად არ ჩანს. არაპროფესიონალებს სურთ შეაშინონ მარიხუანის მომხმარებლები — სექსში გართულება შეგვექმნებათო, მაგრამ ამით ვერ შეაშინებენ ვერანაირ ნარკომომხმარებელს, რადგან ძალიან ხშირად ნარკოტიკს მოიხმარენ სწორედ სექსის გასაუმჯობესებლად, რაღაც ეტაპზე (შიშის დასაძლ-

ბი. სწორედ ძველიბჭურ მენტალობასთან, „კაი ტიპობასთან“ არის წილნაყარი ნარკოტიკი. ე. წ. „კაი ტიპობის“ დისკრედიტაციისთვის კარგი იქნებოდა რაღაც ისეთი პარალელის გაგება, რომელიც ქართველებისთვის (ქართული ეთნოფსიქოლოგისთვის) არსებობდა. მაგალითად, ნარკომანია იმდენად არ უნდა დაუკავშიროთ ლოთობას, რადგან ჩვენთან, ბოლოს და ბოლოს, ღვინო სასმელია. ნარკომანი და ლოთი კი არ უნდა შეუკავშიროთ ერთმანეთს, არამედ, თუნდაც ნარკომანი და ქურდი. უნდა ასევე შეუკავშიროთ ისეთი ნაკლოვანება, რაც ქართველებისთვის მართლა მიუღებელია.

სხვაგვარად ძნელია ნარკოტიკებზე უარის თქმა, რადგან ნარკოტიკების კულტი ჩვენთან შემოვიდა „ბითლზიდან“, ბობ მარლიდან, იამაიკის მუსიკიდან.

— **კანაფის სოფლის მეურნეობის კულტურად გამოცხადება და მისი ფართოდ გავრცელება რას გამოიწვევს?**

— ნებისმიერ შემთხვევაში კანაფის პლანტაციები ნარკომანების მომრავლების პირობაა, რომელიც ქართველებისთვის ეროვნულ სამიშროვას წარმოადგენს. გარდა ამისა, ეს გახდება ძალიან სერიოზული კრიმინალური ავტორიტეტების ბრძოლის საბაბი. ვიცით, რაც ხდება სამხრეთ ამერიკაში, კოლუმბიაში და ა. შ. სჯობს მოვამუშაოთ კაკლის, ნუშის ხეები, ზეთისხილი, ტუნგო... უბედურებაა ამდენი დაბოლილი ქართველის არსებობა. ქართველმა კაცმა ვენახი გააშენოს, ღვინო მოიყვანოს და შინიდან ისე გაყიდოს, თვითონ არ დალიოს? ასეთი დამოკიდებულება ექნება ნარკოტიკთანაც. მარიხუანას რეკლამა მოდის კინოდან, თეატრიდან, წიგნიდან და დაკავშირებულია დიდ სიამოვნებასთან. ამ განცდებს ადამიანის არაცნობიერი ტვირთავს და ამგვარად დაპროგრამებული ადამიანების ერთობლიობა არის ხვალისდელი დღის გადაგვარებული და ჭკუასუსტი თაობა. ზუსტად ეს უნდა ქართველთაგან მტერს. ოკეანის გაღმევი იქნება ის, თუ გამოდგება. ასეთი საშუალებით ისინი მიიღებენ საქართველოს ქართველების გარეშე. ეს არის მიზანი. ნუ გავაზარებთ მტერს.

ქართველმა კაცმა ვენახი გააშენოს, ღვინო მოიყვანოს და შინიდან ისე გაყიდოს, თვითონ არ დალიოს? ასეთი დამოკიდებულება ექნება ნარკოტიკთანაც.

მრთულობისთვის სასარგებლოდ გამოაცხადონ. სინამდვილეში რა შედეგები მოსდევს კანაფის მოხმარებას?

— ადრე, ე. წ. „პერესტროიკის“ პერიოდში, ერთი მულტიპლიკაციური ფილმი გადაიღეს, „საზამთრო“, სადაც ისმის სიმღერა საზამთროზე. „თორმეტ ქორწილს გადაიხდის ამისთანა მოსავალი“. ამ ლამაზი და, ერთი შეხედვით, უწყინარი სიმღერით შეფუთული ქვეტექსტური მოწოდება ასეთი იყო: ავჩენოთ ვენახი (ვაზი) და დავვრგოთ საზამთრო, იმიტომ რომ საზამთრო თურმე არც თავს სტკენს და არც გულს ურევს ადამიანს. „ვენაცვალე ამ საზამთროსო“, — მღერის პავლე. თავს სტკენს ყურძნის ნაყოფი ანუ ღვინო. ეს იყო ღვინის მწარმოებელი ქვეყნის საწინააღმდეგო მოწოდება. დაახლოებით იგივე ხდება დღეს. რა კარგია თურმე კანაფი. არც თავს სტკენს, არც გულს ურევს ადამიანს. ის კი არადა, კბოსაც შველის თურმე. სინამდვილეში, ეს ამ რეკლამების საშუალებით დანერგილი მტკნარი სიცრუეა. არადა, კანაფით „დაბოლილი“ ადამიანი თავს ვერ აკონტროლებს, ეთიშება გარემომცველ სინამდვილეს. ამ მცენარის შესახებ რისი თქმაც დაბეჯითებით შეგვიძლია, ეს არის, რომ მის მომხმარებლებს (უშუალოდ მოხმარების პროცესში) მახსოვრობა უქვეითდებათ, უუარესდებათ გარემოს აღქმა, მოძრაობის კოორდინაცია. ხშირად მოხმარებას ჯანმრთელობის გაუარესება მოსდევს: სისხლძარღვოვანი დარღვევები, თავის ტვინის ესა თუ ის დაავადება, ნერვული სისტემის მოუწყვრებლობა.

ევად). თავიდან შესაძლოა, ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ მერე და მერე ერექციაც ქვეითდება და ლიბიდოც. მაგალითის მოვიყვან. ომის დროს სტალინს მიქოიანმა უკარნახა, — გაბელულებითვის ასი გრამი არაყი მიეცეთ ჯარისკაცებსო. სტალინმა მიუგო: — ყველას არა, მხოლოდ იმ ჯარისკაცებს, რომლებიც ავანგარდში, უშუალოდ ფრონტის წინა ხაზზე იბრძვიანო. რადგან ალკოჰოლი უქმნიდა მათ ეფორიას, ადავ ხნებდა. ასეა ნარკოტიკული ეფექტიც. თავიდან არის სასურველი აღვხნება, მაგრამ მერე და მერე მას მოსდევს ადამიანური სისუსტეები — ჰალუცინაციები. აგრესიები და პარანოიები, რომლებიც, სხვათა შორის, ყველას ერთნაირად არა აქვს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ რა ფსიქოტიპს წარმოადგენს. დაბოლილობის მდგომარეობას აუცილებლად ახლავს რეალობიდან გასვლა, რომელიც, ფსიქოტიპიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარი ფორმით ვლინდება. დაბოლილობის დროს შეიძლება მოხდეს შიზოფრენიის მანიფესტაცია, პანიკა, შფოთი, ქრონიკული ობსტრუქციები, გულის არქარები. შემდეგ ერექციულ დისფუნქციასთან ერთად, მცირდება სპერმატოზოიდები და ა. შ. ძალიან ბევრი პრობლემა.

— **რა არის გამოსავალი?**

— რუსეთში უფრო ალკოჰოლიზმის პრობლემაა, ჩვენთან კი ნარკოტიკების. აქედან გამომდინარე, ნარკოტიკს ჩვენ ასე ადვილად ვერ შეველევი. ნარკომანთა შორის არიან: მსახიობები, პოლიტიკოსები, ძველი ბიჭე-

ლელა ჩხარტიშვილი

არქიმანდრიტი ხლეოვა

რამდენი ღაფარული მონა ჰყავს ქრისტეს ამ ტყეში!

ძმა კონსტანტინეს პირველი ბანსასძალი

კონსტანტინეს მორჩილება საქონლის ბაკში მუშაობა იყო, ამ დროს ის კელიაში მონაზონ ნიკოლოზთან ერთად ცხოვრობდა, რომელსაც სისუფთავე და წესრიგი უყვარდა.

ერთხელ სამორჩილო საქმეებიდან დაბრუნებულმა კონსტანტინემ ქალამნები გაიხადა, მაგრამ ტანსაცმელი არ გაიფერთხა. ბერმა ნიკოლოზმა გაბრაზებულმა დაარტყა — რატომ ანაგვიანებ კელიასო. ფეხშიშველმა და თავშიშველმა კონსტანტინემ უფროს ძმებს შესჩივლა ეს, მათ კი უსაყვედურეს, — ძმაო კონსტანტინე, აბა, სად არის ქრისტეს წყლულები შენს სხეულზეო.

მოგვიანებით მამა კლეოვა იხსენებდა:


— აი, ასე მანუგეშებდნენ ჩემი უფროსი ძმები! ღია ცის ქვეშ დარჩენილი სკიტის მეფუტკრემ, ძმა ვასილიმ, დროებით საკუჭნაოში დამასახლა, სადაც სკების ჩარჩოები ინახებოდა.

მამა კლეოვა იგონებდა: — როცა ახალგაზრდობაში საქონლის ბაკიდან დაბრუნებული, შუალამემდე მამა პეტრე განიასთან ვისვენებდი. მას ერთი კელია ჰქონდა და ყველას იატაკზე, ერთ ჭილობზე გვეძინა, რადგან კელიები ცოტა იყო. ოთხი მორჩილი ვიყავით: სიმონი, ნესტორი, პავლე და მე.

— კოსტაკ, ნესტორ, სიმონ, პავლე მთავარანგელოზის ხმა გაიგონეთ? გვკითხავდა მამა პეტრე, როცა შუალამის ზარის ხმა გაისმოდა, — ბატონიშვილებო, ლოცვაზე წავიდეთ!

თუ ცისკრის ლოცვაზე არ წავიდოდით, მეორე დღეს საჭმელს არ მოგვცემდა.

ზამთარი იდგა და მე ტადარში ფეხშიშველი დავბოდი, რადგან ქალამნების ჩაცმა არ მსურდა. სველი ფეხსახვევები კელიაში ღუმელზე შრებოდა. ტადარი იქ იდგა, სადაც ახლა ავიასმა-



მამა
კლეოვა

ტარია (ანუ მცირე ეკვდერი, სადაც წყალს აკურთხებენ, ანდა პანაშვიდს იხდიან). ვიდექი ფეხშიშველი და მამა პეტრე ბერდიდ იოანიკე მორიას ეუბ-

ნებოდა:

— მამაო წინამძღვარო, ის პატარა ბიჭი, კარს უკან, კუთხეში რომ დგას, თოვლზე ფეხშიშველა დარბის. ცუდ-

ად არ გახდეს!

– თავი დაანებე, დაე იღვანოს! – უთხრა ილუმენმა.

ბერლინის ქრისტიანული ინსტიტუტი

როცა ძმები, ბასილი და კონსტანტინე, ცხვრებს სიხლის ტყეში აძოვებდნენ, წმინდა თეოდორას (XVII საუკუნის მოსაგრე) მღვინის სიახლოვეს, სიხლ-

ევის ნიშნად ატარე, ხოლო დანარჩენი ძვლები დამარხე.

ჯვარი გამოვისახე და წმინდა ნაწილების მოსაძებნად წავედი. როცა ვიპოვე, მათ წინაშე ვილოცე, ვეამბორე წმინდა ნაწილებს, დავალება შევასრულე, ხოლო პატიოსანი თავი ავიღე და მიწურში შევედი. სული ჩემი ბრწყინავდა ბედნიერებისა და სულიერი სიხარულისგან. მაგრამ ვფიქრობდი, ნეტავ ვისა ეს

მანეთისგან 10-15 ნაბიჯის დაშორებით ევლოთ, რათა მოუკლებლად ელოცათ გულისმიერი ღოცვა და ზეპირად წარმოეთქვათ დავითის ფსალმუნები.

პირველად სუჩავეში, წმინდა იოანე ახლის მონასტერში შეჩერდნენ. შემდეგ დორიოსის მარხის ერთ-ერთ სოფელს მიაღწიეს. ძმებმა ღამის გასათევად სახლი ვერ ნახეს. ერთმა მორწმუნე ქალმა ჰკითხა, – ხომ არაფერი გინდათ, ძმებო?

– ღამის გასათევად სახლს ვეძებთ, მაგრამ ვერ ვპოვებთ!

– სოფლის განაპირას სახლი გვაქვს, სადაც არავინ ცხოვრობს, მაგრამ არ ვიცა, თუ შესძლებთ იქ დაძინებას, რადგან იქ ემშაკებია დაბუდებული!

– თუ ნებას მოგვცემთ, ღამეს იქ გავათენებთ!

წამობრძანდითო.

ძმები სახლში შევიდნენ, მცირედით საჭმლით მოძლიერდნენ და დალილები დასაძინებლად დაწვნენ. ცოტათი დასვენებაც კი ვერ მოასწრეს, რომ ბოროტმა სულემმა საშინელი ხმაური ატეხეს და გააღვიძეს. ძმებმა აიღეს ფსალმუნები, სანთლები აანთეს და რამდენიმე საათი ილოცეს. თავიდან ისმოდა ხმაური, ყვირილი, ზანზარი. მაგრამ მათ გულმოდგინედ ღოცვა განაგრძეს და ფსალმუნის ძალით შერცხვენილი ემშაკები გაიქცნენ. თენებისას კვლავ ჩათვლიძეს, მაგრამ ემშაკებმა მათთან მიკარება ვეღარ გაბედეს. დილით სახლის პატრონი მოვიდა – როგორ გეძინათო. როცა ღამით მოძხდარის შესახებ შეიტყო, რჩევა ჰკითხა, როგორ გაეწმინდათ სახლი ბოროტი სულებისაგან. ძმებმა ურჩიეს, მღვდელმა სახლში წყლის კურთხევით პარაკლისი გადაიხალოს და შენ საღამოს, შუადღისას და დილით ფსალმუნები წაიკითხე, აღსარება თქვი და ემშაკები გაიქცევიანო.

ძმები ჩერნაუცში ჩავიდნენ, საჭირო დოკუმენტები აიღეს და სკიტში დაბრუნდნენ. უკანა გზაზე ის სოფელი კვლავ გაიარეს. სახლის პატრონი მათ განარებული შეხვდა – მას მერე, რაც იქ ფსალმუნები ილოცეთ, სახლს ემშაკები ვეღარ ეკარებოდა. ქალი ამგვარად მიხვდა, თუ რამხელა ძალა აქვს ფსალმუნებს ემშაკებთან ბრძოლაში.

მამა ქრისტეფორე, გმადლობ, რომ ჩემი ნეშტი დაკრძალე და გამოიჩინე მორჩილება, აიღე ჩემი თავისქალა. იცოდე, რომ მე მქვია სქემმღვდელმონაზონი პავლე.

იდან სამ კილომეტრში, კოროის ხევში მრავალ მეუღაბნე მონაზონს ხვდებოდნენ. ერთხელ შორს, მთებში, ნაძვანარში, მეუღაბნის მიწური იპოვეს. დაუკაკუნეს. არავინ უპასუხა. შიგ შევიდნენ. მაგიდაზე ქალაღი დაინახეს, რომელზეც ეწერა: „აქ ცხოვრობს გარეული ცხოველი დ. ქ. (ანუ დიაკვანი ქრისტეფორე)“.

ერთ-ერთ ძმას აღმოხდა:

– რამდენი დაფარული მონა ჰყავს ქრისტეს ამ ტყეში!

რამდენიმე დღეში ძმებს მიწურის საიდუმლო გაეჩინათ, როცა ერთხელ ღამით სიქასტრიის ფარეხში ამ მიწურში მოსაგრე მამა ბერდიაკვანი ქრისტეფორე მოვიდა. გახსნა აბგა, რომელშიც უცნობი წმინდანის პატიოსანი თავი ესვენა – ტყეში სასწაულებრივი სახით ეპოვა. თავი საკვირველ კეთილსურნელებას აფრქვევდა.

შემდეგ ამ ნეტარმა ისიქასტმა სიქასტრიის ილუმენს, პროტოსინგელ იოანეკს მოუყვა წმინდა ნაწილების პოვნის ამბავი.

„წმინდა ილია თეზბიტელის ხსენების დღეს სიხლის სკიტის ილუმენთან ერთად წმინდა ლიტურგია ვიმსახურე, მერე კი ჩემს მიწურში დაგბრუნდი. ნაძვის ქვეშ მივწექი დასასვენებლად და დავიძინე. უეცრად ვიღაცის უხილავმა ხელმა გამაღვიძა, ვერავინ რომ ვერ დაეინახე, ისევ დავიძინე. მალე კვლავ გამაღვიძეს. დაეინახე ჰაერში მოლივლივე უცნობი წმინდანი. მან მითხრა:

– მამა ქრისტეფორე, მარჯვნივ ასი ნაბიჯი გაიარე და პატარა მღვინესთან ჩემს ნეშტს ნახავ. გთხოვ, მარტო თავისქალა აიღე და მთელი სიცოცხლე კურთხ-

თავისქალა?–მეთქი. როცა ბევრი ვილოცე, ვიხილე ღირსი მამა და მითხრა:

– მამა ქრისტეფორე, გმადლობ, რომ ჩემი ნეშტი დაკრძალე და გამოიჩინე მორჩილება, აიღე ჩემი თავისქალა. იცოდე, რომ მე მქვია სქემმღვდელმონაზონი პავლე“.

იგი გახლდათ წმინდა თეოდორა სიხლელის მოძღვარი!

ბერდიაკვანი ქრისტეფორე სამი დღე დარჩა სიქასტრიაში და, ილუმენ იოანეკსთან ერთად ყოველდღიურად ატარებდა წმინდა ლიტურგიას, ხოლო ძმები ყველანი ეამბორებოდნენ ღირსი პავლეს წმინდა ნაწილებს. მერე მამა ქრისტეფორე უკან გაბრუნდა, თან წაიღო მეუღაბნე მამის პატიოსანი თავი. შემდგომში სიქასტრიელმა მამებმა მისი მიწურის პოვნა სცადეს, მაგრამ ამაოდ გაისარჯნენ. გადმოცემით, სიხლის სკიტსა და კოროის ხევს შორის არის ღვთისაგან დაფარული ადგილი, რომლის პოვნაც კაცთაგან არავის ძალუძს. აქ საუკუნეების მანძილზე მრავალი წმინდა ისიქასტი მოსაგრეობდა. შესაძლოა, იქვე განისვენა ბერდიაკვანმა ქრისტეფორემაც, ღირსი პავლეს თავისქალით ხელში...

ფსალმუნის ძალა

მამა კლეოპა ჰყვებოდა, რომ სამივე ძმა 1930 წლის ზაფხულში ქალაქ ჩერნაუცში ჩავიდნენ, გიორგი ადრე აქ ჯარში მსახურობდა და გადაწყვიტეს, მისი სამხედრო ბილეთის ასაღებად სამივე ძმა იქ ერთად წასულიყო. სკიტის ილუმენის, მამა იოანეკს კურთხევით ნიამეციდან ჩრდილოეთ მოლდოვეთში ფეხით გასწიეს. ძმებმა გადაწყვიტეს ერთ-

კახაბერ კენკიშვილი

საქართველოს სამეფო

ჩვენ სამეფო გაბვიჟმა დამყრობელმა რუსეთმა – უნდა აღვადგინოთ, რაც წაგვართვეს!

საქართველოს სასულიერო და საერო მოღვაწეთა სამეფო (მონარქისტული) კლუბი (შემოკლებით – სამეფო კლუბი ან მონარქისტული კლუბი), საქართველოში წინა საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში დაარსდა. ჯერ მხოლოდ რამდენიმე კაცი იკრიბებოდა და საუბრობდა ეროვნულ იდეოლოგიაზე, მონარქიის აღდგენის იდეაზე. 2004 წლიდან სამეფო კლუბს ოფიციალური სახე მიეცა – დღეს ის წარმოადგენს საქართველოში სამეფო ტახტის აღდგენისა და მისი სახალხო კონსტიტუციური მონარქიის სახით აღდგენის მსურველთა ზეპარტიულ, სათათბირო-სადისკუსიო კლუბს, რომლის მუშაობაზე და უმთავრეს მიზნებზე გვესაუბრება კლუბის ხელმძღვანელი, ისტორიკოსი **ბაიოზ მამალაძე**.

სახელმწიფოს განმტკიცებას შეუწყობს ხელს. ერთ-ერთი სახალხო მონარქიის პროექტი.

მონარქია ეროვნული იდეოლოგიის მხოლოდ ნაწილია. ეროვნული იდეოლოგია უნდა გაბატონდეს სახელმწიფოში, რაც, თავისთავად, დემოკრატიის უფრო მეტად განვითარებასაც გულისხმობს.

სახალხო მონარქიის დროს, ქვეყნის მეთაურის როლს ასრულებს მონარქი, რომელ-

— ბატონო გაიოზ, ვინ არიან სამეფო კლუბის წევრები და რა აერთიანებთ მათ?

— სამეფო კლუბის წევრებს გვაერთიანებს ქვეყნის გადარჩენის სურვილი, ვეძებთ გზებს, როგორ შეიძლება ჩვენი ქვეყანა გამოვიდეს კრიზისიდან. ამ გზაზე, მიგვაჩნია, რომ სახალხო მონარქია, სხვა, ეროვნულ პროექტებთან ერთად, კარგი იქნება გადარჩენისა და აღორძინებისათვის.

დღეს ჩვენი სახელმწიფო და ერი კატასტროფის საშიშროების წინაშე დგას. ერის გადარჩენისთვის საჭიროა სახელმწიფოს გაძლიერება, ოღონდ ეროვნული პროექტებით.

საქართველო ქართველი ერის ერთადერთი სასიცოცხლო ტერიტორიაა, სხვა ტერიტორია ქართველ ერს არა აქვს. სხვა სასიცოცხლო სივრცე ჩვენ არ გავგაჩნია. არადა, ისეთი ვითარებაა, რომ მალე შეიძლება უმცირესობაში აღმოვჩნდეთ და მიგრანტები უმრავლესობა გახდნენ. ქართველები გარბიან ქვეყნიდან, რადგან მათ აქ განვითარებისა და მეტიც, ლუკმა-პურის შოვნის საშუალება არ აქვთ, სხვები კი მოდიან, რადგან აქ ძალიან იაფად აძლევენ ბინადრობის უფლებას, აქ იაფი ღირს მიწა და სხვა ეროვნული სიმდიდრეები. უფულო და მთავრობისგან მიტოვებული ქართველები ვერ უწევენ უცხოელებს



ბაიოზ მამალაძე
და მამუზა ანანია

კონკურენციას. ეს კი დემოგრაფიულ ვითარებას ცვლის.

ამიტომ, სამეფო კლუბის წევრები ვცდილობთ შევქმნათ პროექტები, რომლებიც

იც ვერასდობებით ვერ გახდება ვერც უცხო ქვეყნის აგენტები, ვერც მომხვეჭელი და ქონების დაგროვებაზე გაფაციცებული, ვერც პოპულისტი. მას ეკიდინება, რომ თავის

შვილებს უნდა გადასცენ ქვეყანა და ქვეყნის მეთაურობა, ამიტომ, იქნება პატრიოტი. არ ექნება საბანკო ანგარიშები, ბიზნესი. ექნება სახელმწიფოზე დამოკიდებული ხელფასი (პრეზიდენტზე ნაკლები, სხვათა შორის), ოღონდ გარანტირებული და ის არ დაუკარგავს ამას თავის შვილებს. ეს იქნება დარეგულირებული კონსტიტუციითა და შესაბამისი აღზრდით.

მინდა გავიხსენო სამეფო კლუბის დამ-

— მე გახლავართ სამეფო კლუბის იდეის ავტორი და სამეფო კლუბის სპიკერი. ჩვენ არ წავედით ლიდერობის გზით და ხელმძღვანელს დავარქვით სპიკერი და არა პრეზიდენტი, რადგან ვთვლით, რომ გუნდი უნდა არსებობდეს და გუნდი უნდა იყოს ლიდერი და არა პერსონა.

— რას ისახავს მიზნად მონარქიის აღდგენა საქართველოში? როგორი ფორმით უნდა აღდგეს იგი?

ჩვენ არ ვართ ახალი ქვეყანა, ახალი სახელმწიფოებრიობით, რომელმაც დამოუკიდებლობა მიიღო ახალ ეპოქაში, რესპუბლიკების ხანაში. ჩვენ სამეფო გაგვიქმნა დამპყრობელმა რუსეთმა და ჩვენ შური უნდა ვიძიოთ ისტორიაზე, დამპყრობელ რუსეთზე და აღვიდგინოთ, რაც წაგვართვა.

ფუნქციები, რომლებიც ახლა ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ დიდი წვლილი შეიტანეს სამეფო კლუბის არსებობასა და განვითარებაში:

აკადემიკოსი გურამ შარაძე, აკადემიკოსი თეიმურაზ მიხრუაძე, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, კინორეჟისორი ლერი სისხარულიძე, ისტორიკოსი ალექსანდრე ბენდიანაშვილი, ჰერალდიკოსი მიხეილ მაყაშვილი, მკვლევარი იაკობ ასუაშვილი, ეროვნული მოძრაობის დამსახურებული წევრი გაიოზ კორძაძე, გეოგრაფოსი და ბრიტანეთის მონარქიის თავყანისმცემელი ვია ჭანტურია, ვია ბუმბაიშვილი, სერგო მანგავიძე, ლიანა უმვერიძე, ზაზა სისხარულიძე და სხვები.

დღეს სამეფო კლუბს ამშვენებენ: ფიროდოუსის შესანიშნავი მთარგმნელი ბელა შალვაშვილი, სახალხო არტისტი ომარ მხეიძე, ისტორიკოსი ალექსანდრე აბლაძე, ისტორიკოსი იური სისხარულიძე, ისტორიკოსი ბუკან ხორავა, ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირების პრეზიდენტი გიორგი თევზაძე, ჰერალდიკოსი დავით კლიაშვილი, ჟურნალისტი ვახტანგ ბახტაძე და სხვები.

სამეფო კლუბის საპატიო წევრები არიან მიტროპოლიტი ანანა ჯაფარიძე, დეკანოზი აკაკი მელიქიძე, ჰერცოგი დომენიკო ორსინი, ამერიკელი გადამღვარი ბრიგადის გენერალი რონალდ მანგამი (მანგუმი)...

გვყავს დინასტიური საპატიო წევრები, უცხოელი წევრები...

— თქვენ რა როლი გაკისრიათ და როლიდან მოღვაწეობთ ამ სფეროში?

— მონარქია უნდა აღდგეს და დადგინდეს თანამედროვე ფორმით — სახალხო მონარქიის, კონსტიტუციური, ჰორიზონტალური მონარქიის სახით. ეს იქნება სრულიად დემოკრატიული მონარქია, ყოველგვარი პრივილეგიების გარეშე. არცერთ გვარს, არც ერთ პიროვნებას, თურთაღიუღად არ ექნება სხვა მოქალაქეზე აღმატებული, საპატიო არც წოდება და არც პატივი, საზოგადოების ყველა წარმომადგენელი იქნება თანაბარი ღირსებისა და პატივის, თანაბარი ტიტულის — მოქალაქე.

მონარქია იქნება ერთ-ერთი ბერკეტი გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების შესაკავებლად და დადებითი ტენდენციის მისაღებად.

— რა როლი მიუძღვით ბაგრატიონებს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ეკლესიის ისტორიაში?

— ბაგრატიონებს ჩვენი ეკლესია მიიჩნევს დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად და ყოველდღე მინდა ღვთისმშობლის ნათესაების მემკვიდრეებად. ამით ყველაფერი ნათქვამია. აღარ სჭირდება იმის დამატება, რომ ბევრი წმინდანი გვყავს ამ საგვარეულოდან და არაერთი გმირი.

— რელიგიური თვალსაზრისით, რამდენად საინტერესო და მნიშვნელოვანია თქვენი კლუბის მოღვაწეობა?

— ჩვენ მჭიდრო კავშირი გვაქვს ეკლესიის არაერთ წარმომადგენელთან, სამეფო კლუბი პატრიარქის კურთხევით მოქმედებს. მონარქია მჭიდროდაა დაკავშირე-

ბული სარწმუნოებასთან, ისტორიასთან, მეფე და პატრიარქი ერთად მართავდნენ ქვეყანას და ამ ორი ხელისუფლების პარამონიული ურთიერთობის შედეგად გადაჩნა ჩვენი ქვეყანა, გადაჩნა ჩვენი გენეტიკური სახე. ეს გზა უნდა გაგვგრძელოთ!

— თქვენი აზრით, დღეს რამდენად მზადაა ჩვენი საზოგადოება სამეფო იდეის განხორციელებისათვის?

— ხალხისთვის პროექტების გასაცნობად ვამუშავებთ სამეფო კლუბის საიტს www.georoyal.ge. ვერ მოსახლეობის თითოეულ წარმომადგენელს ვერ მივწვდით, მაგრამ, რაც შეეძლოა ვაკეთებთ, დაფინანსებისა და ფინანსური დახმარების გარეშე, ჩვენი ძალებით. ნელ-ნელა ვიკრებთ თანამოაზრეებს.

— პატრიარქის აზრი როგორია ამ საკითხზე?

— ბუნებრივია, ჩვენი პატრიარქი მონარქისტია, ისევე, როგორც მისი წინამორბედები იყვნენ. მართალია, კომუნისტების ხანაში ამაზე ოცნების ხმაძილება გამოხატვა შეუძლებელი იყო, მაგრამ, მართლმადიდებლობა მონარქიას მიიჩნევს ღვთისთვის ყველაზე სათნო ხელისუფლებად. რადგან, მეფე თივლება ეკლესიის წევრად, მის გარე წარმომადგენლად ხალხში.

— რამდენად შეუწყობს ხელს მონარქიის აღდგენაზე ფიქრი და ამ მიმართულებით მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის წინსვლას?


— მონარქიის აღდგენა იქნება სრული მორალური და ისტორიული დამოუკიდებლობის მიღწევა რუსეთის იმპერიისგან და ჩვენი ისტორიული სტატუსის სრული აღდგენა. ჩვენ არ ვართ ახალი ქვეყანა, ახალი სახელმწიფოებრიობით, რომელმაც დამოუკიდებლობა მიიღო ახალ ეპოქაში, რესპუბლიკების ხანაში. ჩვენ სამეფო გაგვიქმნა დამპყრობელმა რუსეთმა და ჩვენ შური უნდა ვიძიოთ ისტორიაზე, დამპყრობელ რუსეთზე და აღვიდგინოთ, რაც წაგვართვა. გარდა ამისა, სახელმწიფოებრიობა უნდა განვამტკიცოთ ხელისუფლების სათავეში ეროვნული, პატრიოსანი ძალებისა და პროფესიონალების მოყვანით, ქვეყნის პატრიოტი მეთაურის, შესაბამისად მეთაურობისთვის ტრადიციულად აღზრდილი მეფის აყვანით ტახტზე. თუ პატრიოტები არ იქნებიან ხელისუფლებაში, ჩვენს სამშობლოს შეიძლება მომავალი არც ჰქონდეს.

ლელა ჩხარტიშვილი

სულიერი მოძვარი

მოძვარის როლი ქრისტიანის ცხოვრებაში

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ამბობენ, გვწამს ქრისტიანი, ღვთის არსებობაში ეჭვი არ გვაპარება, მაგრამ არ გვწამს მღვდლის. – რისთვის არის საჭირო, ადამიანს ჰყავდეს სულიერი მოძვარი და რა როლს ასრულებს იგი ადამიანის ღმერთთან დამოკიდებულებაში?
აზრს გვიზიარებს მამა ბასილი:



– ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, არსებობს კატეგორია, რომელიც მღვდლის მიერ არის დაბრკოლებული. მეც ვიცნობ ასეთებს. არის სვეტენტი, რომელთაც არა აქვთ ელემენტარული საღვთისმეტყველო განათლება, არ იციან, არ ესმით მოძვარის აუცილებლობა მათ ცხოვრებაში. არიან ისეთებიც, რომლებიც ცდილობენ, რბილად რომ ვთქვათ, თავიანთი სიზარმაცე გადაფარონ რაღაც ფილოსოფიებით და ამ მოსაზრებებს, ფაქტობრივად, მღვდელზე და მის არასაჭიროებაზე აგებენ. მათ სხვადასხვა მიზეზი მოჰყავთ თავიანთი მოსაზრების გასამართლებლად, თუმცა, ჭეშმარიტება მაინც ერთია, მღვდლობის უდიდესი საიდუმლო თვით უფალ იესო ქრისტეს მიერ არის დაწესებული და მაცხოვრის ეკლესია წარმოუდგენელია მოძვარის ინსტიტუტის გარეშე, რომელიც არის ღვთის ნებისა და მისი ძალის გამტარი და აღმასრულებელი. მაგალითად, წირვის დროს ქრისტეს უხრწნელ სისხლსა და ხორცს ვერ მიეახლება ერისკაცი მოძვარის კურთხევისა და მისი მონაწილეობის გარეშე, რომელ-

იც ღვთის კურთხევით არის გამორჩეული და ხელდასხმული ამ და სხვა საეკლესიო საიდუმლოთა აღსასრულებლად, მას შემდეგ, რაც მას უფლისგან მიეცემა განსაკუთრებული ძალა და მადლი მრევლის სულიერი განახლებისა, რაც, სხვა შემთხვევაში, შეუძლებელია. როდესაც ადამიანი ეზიარება, დაწყებული იქიდან, რომ თვით ევქარისტის აქტი მღვდელმა უნდა აღასრულოს, მანამდე ადამიანს ამისთვის მომზადება სჭირდება აღსარების საიდუმლო რომ სრულყოფილად აღასრულოს მოძვართან, რომლის საიდუმლოს შეს-

რულებაც უფალმა მღვდელს მიანიჭა. ქრისტე თავის მოწაფეებს გარკვევით ეუბნება: „ვისაც თქვენ შეუნდობთ, შენდობილი იქნება და ვისაც შეკრავთ, შეკრული იქნება ამქვეყნადაც და ცათა შინა“, ანუ ზეცაში, ე.ი. მან შენდობის, შეკერისა და განხნის უფლება მისცა ღვთის მსახურებს. ანგელოზებს ამის უფლება არა აქვთ, იმიტომ რომ ისინი უხილავი არსებები არიან. ერთ-ერთი მიდგომა არის ის, რომ თითქოს ადამიანს შეუძლია თავისი ცოდვის აღიარება ღმერთთან პირისპირ ხატის საშუალებით, თუმცა ამ შემთხ-

პურსა და წყალს სარკმლიდან შეაწვდიდნენ

მრავალი დაყუდებული მამა ცხოვრობდა კიევის მღვიმის მონასტერში. მათ შორის იყო ღირსი ათანასე, რომელიც მღვიმეში ჩაიკეტა და 12 წლის მანძილზე არ გამოსულა. პურსა და წყალს სარკმლიდან შეაწვდიდნენ, მცირედს ჭამდა და მღვიმეში ყოფნისას არავის ესაუბრებოდა.

რელიგიურ-ფილოსოფიური ტერმინები

„ფილოსოფია“ – ყველა ერისის პირველწყარო – ტერტულიანეს პოზიცია (II-III ს.), რომელიც მიიჩნევდა, რომ მორწმუნე ქრისტიანს ფილოსოფია და საერთოდ მთელი არაეკლესიური კულტურა არ ესაჭიროება. თუმცა, ერესების წარმოქმნის პირველწყაროდ, ტერტულიანესგან განსხვავებით, ისტორიკოსები ძირითადად ვნოსტიციზმში ხედავენ. ეკლესიამ მიიღო პრინციპი „ის, რაც კარგია – ჩვენია“; არაეკლესიური კულტურაში მიღწეული ყველაფერი ჭეშმარიტი, მშვენიერი და კეთილი ღირსია ქრისტიანების მიერ იქნეს მიღებული. ძალიან მნიშვნელოვანია ჭეშმარიტების წყურვილი და ჭეშმარიტებისადმი სიყვარული. ის, რაც ჭეშმარიტია – ბოლოს და ბოლოს, ღმერთისგან მომდინარეობს, ამიტომ ქრისტიანობისათვის ჭეშმარიტების ყოველგვარი მარცვალი, რომელიც შეიძლება ნებისმიერ საკმაოდ სერიოზული ფილოსოფიური სწავლების მიერ იქნეს მიკვლეული – მნიშვნელოვანია. ეკლესიაში უპირატესობა მოიპოვა წმინდა იუსტინე ფილოსოფოსის (II ს.) თვალსაზრისმა: ლოგოსის მარცვლები უფალმა ყველგან – ყველა დროსა და ხალხის კულტურაში მიმოაბნია და ამ მარცვლებიდან არც თუ იშვიათად აღმოცენდა მცენარეები, დამწიფდა ნაყოფი, კრძოდ, ასე მოხდა ბერძნულ კულტურასა და ფილოსოფიაშიც: რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა სხვადასხვა მთაწროვებში გაჩენილი ლოგოსის შესახებ სწავლება იყო; ასევე მნიშვნელოვანი ქრისტიანებისათვის ფილოსოფიური ანთროპოლოგია და ეთიკა. ის ვინც ტერტულიანეს მიმდევარია, „იგნორირებას უწყევს მოციქულ პავლეს სიტყვებს, რომლის მიხედვითაც, ვისაც ღმერთი უყვარს, მის მიერ კიდევ შეიცნობა ღმერთი და რომ მორალური კანონის და მისი აღსრულების შინაგანი მოთხოვნა ადამიანს ღმერთისგან აქვს ბოძებული; ეს ადამიანები, წესისამებრ, უარყოფენ ბერძნულ ფილოსოფიას, მათი აზრით, არც ერთ ბერძენ ფილოსოფოსს ღმერთის არსის, ადამიანისა და ჩვენი ბედობის შესახებ, არასოდეს არაფერი ფასეული არ წარმოუქმებამ: მათ ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ დიალექტიკისადმი, ლანძღავენ მას და ივიწყებენ, რომ შეუძლებელია უარყოფედ დიალექტიკას და ამავდროულად არ შეეცდოს არ გამოიყენო იგი“ (ე. ჟილსონი).

ვევაში მას არ ექნება ყველაზე მთავარი გრძნობა, რაც აუცილებელია აღსარების დროს – სირცხვილის განცდა, რომელიც სინდისიდან გამოდინარეობს და წვავს შენს ცოდვას, ავითარებს სინანულის გრძნობას ადამიანში. ამიტომ არის ნათქვამი, რომ მღვდელს სულიერი შვილი მეგობრად არ უნდა ჰყავდეს, რადგან თუ მღვდლის სახით მეგობარი შეიძინე, მაშინ მღვდელს დაჰკარგავ და გაქრება შენში აღსარების დროს მოწიწება და უმნიშვნელოვანესი – სირცხვილის გრძნობა. ადამიანს ცოდვა სირცხვილად უნდა მიჩნდეს რომ, ბოლოს და ბოლოს, გადაეჩვიოს. სწორედ ამ შემთხვევაში მიმდინარეობს ადამიანში საიდუმლო პრო-

მათ, ვისაც ეკლესიასთან ურთიერთობა მღვდლის გარეშე წარმოუდგენია, მინდა ერთხელ კიდევ შევასწავლო, რომ ადამიანი ქრისტიანად ვერ მოინათლება, თუ ის მღვდელმა არ მონათლა, რადგან ხოლოდ მას აქვს ღვთისგან მინიჭებული ნათლობის უფლება. თუ მღვდელმა აღსარების შემდეგ მიტყვევის სპეციალური ლოცვები არ წაიკითხა, ის ვერ ეზიარება, ვერ მონიჭება მას სულიწმინდის ნიჭები ღვთის მსახურის ლოცვის და საიდუმლოს აღსრულების გარეშე, მაგალითად, სიყვარულის ნიჭი, სისხარულის, ან თანაგრძობის ნიჭი, რომელიც მას ღმერთთან აახლოებს და მისი განღმერთობის პროცესს უფრო სრულყოფს. სამწუხაროდ, დღეს ბევრია

ერთ-ერთი მიდგომა არის ის, რომ თითქოს ადამიანს შეუძლია თავისი ცოდვის აღიარება ღმერთთან პირისპირ ხაგის საშუალებით, თუმცა, ამ შემთხვევაში მას არ ექნება ყველაზე მთავარი გრძნობა, რაც აუცილებელია აღსარების დროს – სირცხვილის განცდა, რომელიც სინდისიდან გამოდინარეობს და წვავს შენს ცოდვას, ავითარებს სინანულის გრძნობას ადამიანში.

ცესი, რასაც სინანულის ხარისხის ამაღლება ჰქვია. როცა ხატთან მიხვალ და ღმერთს ეტყვი აღსარებას, იქ ეს განცდა არ გექნება. ამას წინათ ერთი მოძღვრის ქადაგება მოვისმინე ტელევიზიით, რომელიც ცნობილია თავისი საჯარო გამოსვლებით – არ არის აუცილებელი ხშირად აღსარების თქმა, შეგიძლია, ისედაც ეზიარო, თუ თვეში ერთხელ მაინც ნათქვამი გაქვს აღსარება. აღსარება ისიც, როცა ყოველდღე, ძილის წინ ვითხოვ ღვთისგან შენდობას, რადგან ამ დროსაც მოგვეტყვებაო. როგორც მითხრეს, ეს ათონური სწავლებაა, რასაც პირადად მე, ჩემი სულიერი თუ ინფორმაციული გამოცდილებით, ვერ დავეთანხმები. მეტიც, მე, როგორც მართლმადიდებელ ღვთის მსახურს, მიმაჩნია, რომ დღევანდელ რთულ დროში აუცილებელია, უფრო ხშირად ვთქვათ აღსარება, როცა ჩვენი ყოველწუთიერი თუ წამიერი ზრახვები და ნებისმიერი მოქმედება და სულის ყოველი მოძრაობა ცოდვებითა და მძიმე ბუღი, ეს იქნება გლობალური, მიკრო თუ მაკრო გაგებით. დღეს ურთიერთობა მღვდელთან უფრო ინტენსიური უნდა გახდეს, რათა არ დაეცოდეთ ღმერთს...

ნათლობით მართლმადიდებელი. მთავარია, როგორ ვცხოვრობთ ჩვენ ნათლობის შემდეგ. სუფრაზე სადღეგრძელოებით არ უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს ჩვენი ქრისტიანობა, პირიქით, ვისაც სწორად ესმის ჩვენი სარწმუნოება, ტრაპეზზე, მეტი თავშეკავება და ზომიერების დაცვა გემართებს, რათა მოლხენა თრობასა და ურთიერთშეურაცხყოფის მიყენებაში არ გადაიზარდოს.

მოუხედავად ყველაფრისა, ჩემი აზრით, სულიწმინდის ნიჭი, ყველაზე მეტად არის გამოხატული ჩვენს ხალხში, რადგან ღვთის მადლით ქართველი ადამიანი, თვითონ არის სულიწმინდის ბეჭედი თავის ღმერთთან მიმსგავსებული ბუნებით – განმღრთობით, მიმტვევლობით, სიყვარულით თუ უკიდურესი რადიკალიზმით, თავისი შეტევითა თუ დავადაცვით, ყველაფრით... არის გამოხატულიც, მაგრამ, ვიმედოვნებ, მალე დადგება დრო და ღვთისმშობლის შემწეობითა და ღვთის დიდი მოწყალებით ამასაც დაძლეოვთ და საქართველო კვლავ დაიბრუნებს თავის ღირსებას.

ამირან-ლაზარე სინაურიძე

„თანამედროვე ათონელ მამათა ხატუბანი“

„ცხოვრებაში დიდი სასოება გქონლეთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და ის აუსილებლად მიბიჟვანთ თავის კესთან“

არქიმანდრიტი იოაკიმე
(ნიკოლაილისი)
(გაგრძელება)

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის კალივანი

ერთხელ მწუხრის ღოცვას მოვრ-
ჩით და ჩვენ-ჩვენ კელიებში დასასვენე-
ბლად წასვლას ვაპირებდით, რომ ბერ-
დიდმა მამა იოაკიმეს მოუხმო და უთხრა:

– ფარანი მოამზადე, აიღე ჩანთა,
კვერთხი და ლავრაში გაემგზავრე. იქ
დილით, მონასტრის გახსნისას უნდა იყო.
გაარკვე (რაღაც) საკითხი, შუადღისას
უკან უნდა დაბრუნდე.

– კეთილი, მამაო, მაკურთხეთ.

დიდი ლავრის მონასტერი წმინდა ანას
სკიტიდან ოთხი საათის სავალზეა. მა-
გრამ რადგანაც მამა იოაკიმე ძალზე ნელა
დადიოდა, ამიტომაც ის საღამოსვე უნდა
გამეზავრებულიყო. მოსაგრე დაიქანცა,
მაგრამ იმის შესაძლებლობამ, რომ მორ-
ჩილების გამო ის ღვთისაგან დაჯილ-
დოვებოდა, ძალა შემატა. მუხლი
მოუდრიკა მოძღვარს, კურთხევა აიღო
მისგან და გზას გაუდგა. ნელ-ნელა აღიდა
კერასიის ფერდობზე, მაგრამ მაინც საკ-
მაოდ დიდი მანძილი გაიარა, მაშინ ბერ-
დიდმა კიდევ ერთხელ გადაწყვიტა მისი
სიმტკიცე და მოთმინება გამოეცადა: ერთი
ფეხსწრაფი ძმა გაავაზვნა მამა იოაკიმეს
შესაცვლელად, ხოლო მას უკან დაბ-
რუნება უბრძანა.

– თქვენი ღოცვით, მამაო, მე მივიღო-
დი ლავრაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, თქვენ
როგორც გნებავთ, – თქვა მამა იოაკიმემ
როცა დაბრუნდა.

მორჩილება მამა იოაკიმეს გამორჩეუ-
ლი თვისება იყო. ყოველდღიურად ის



დიდი
ლავრა

მეცადინეობდა საკუთარი ნების
მოკვინებაში, ცდილობდა, ჩვენთვისაც
შთაგონებინა ამგვარი განწყობა სულისა,
რახეც შემდეგი ამბავი მეტყველებს.

სკიტის ნაემისადგომთან ცხოვრობდა
60 წელს გადაცილებული კოჭლი მე-
თევზე იოანე. წარმოშობით კუნძულ
მიტილინიდან იყო, მონაზვნური სკუფია
ეხურა, წვერს ატარებდა და გრძელი თმა
ჰქონდა. მამებს ეხმარებოდა ხოლმე.

ერთხელ თევზი მოგვიტანა. ბერდი-
მა მას მადლობა გადაუხადა და ბრძანა,
ვინმეს თევზი კალივის საზღვრებს გა-
რეთ გაესუფთავებინა, რათა ფარფლს
ხელსაბანი არ გაეცვლა. როგორც ყვე-
ლაზე უმცროსმა, მოვისურვე ბრძანების
შესრულება, მაგრამ იმაზე კი არ დაფიქრ-
დი, რომ ქუჩაში ციოდა, ირგვლივ ყვე-
ლაფერი გაყინული იყო და წყაროდან

წყალი ძლივდებოდა წვეთავდა. ხე-
ლები წამყინა და აუტანლად მტკიოდა,
ასე რომ, იძულებული გაეხდი, კალივაში
დავრუნებულყავი და იქ გამეგრძელები-
ნა სამუშაო.

მამა იოაკიმემ მკითხა, – შვილო, რა-
ტომ შემოხვედი კალივაშიო.

მამაო, ამ ყინვასა და ყინულებით ცივი
წყალს ვეღარ გაუძელი-მეთქი.

– ბერდიდმა ხომ ბრძანა, თევზი კალი-
ვის იქით უნდა გასუფთავებულიყო, მისი
კურთხევა უყოყმანოდ და თავის მარ-
თლების გარეშე უნდა შესრულდეს.

მამა სტეფანემ, რომელიც მზად იყო,
ყველაზე ეხურუნა, ჩვენს საუბარს მოკრა
ყური, მაშინვე მოვიდა ჩემთან, გამომტაცა
თევზიანი ტაშტი, ყინვა არად ჩააგდო და
მთელი თევზი ისე გაასუფთავა, თითქოს
ეს ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყო. უნდა

ვალდარო, რომ მისი სულიერი სიმტკიცე და სიყვარული საბუღალბოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. ხელები გაეყინა. დაბუნჯებული ვუცქერდი ამგვარ თავგანწირვას.

– მონაზონი დღეში მრავალჯერ უნდა მოკვდეს, თუკი ამას მორჩილება მოითხოვს, – მითხრა მამა იოაკიმე, – შენ ახლა ღვთისაგან მოსაცემი საზღაური დაკარგე, მამა სტეფანემ კი ის მთლიანად შეიძინა.

ღმერთთან ურთიერთობა

მამა იოაკიმე მუდმივად ლოცულობდა. მუშაობდა, იჯდა, ანდა საუბრობდა, ის მაინც ასერხებდა, რომ მუდმივად ესაუბრა ღმერთთან. ის ჩვენ ტკბილად გვეუბნებოდა: – თუ მონაზონს წართმევ ლოცვას, მას ართმევ უფლებასაც, იგრძნოს თავი ღვთის ჭეშმარიტ შვილად.

მამა იოაკიმე ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩვენთან, როცა სამორჩილო საქმეებს აღვასრულებდით და მამაშვილურად გვეკითხებოდა, ვლოცულობდით თუ არა იესოს ლოცვას, ანდა თუ ვკითხულობდით ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის აკათისტოს.

თუ წმინდა ლიგურგია არ იყო ჩაგარებული, ხოლო ჩვენი გულები მეციურ საკვებს ითხოვდა, მაშინ მამა იოაკიმე, ბერდიდის კურთხევით, თავმდაბლად იცვამდა ოლარს და კეთილკრძალვით და სიხარულით ძმებს სიცოცხლის პურს სთავაზობდა.

ძალზე იშვიათად თუ შევსწრებივარ მის საუბარს: ის მხოლოდ მაშინ საუბრობდა, როცა ეს აუცილებელი იყო. მაგრამ სამაგიეროდ, მას ყოველთვის მლოცველს ვხედავდი. მამა იოაკიმემ განსამარტოებლად ყველაზე მყუდრო ადგილი, ჩვენი კალივის უკან მდებარე პატარა ტყე აირჩია. იქ ის ზეცისკენ აღაპყრობდა ხელებს და საათობით იდუმალი ურთიერთობა ჰქონდა იესოსთან. როცა ვეკითხებოდით ხოლმე, სად იყავი, რატომ დაავიანეო, იგი გვაპასუხობდა: გეთსიმანიის ბაღში ვიყავიო. მამა იოაკიმეს ლოცვა ისე გაიტაცებდა ხოლმე, რომ ზედმეტად თვლიდა ჭამას და დასვენებას. ერთი წლის განმავლობაში ბერდიდის კურთხევით ღამის გასათევად თავის კელიაში საერთოდ არ შევიდა, ჩვენი კალივის ეკლესიის სტასიდიასზე რჩებოდა. ძმები

ამბობდნენ, რომ ამ დროს საღმრთო კურთხევა და ზეციური საგნები აღავსებდნენ მამა იოაკიმეს გულს. მრავალჯერ მოგვისმენია მისი ქვითინი, ხოლო ზოგჯერ ამაღლებული ტონით წარმოთქმული ფსალმუნები. მაგრამ, როცა ცისკრის ლოცვის ჟამი დგებოდა, მამა იოაკიმე ყოველთვის ფხიზლად და მხიარულად გამოიყურებოდა, თითქოს კარგად გამოიძინა და დაისვენაო.

მის სულს ბევრი სურდა, მაგრამ უძლურ სხეულს მისი თანამგზავრობა არ შეეძლო. მამა იოაკიმე მუდმივად სისუსტეს გრძნობდა. ამ, ფაქტიურად, უძილოდ გატარებული ერთი წლის განმავლობაში, როცა სულ ზეზე იდგა და არ ჩაუბუნებია, სისხლის ცუდი ცირკულაციის გამო ფეხებზე წყლულები გაუჩნდა. ბერდიდი იძულებული გახდა მამა იოაკიმესთვის ტადარში ღამისთენებები აეკრძალა.

მაშინ დაუღალავმა მოსაგრემ სულიერი ბრძოლის სხვა ხერხი მოიფიქრა. თავისი კელიის კუთხეში ბაღინანი ლეიბი გაშალა და იქ დამჯდარი, უხემ ტანსაცმელში შეხვეული ატარებ-

ვამდა, ამ დროს ერთიანად თრთოდა. იფიქრებდი, რომ მისთვის უფრო ძლიერი ლოცვა არ არსებობდა. ძნელია სიტყვებით გადმოსცე წმიდა სამებისადმი მისი თაყვანისცემის შესახებ. როცა ღვთისმსახურებისას სამების ტროპარს გაიგონებდა, მამა იოაკიმე კეთილკრძალული ყურადღებით გაირინდებოდა. უფლის სახელი მისთვის სიტყვებს შორის ყველაზე ტკბილი იყო.

ყოველადწმინდა ღვთისმშობლის ხატების მიმართ კი მამა იოაკიმე იმგვარ სიყვარულს გრძნობდა, რომ დღის განმავლობაში მრავალჯერ კითხულობდა აკათისტოს. ჩვენც ხშირად გვირჩევდა: „ცხოვრებაში დიდი სასოება გქონდეთ ყოველადწმინდა ღვთისმშობლისა და ის აუცილებლად მიგიყვანთ თავის ძესთან“. სხვა დროს კი თქვა: „აზრები, რომელიც ძევს, ღვთისმსახურებისას აღსრულებულ საგალობლებსა და ლოცვებში, წარმოადგენს უმშვენიერეს აყვავებულ მდელს. მას ვინც ფეხს შედგამს ამ მდელზე, გული მისი დატოვების ნებას აღარ აძლევს. ხოლო თუ მაინც წამოვა, მას მთელი დღე თან სდევს ამ მდელის კეთილსურნელება“.

ისე მოხდა, რომ ჩვენი კურთხეული თემის ყველა ძმას ერთნაირი აზრი ჰქონდა ხშირ ზიარებაზე. ჩვენი კალივის მოძღვარი, მამა ქრისტეფორე, რომელიც კარულის ციცაბო ფერდობზე ცხოვრობდა, ისიც კოლივადების (ხშირი ზიარების მოძრებები) სულიერი მიმდევარი იყო. იგი ქალაქ ვოლოსის ფლაპურიის მონასტრიდან იყო მოსული. ამგვარად, უფლის სისხლთან და ხორცთან ზიარების საიდუმლო თითქმის ყოველდღიური საკვები იყო ჩვენი სამოსი და მამა იოაკიმესთვისაც. თუ წმინდა ლიგურგია არ იყო ჩატარებული, ხოლო ჩვენი გულები ზეციურ საკვებს ითხოვდა, მაშინ მამა იოაკიმე, ბერდიდის კურთხევით, თავმდაბლად იცვამდა ოლარს და კეთილკრძალვით და სიხარულით ძმებს სიცოცხლის პურს სთავაზობდა. წმინდა ძღვენი ყოველთვის ინახებოდა ჩვენი ეკლესიის სანაწილეში. უფლის კრავის ცოცხალი სიხარლოვე ჩვენს პატარა ოჯახში არსებულ ატმოსფეროს განსაკუთრებული სიხარულით აღავსებდა.

და მთელ ღამეს. ბალიშზე თავს არ დებდა და მხოლოდ ფეხები ჰქონდა გაჭიმული, რათა წყლულები არ გაეღიზიანებინა. ღამის ამ ახალ ასპარეზზე ის ლოცულობდა. და თუ წათვლიდა, მისი ბავები ლოცვას განაგრძობდნენ: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე“. როცა მისი კელიის გვერდით ვიყავით, არაერთგზის გაგვიგონია ეს სიტყვები. ხშირად, როცა შუაღამისას გამძვინვარება, უთვალავჯერ მომისმენია მეზობელი კელიიდან, კელიის კუთხეში მიმჯდარი, ღამეების მთვეული მიწიერი ანგელოზისგან თრთოლვით წარმოთქმული ეს სიტყვები, ანდა ღვთისმშობლის აკათისტო.

მასსოვს ასევე, როცა მამა იოაკიმე „ყოველადწმინდაო სამებაო“... ანდა „ყოველადწმინდა ღვთისმშობელო, შეგვიწყალე და გვაცხოვნე ჩვენ“ წარმოთქ-

კახაბერ კენკიშვილი

სულიერი საუბრები

„ვინც ამ პურს შეჭამს, უკუნისამდე იცოცხლებს“

საუბარი 4. იმისათვის, რათა ქრისტიანებს ღმერთისა და ანგელოზების ზეციური ქების ღირსება გააჩნდეთ, ამჟამად მიმდინარე ამოცანას ყურადღებით და გულდასმით უნდა ახორციელებდნენ


4.9. თუ გსურს, შენი ძალების შესაბამისი, ერთგვარად დახვეწილი, ღრმა შინაარსის მქონე აზრი გაანხმოვანო, გულისყურით მომისმინე. უკიდვანო, მიუწვდომელი და უქმნელი ღმერთი, თავისი უსაზღვრო, გონით უწვდომელ სიკეთეში და მიუვალ დიდებაში თვითდაკნინდა. უფალმა ეს იმის გამო მოიმოქმედა, რომ მის მიერვე ქმნილ ხილულ ქმნილებასთან ერთობაში შესვლა გამხდარიყო შესაძლებელი, – ვგულისხმობ წმინდანების სამშენიველებს და ანგელოზებს, რათა მათთვის ღვთაებრივ ცხოვრებასთან ზიარება განხორციელებულიყო. ყოველგვარი ქმნილება, მათ შორის, ანგელოზიც, ცალკე აღებული სამშენიველიც და ცოდვაში თვითდაპკვიდრებული ღმერთიც, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანზე მეტად არის დახვეწილი, თავისი საკუთარი ბუნებით მაინც სხეულებად გვევლინებიან. ისინი განმასხვავებელი ნიშნებით, ხაზით და სხეულებრივად დახვეწილები არიან, მაშინ, როდესაც ადამიანის სხეული არსობრივად ნაკლოვანი და არასრულყოფილია. ამრიგად, დახვეწილია სამშენიველი და ის თვალთ შეიმოსა, თვალი ხედავს, სამშენიველს აქვს ყური, რომელსაც ესმის, მისი ენა მეტყველებს და მას აქვს ხელები; ერთი სიტყვით სამშენიველი მთელი სხეულით და მისი ცალკეული ელემენტებით არის შემოსილი, სამშენიველი ერწყმის სხეულს და ყველა ცხოვრებისეული ქმედება ამ გზით ხორციელდება.

4.10. მსგავსად ამისა, უსაზღვრო და

უფალი ზორცს ისხამს პურად და ღვინოდ და როგორც სახარებაშია ნათქვამი, „ვინც ამ პურს შეჭამს, უკუნისამდე იცოცხლებს“ (იოან. 6:35), რათა მორწმუნე გამოუთქმელ ბედნიერებას ეზიაროს.



გონით უწვდომმა ღმერთმა, თავისი სათნოების გამო, დაიმცრო თავი, შეიმოსა სხეულის ნაწილებით და დაფარა თავისი არსება მიუწვდომელი დიდებისაგან. თავისი შემწყნარებლობისა და კაცთმოყვარების გამო ფერს იცვლის და ზორცს ისხამს უფალი, შედის ერთობაში, იახლოვებს წმინდანებს, კეთილმოქმედ და ერთგულ სულებს, და მოციქულ პავლეს სიტყვებით, რომ ვთქვათ, ერთი სული ხდება მათთან (1 კორ. 6:17), სამშენიველი სამშენიველში და ჰიპოსტასი ჰიპოსტასში, რათა სამშენიველმა, რომელიც ღირსი და სასურველია ღმერთისთვის, მუდმივ განახლებაში და უკვდავი ცხოვრების შეგრძნებაში იცხოვროს და უზრუნველ დიდებაში მონაწილეობდეს. რადგან ეს ხილული ქმნილებაც არარსებობიდან



მყოფობაში რაღაც უამრავი მრავალფეროვნებისა და მრავალი სხვადასხვა სახით უფალმა შემოიყვანა და ამ ყველაფერს თავისი მყოფობა ჯერ არ დაუწყია. მან მოისურვა და ყოველგვარი სიძნელების გარეშე უხეში და მყარი არსებები შექმნა, მაგალითად: მთები, ხეები (ხედავ, როგორ სიმყარეს წარმოადგენს მათი ბუნება!), შემდეგ საშუალო – წყალი, წყლიდან ფრინველების დაბადება ბრძანა და კიდევ უფრო დახვეწილი: ცეცხლი და ქარები, და ისინიც, რომლებიც თავისი დახვეწილობის გამო ზორციელი თვალისათვის უხილავია.

4.11. და რადგან არაფრისგან, უსასრულო და გამოუთქმელი სიბრძნითა და შემოქმედებით მრავალფეროვანი, უხეში, დახვეწილი და რბილი სხეუ-

ლის შექმნით უფლის ნება განხორციელდა; მით უმეტეს, თავად მყოფი, როგორც მოისურვებს, სადაც მოისურვებს, იმისათვის რათა წმინდანებისა და ღირსეული არსებებისათვის გამოუთქმელი, მიუწვდომელი და უხილავი, ხილული განდეს, არახელშესახები ხელშესახებად იქცეს, მათში არსებული სულიერი სრულყოფილებისა აღმქმელობითი შესაძლებლობების შესა-

შესაბამისად მოიქცევა. ამ მიზნის განხორციელება ძნელი არ იქნება იმის თანადგომით ვისაც, რადაც მოისურვება ღირსეული და ერთგული პიროვნული სულების ფერისცვალება იმად შეუძლია. მთავარია, ადამიანი შეეცადოს, ღმერთისათვის სასიამოვნო და მისაღები იყოს და ზეციური სიკეთის ძალა, ეს გამოუთქმელი სიამოვნება, ღმერთის განუსაზღვრელი დიდშეწვენიერი სავსება

სვამდნენ სულიერი კლდიდან, თან რომ მიჰყვებოდა მათ; ხოლო ეს კლდე იყო ქრისტე“ (1 კორ. 10:4).

4.13. ამრიგად, როგორც თავად ღმერთმა ინება, და როგორც წმინდა მამისათვის იყო სარგებლის მომტანი, ყოველ მათგანს ისე ეცხადებოდა, სხვაგვარად გამოეცხადა უფალი – აბრაამს, სხვაგვარად – ისააკს, სხვაგვარად – იაკობს, სხვაგვარად – ნოეს, დანიელს, დავითს, სოლომონს, ესაიას და ყოველ წმინდა წინასწარმეტყველს – სხვაგვარად გამოეცხადა – ელიას, სხვაგვარად – მოსეს. ვგონებ, რომ მოსე, მთაზე ყოფნისას, ორმოცდღიანი მარხვის მანძილზე, სხვაგვარი სულიერი საზრდოთი იკვებებოდა და დიდ ნუგეშს და სიამოვნებას შეიგრძნობდა. ამრიგად, როგორც თავად უფალი ბრძანებს, იმისათვის, რათა დაემშვიდებინა, გამოეხსნა და ღმერთის შეცნობამდე მიეყვანა, ის ყოველ წმინდანს ეცხადებოდა. რადგან, რაც კი მოესურვება, მისთვის ყველაფერი წვდომადია და თვითდაკნინებით, როგორც საჭიროდ მიიჩნევს, საკუთარი პიროვნებით ისე განხორციელდება და თავისი პიროვნების მოყვარულთათვის უდიდესი და გამოუთქმელი სიყვარულით ხილული გახდება, ყოველი ღირსეულს, ნათლის მიუწვდომელ დიდებაში მისთვის წვდომადი ძალით გამოეცხადება. ხოლო სამშენველი, რომელიც დიდი სიხარულითა და სურვილით მოელის ზეციურ ძალას, ზეციურ სულიერ სიყვარულს და რომელსაც თავის თავში ზეციური უკვდავი ცხოვრების ცეცხლი უკვე გააჩნია, ყოველგვარ მიწიერ სიყვარულს უარყოფს და ყოველგვარი ამქვეყნიური ნაკლისგან უეჭველად გათავისუფლდება.

უშუალო გამოცდილებამ შეაგრძნობინოს, დაინახოს უფლის სული, რომელიც ვლინდება როგორც სიმშვიდე, სიხარული და მარადიული ცხოვრება ღირსეული სამშენველებისათვის.

ბამისად, იმისათვის რათა მათმა პიროვნულმა სულმა ჭეშმარიტი სიკეთე, სიტკბო და ჭეშმარიტი სულიერი სიამოვნება შეიგრძნონ, სიკეთით სავსე უფალი საკუთარ პიროვნებას მიუძღვნის, თავის თავს დაამცრობს და მათ მიაძმგავსებს. როდესაც მოისურვებს, – ის ცეცხლია, რომელიც შთანთქავს ყველაფერს რაც უყარვისია და ჩვენს სამშენველში დამხმარე ძალად შემოიჭრება. რადგან დაწერილია: „ჩვენი ღმერთი არის შთანთქმელი ცეცხლი“ (ებრ. 12:29). როდესაც მოისურვებს, – გამოუთქმელი და აღუწერელი სიმშვიდეა, რათა სამშენველს ღვთაებრივი სიმშვიდე დაეუფლოს. როდესაც მოესურვება, – სიხარული და ბედნიერებაა, სითბო და დაცულობა სამშენველისა.

4.12. თუ ერთ-ერთ სულიერ ქმნილებას თავისი სიხარული და მხიარულება, მაგალითად: სინათლის ქალაქ იერუსალიმს ან ზეციურ სიონს სურს მიაძმგავსოს; შეუძლებელი არაფერია თუ თქმულის: „მიადექით სიონის მთას და ცოცხალი ღმერთის ქალაქს – ზეციურ იერუსალიმს“ (ებრ. 12:22)

და ზეგვირელობა, რომელიც „როგორც დაიწერა: „რაც არ უხილავს თვალს, არ სმენია ყურს და არც კაცს გაუვლია გულში“ (1 კორ. 2:9), უშუალო გამოცდილებამ შეაგრძნობინოს, დაინახოს უფლის სული, რომელიც ვლინდება, როგორც სიმშვიდე, სიხარული და მარადიული ცხოვრება ღირსეული სამშენველებისათვის. უფალი ზორცის ისხამს პურად და ღვინოდ და როგორც სახარებაშია ნათქვამი, „ვინც ამ პურს შეჭამს, უკუნისამდე იცოცხლებს“ (იოან. 6:35), რათა მორწმუნე გამოუთქმელ ბედნიერებას ეზიაროს. უფალი ბრძანებს: „მე ვარ პური სიცოცხლისა“ (იოან. 6:35). და ზეციურ სასმელს ნაზიარები, შესაბამისად არის ხორცშესხმული, როგორც ბრძანებს: „ვინც დალევს წყალს, რომელსაც მე მივცემ, აღარ მოსწყურდება უკუნისამდე, რადგან წყალი, რომელსაც მე მივცემ, იმ წყაროს წყლად იქცევა, საუკუნო სიცოცხლედ რომ იდინებს მასში“ (იოან. 4:14). და წყლის შესახებ არის ნათქვამი: „და ყველანი ერთსა და იმავე სულიერ სასმელს სვამდნენ, რადგანაც

*შემდეგ: საუბარი მეცამეტე...
(გაგრძელება)*

როლანდ ჩხეიძე

უნდა გვწამდეს, რომ უფალი გვაცხოვნებს

მამა ვიტალის (სიდორენკო) მოვუსმინოთ: „ბევრი კითხულობს, როგორ ვცხოვრებთო. უნდა გვწამდეს, რომ უფალი გვაცხოვნებს, ეს რწმენა კი ფრთებს შეგვასხამს, როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიაში წმინდა ნათლისღებით ხელახლა ვიშვებთ; შეცოდების მერე გვაქვს სინანულის საიდუმლო, რომელიც

შემდგომ ავგალორძინებს, გვიბოძებს მშვიდობას, სიყვარულს, ცხოვრებას. თქვენ, ყველას, ლოცვით კეთილს გისურვებთ ჩვენს უფალ იესო ქრისტეში, რომელსა შვენივს დიდება, პატივი და თავყვანისცემა თანა მამით და სულიწმიდითურთ, ამინ“.

წმინდა ბრიგოლ პალამას ანთროპოლოგია

ალამიანის გონი – უსხეულო ავლადიდება

ნაწილი მეორე –
სინსტიმატური
თავი მეშვიდე
ღმერთის ხატება
და მსებასება

ალამიანი და ანგელოზები
(გაგრძელება 6)

„ცივილიზაციის ყოველგვარი შედეგი, გამოგონება და ადამიანური აზროვნების ყველა სახის მიღწევა – ყოველივე, ღმერთი-სიტყვის მიერ ჩვენთვის ბოძებული საჩუქარია“

არქიმანდრიტი
თეოდორე (ა. ბუხარაძე)

„ყოველგვარი კოსმოსური წესრიგისა და თანხმობის საფუძველს უთანასწორობა წარმოადგენს, სწორედ ეს არის სამყაროში ალამიანის პიროვნული მყოფობის გამართლებებისა და შემოქმედებითი წინსვლის საფუძველი. უკუნ სიბნელეში, ყოველგვარი ნათლის დაბადება უთანასწორობის გამოვლინებაა. ყოველგვარი შემოქმედებითი მოძრაობა უთანასწორობის წარმოქმნის გამოხატულებაა, ეს არის ამაღლება და უზარისხო მასაში ხარისხიანის თვითგამოვლინება.“

მარადიული უთანასწორობაა თავად ღმერთის განკაცება. უთანასწორობიდან წარმოიქმნა სამყარო, კოსმოსი. უთანასწორობიდან გაჩნდა ალამიანი“.

**ნიკოლაი ბერდიაევი,
„უთანასწორობის
ვილოსოფია“**

პალამა არაერთხელ აღნიშნავს, რომ ანგელოზებს მსახურებრივი მდგომარეობა უკავიათ. ანგელოზები ღმერთმა „ჩვენს მყოფობამდე და ჩვენთვის შექმნა. ისინი, როგორც წმინდა მოციქუ-



წმინდა ბრიგოლ პალამა

ლი პავლე ბრძანებს, იმათი მსახურებისათვის იგზავნებიან, ვინც გამოხსნა მიიღო და გამოხსნაში დაჰკვიდრდა“. „მრავალგვარი და უთვალავი ანგელოზები ალამიანისათვის არიან შექმნილნი“. „სწორედ ამიტომ, ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროს, ყველაზე ბოლოს, როგორც მეუფე და მბრძანებელი, ალამიანი მოველინა“, მოთხოვნების შესაბამისად, ცხოველებისა და ფრინველების სახით, მას დაქვემდებარებული არსებები გააჩნია, ხოლო ალამიანის დაღუპვისგან გადამრჩენებად უმაღლესი არსებები, ანგელოზები არიან მოწოდებულნი. როგორც ვიცით, ეს აზრი მნიშვნელოვან წილად წმინდა გრიგოლ ნოსელიისგან მომდინარეობს, და იგი აშკარად იკითხება მის თხზულებაში „ალამიანის შექმნის შესახებ“.

მაგრამ მეტად საინტერესო ანგელოზებზე ალამიანების ის უპირატესობაა, რასაც პალამა ჩვენი შემეცნების წყობაში ხედავს. პალამას აზრით, ინტერესს ის დასკვნებიც იწვევს, რომლებიც ჩვენი შემეცნების სისტემის წყობის თავისებურებიდან მომდინარეობს. პალამა წერს: „ყველაფერ დანარჩენთან ერთად

შეიძლება ითქვას: ჩვენი შემეცნების სამებრივი წყობა გვიჩვენებს, რომ ჩვენ ღმერთის ხატად უფრო მეტად ვართ შექმნილნი, ვიდრე ანგელოზები. და ეს არა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენი შემეცნება სამებრივია, არამედ იმისთვისაც, რომ ის ცოდნის ყოველგვარ სახეობაზე მაღლა მდგომია. მართლაც, ყველა ქმნილებათა შორის გონების გარდა, განსჯა და გრძნობა მხოლოდ ალამიანებს გაგვანია. ის, რაც განსჯასთან ბუნებრივად არის შეერთებული მრავალი სახის ხელოვნებას, მეცნიერებას და ისეთ ცოდნას წარმოქმნის, როგორც: მიწათმოქმედება, ნაგებობების შენება, საგნების არაფრისაგან შექმნა, – ცხადია, აქ სრულიად არმყოფობისგან შექმნა არ იგულისხმება, რადგან ეს მხოლოდ ღმერთს შეუძლია, – ჩვენ კი მხოლოდ იმას ვგულისხმობთ, რაც ღმერთის მიერ მხოლოდ ალამიანებს მიეცათ. ისე ხდება, რომ იქიდან, რაც ღმერთის მიერ არის შექმნილი, თითქმის არაფერი იღუპება; მეტიც, როდესაც ეს ქმნილებები ერთიმეორეს შეერევა, ახალი ფორმები წარმოიქმნება. ასე, მაგალითად, გონისათვის უხილავი სიტყვა ჰაერით მხოლოდ სმე-

ნის ორგანოს კი არ უერთდება, არამედ ეს სიტყვა, სხეულის საშუალებით იწერება და სხეულის საშუალებითვე აღიქმება; და შემოქმედმა ღმერთმა ეს უნარიც მხოლოდ ადამიანს მიანიჭა. ყველაფერი იმისათვის ხდება, რათა ადამიანისათვის საკმარისად შეცნობადი იყოს ყოვლადმაღალი ხორცშესხმული სიტყვის გამოცხადება. მსგავსი უნარი ანგელოზებს არ გააჩნიათ“.

მოცემულ ნაწევრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მხოლოდ იმის გამო არ ენიჭება, რომ ჩვენი შესწავლის ობიექტს თესალონიკელი მღვდელმთავრის ანთროპოლოგია წარმოადგენს. ამ ანგელოზისტოლ სრულ მეცოდროვეში, არა მხოლოდ ყოველგვარი მიწიერისა და ადამიანურის უგულებელყოფა, არამედ ადამიანურის ანგელოზურით ან ღმერთის ხატების ანგელოზურით ჩანაცვლების რამენაირი სურვილიც კი არ შეიძინება, მეტიც, მასში

ერთი ქმნის სრულიად არარსებულისგან, ჩვენ კი სიცოცხლეში ის შემოგვყავს, რაც გონით წვდომადში რალაცგვარად იმყოფება, მაგრამ ემპირიულ სამყაროში ჯერ არ არსებობს. ამ მონაკვეთმა შეიძლება მთელ ფილოსოფიურ შემოქმედებას დაუდოს საფუძველი და გაამართლოს იგი.

რამდენად დამოუკიდებელია პალამა ამ ნაზრევში? ეს წვდომა მხოლოდ მისი დამსახურებაა თუ რომელიმე საეკლესიო მწერალთან მიაკვლია მას?

უწინარესად გავიხსენოთ წმინდა ბასილი დიდი, რომელიც გვასწავლის, რომ ადამიანის სამშენველი ზეცის მსგავსია, რადგან უფალი მყოფობს მასში, რომ ადამიანის გონია იმის განმკარგველი, რაც ქვეყანაზეა; რომ ადამიანში არის ერთგვარი ბუნებრივი სწრაფვა, ან უფრო ზუსტად „ჩათესილი ლოგოსი“; მშენებლებისკენ მიდრეკილი გულისთქმა, და „რა შეიძლება ღვთაე-

ერთგვარ დასახლებულ ქალაქად წარმოუდგენია, ეს ქალაქი თავის თავში მრავალფეროვან შეგროვებებს და ხატებს მოიცავს. ღმერთი უმშვენიერესია, ხოლო ჩვენი გონი საუკეთესოს ხატად არის შექმნილი და მისი სწრაფვა პირველხატი მშენებლებისკენ სრულიად ბუნებრივია. ის სარკის მსგავსად ირეკლავს ამ მშენებლებს და ამგვარად ჭეშმარიტ სილამაზესთან არის ურთიერთობაში. მშენებლების ხატად შექმნილი გონი, თავადაც შეიძლება იყოს მშენებელი, მაგრამ, მრუდე სარკის მსგავსად, ეს სილამაზე მრუდედ, სადაგლად წარმოადგინოს და ამგვარად ბოროტებაც კი შეუძლია განახორციელოს. გონი ღმერთის მიერ არის მართული, ხოლო გონით ჩვენი ყოფიერი ცხოვრება იმართება „თუ ღვთაება სიკეთის სისავსეა, ხოლო ადამიანი მისი ხატია, მაშინ გამოდის, რომ ადამიანი ყოველგვარი სიკეთით არის აღვსილი. შესაბამისად, ჩვენში ყოველგვარი სიკეთე, სათნოება და სიბრძნე, ყველაფერი ის არის წარმოდგენილი, რაც გონითწვდომადი და საუკეთესოა“.

როგორც ჩვენ გვასწავს, V საუკუნეში მცხოვრები განათლებული ეპისკოპოსი ნემესიოს ემესელი ადამიანის დანიშნულებისა და მაღალი ღირსების შესახებ გვასწავლიდა. „მხოლოდ ადამიანს შეუძლია ხელოვნების, მეცნიერების და მათ სივრცეში არსებული დარგების შემეცნება. მხოლოდ ადამიანი, – ამ შემთხვევაში, იმეორებს იგი ის სექსტუს ემპირიკოსს, – იწოდება გონიერ ცხოველად, მოკვდავად და მეცნიერული უნარების მქონე არსებად“. გავიხსენოთ, რას და როგორ ამბობდა ნემესიოსი ადამიანების უნარების შესახებ, როგორ ახასიათებდა მის შესაძლებლობას – დაამშვიდოს სტიქია, გადაკეთოს ზღვები, დაიმორჩილოს ცხოველები, ვისთანაც მოესურვება წერილობითი ურთიერთობა დაამყაროს, მათ შორის დიდ მანძილებზე; ყველა და ყველაფერი მართოს, მიიღოს სხვადასხვა სახის სიამოვნება, გამოიკვლიოს საგანთა ბუნება, იმსჯელოს ღმერთის შესახებ, ჩვენს კეთილშობილებასა და ზეციურ წარმომავლობაზე.

ყველაფერი იმისათვის ხდება, რათა ადამიანისათვის საკმარისად შეცნობადი იყოს ყოვლადმაღალი ხორცშესხმული სიტყვის გამოცხადება. მსგავსი უნარი ანგელოზებს არ გააჩნიათ.

სხეულის დიდებით შემოსვაც კი ამოიკითხება. საუბარია იმ სხეულის შესახებ, რომელიც, გარკვეული გაგებით თითქოს მონაზვნურ-ანგელოზური ცხოვრების ხელისშემშლელადაც კი წარმოგვიდგება. ის, რითაც ადამიანები ანგელოზებისგან განსხვავდებიან, სწორედ შეგროვების აღქმის უნარია და ამის გამო წმინდა გრიგოლი არა თუ გმობს და აკნინებს ადამიანს, არამედ პირიქით, როგორც ანგელოზური შემეცნებისათვის მიუწვდომელი შესაძლებლობების მქონეს და, არა მხოლოდ შეცნობადის შემეცნებელს, არამედ როგორც ახლის, აქამდე არარსებული ფორმებისა და საგნების შემოქმედს, განადიდებს ადამიანს. ანგელოზებს არა აქვთ მინიჭებული ის უდიდესი და ღმერთს მიმამსგავსებელი უნარი, რასაც შემოქმედებითი ნიჭი ჰქვია. თუ ღმერთი შემოქმედია და ქმნის არაფრისგან, ჩვენ, ღვთის ხატად შექმნილი ადამიანებიც მანამდე არარსებული საგნებისა და ხატებების შემოქმედები ვართ. რა თქმა უნდა, დიდია განსხვავება: ღმ-

ბრივობაზე უფრო მშვენიერი იყოს!“. აქედან შეიძლება ქრისტიანული ესთეტიკისა და ფილოსოფიური შემოქმედებისათვის მნიშვნელოვანი დასკვნა გავაკეთოთ. მაგრამ ეს ცოტაა. უფრო მეტს ჩვენ ბასილის ძმასთან, გრიგოლ ნოსელთან მივაკვლევთ.

ის აცხადებს – ადამიანის გონი არის „ერთგვარი გონითწარმოსახვა და უსხეულო ავლადიდება“; გონი, იმისათვის, რომ თავისი შინაგანი მოძრაობები რამენაირად გაახმოვანოს, ხემის მსგავსად, მუდმივად ხმის გამოძეგმ ორგანოებთან უნდა იყოს შეხებაში; ის თხზავს რაღაც აზრებს, „შეუძლებლობის მიუხედავად სამშენველში გაჩენილ აზრებს გამოთქვამს, რომლების გაგებაც, მცოდნე შემოქმედისათვის, მხოლოდ ხორციელი გრძნობებით არის შესაძლებელი, ის ამ სულიერ იარაღს ეხება, და იქ მოპოვებული ბგერებით ნათელს ჰფენს მასში არსებულ დაფარულ აზრებს“. გონი ჩვენში ქმნის სიტყვას; და ამისათვის ჩვენ ორმაგი აპარატი, – ხმა და სმენა გავაჩნია. გონი წმინდა გრიგოლს

შემდეგ: ღმერთის ხატება და მსგავსება. (ადამიანები და ანგელოზები – 7).

როლანდ ჩხეიძე

ჩემი საქართველო ამ არის

წითელუბანი

ღორის ამ საზღვრისპირად ქცეულ სოფელში სტუმარს დიდი სითბოთი და სიყვარულით ხვდებიან. მამა პეტრე ტიტვინიძის დახმარებით ამ სოფელს ერთი დღით ვეწვიე. მრევლი დიდი რუდუნებით ელის მოძღვრის გამოჩენას. მამა პეტრეს ვკითხე, როგორ დაიწყო ამ კუთხეში ღვთისმსახურება-მეთქი. მოძღვარიც პასუხებს არ აყოვნებს:

– თითქმის ათი წელია ვმსახურობ გორის რვა სოფელში. შავშვებში, ნაწრეტში (შავშვები ჰქვია დევნილი მოსახლეობის საცხოვრისს), წითელუბანში, ხურვალეთში, ახალსოფელში, ქვემო და ზემო სობისში. აქედან მოქმედი ტაძარი მხოლოდ ორ სოფელშია – ხურვალეთსა და ქვემო სობისში. დანარჩენ ტაძრებში პარაკლისებს და მიცვალებულთა პანაშვიდებს ვატარებ. მეუფე ანდრია ამ ათი წლის წინ მაკურთხა მღვდლად. თავიდან ხუთ სოფელში ვიყავი. მერე რაოდენობამ მოიმატა. მრევლიც შეძლებისდაგვარად დადის. ძალიან მინდა, მეტი ადამიანი დადიოდეს ტაძარში და ეზიარებოდეს ღვთის სიტყვას. ხუთშაბათს ჩამოვდივარ და კვირას თბილისში ვბრუნდები. როგორც ღვთის ჯარისკაცისა, ჩემი ადგილი აქ არის. ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა დალოცოს ჟურნალი „კარიბჭე“, მისი მესაჭე, ქალბატონი თამარი. ღმერთმა გაგაძლიეროთ, ღვთის სიტყვას ავრცელებთ და ამის ნაყოფს აუცილებლად მოიმკით.

მამა პეტრე წითელუბნის მრევლს მაცნობს. „კარიბჭესთან“ სასაუბროდ შეკრებილები მოსწრებულ პასუხებს უმალ მაძლევდნენ. საუბარს ქალბატონი მანია ჩიტაძე იწყებს.



სოფალი
წითელუბანი

– შავშვების საკრებულოს სოფელ წითელუბნის განაპირას წმინდა გიორგის სახელობის პატარა ნიშია, აქ ხშირად ჩამოვდივართ. სანთელს ვანთებთ და ვლოცულობთ. მამა პეტრე პარაკლისებს იხდის. კარგი იქნება, თუ შედარებით დიდ ტაძარს ააგებენ კეთილისმსურველები.

ჩვენი სოფელი ოსებით არის დასახლებული. ასევე აქ ცხოვრობენ მთიანი აჭარიდან ჩამოსულები, მესხები. 90-იან წლებში მოხდა აქედან ოსების გასახლება ვლადიკავკაზში, ორჯონიკიძეში საიდანაც აჭარლები ჩამოსახლეს. მას შემდეგ შავშვების დასახლებაში სამი ეროვნების ხალხი ცხოვრობს. ძალიან ბევრჯერ მოხდა ამ

სოფელში მიწების მიტაცება ოსების მიერ.

ეს სოფელი გარშემორტყმულია ოსური ბანერებით და ძალიან საშიშ ზონაში ვცხოვრობთ. მთავრობამ გამოიჩინა ახლა ყურადღება იმის მიმართ, რომ გაზიფიცირება მოხდა, წყლის გაყვანილობა, გზების ინფრასტრუქტურა მოეწყო, ამ მხრივ გამოიჩინეს ყურადღება. ოკუპირებული მიწების დაბრუნების მხრივ ჯერჯერობით არაფერი ისმის.

რამდენჯერმე ჩვენი სოფლიდან ხალხი გაიტაცეს. ხალხი საქონლის სამწყემსავად იყო გამოსული, ჩასაფრებულებს მაშინვე მიჰყავთ, ცხინვალის პოლიციაში მიჰყავთ და ჯარიმის გადა-

მას ფერადი ტელევიზორი აქვს და ყველაფერს ხედავს

მამა პორფირე კავსოკალიველის მადლმოსილებაზე მამა პაისი ათონელი ბრძანებდა, – მას ფერადი ტელევიზორი აქვს და ყველაფერს ხედავს, მე კი შავ-თეთრი.

ალბათ მნიშვნელოვანი იქნება ასეთი დარიგების მოსმენა კიბოთი დასწრებულთათვის, მით უმეტეს, რომ მამა პორფირე კიბოთი გარდაიცვალა.



მამა კობრა
მრავლთან ერთად

ხდის შემდეგ უკან აბრუნებენ.

— აქაურობას რომელი სოფლები ემიჯნება?

— სურვალეთი გვემიჯნება, რომელიც კონტროლირებადი სოფელია. იქაურები ჩვენზე გაჭირვებულები არიან. აქვეა წინაგარა, სურვალეთი, ჯუკაანი და ბერშუეთი. ეს სოფლები გვემიჯნება.

— თქვენ მასწავლებელი ხართ?

— დიახ, რუსულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი. ცხრა წლიანი საჯარო სკოლაა და 60 მოსწავლემდე გვყავს.

— სოფელი დაიცალა?

— ეს სოფელი იყო სუფთა ოსური

დასახლება. მას შედეგ, რაც ჩამოსახლდა სხვადასხვა კუთხის ხალხი, შედარებით გაქართულდა სოფელი. ჩვენს სოფელში არასდროს მომხდარა ჩხუბი, შეხლა-შემოსლა. გაგებული სოფელია, ბევრი ეროვნების ხალხი შეხმატკბილებულები ვართ. ამას მოჰყვა ოჯახების შექმნა, დანათესავება. ღმერთის წყალობით ბოლომდე ასე ვიქნებით.

ქალბატონი **ლიანა სოზრეშვიანიძე**:

— მე აჭარიდან ვარ ჩამოსახლებული. ხოზრევანიძე ვარ ლიანა. მეუღლე ცეცხლაძეა.

არც ეს ტაძარი არ გექონდა და ჩამოყალიბდა სხვადასხვა სექტები, 50-იანელე-

ბი, იელოველები, მოსახლეობის უმრავლესობა სექტანტები არიან. მართლმადიდებლების ნაკლებობაა. ჩვენთან ჩამოსახლება გვარების მიხედვით მოხდა. ცეცხლაძეები ამ სოფელში დაასახლეს, ლაბაძეები სხვა სოფელში.

— თავად დევიძე ვარ, მეუღლე მყავს გლურჯიძე, შვილო, — მიაბობს ერთი სათნო ქალბატონი. 1994 წელს ოსებისგან სახლი შევიძინე. სოფელი მიწოდდა, ჩემი შვილები თბილისში ცხოვრობენ. მას შემდეგ აქ ვცხოვრობ. შვილი გარდამცვალა და წამოვედი სოფელში და მივდექ სოფლის მეურნეობას. მაშინ აჭარლებთან ახლოს არ ვიყავი. ახლოს ვიყავი ოსებთან. ოსები ისე მპატრონობდნენ, როგორც საკუთარი ოჯახის წევრს. შვილგარდაცვლილი დედა ვარ და ქმარი, შვილი ყველა დავტოვე და სოფელში დავსახლდი. მანამდეც დავდიოდი ტაძარში, გორში დავდიოდი. წირვა-ლოცვას არ ვაცდენდი. ეკლესიურად ვცხოვრობ შეძლებისდაგვარად. მე აქ ცუდი არაფერი მინახავს, ერთმანეთის გატანის მეტი. სიკეთე ის გვაქვს, რომ რახან ჩვენი სოფელი ბუფერულ ზონად ითვლება, გათბობის ფულს, 200 ლარიან ვაუჩერს გვაძლევენ. აქამდე ხელზე გვაძლევენ და რახან გაზი გამოვიყვანეს, ახლა გაზის გადასახადზე დაგვირიცხეს, სხვა მხრივ ძალიან კარგად ვცხოვრობთ ერთმანეთთან. მამა პეტრეს წყალობით ვეზიარები და ვარ აღმსარებელი. აწარმოე საქართველოს ფარგლებში ფუტკარს ვუვლი. 90 სკა მოვიყვანე. ზოგმა სამკერვალო გახსნა, საკონდიტრო.

გიორგი ცეცხლაძე:

— მე რომ აქ ჩამოვედი, სამი წლის ვიყავი. ოსი მეგობრები მყავს, კლასელები. დღემდე საუკეთესო ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. სხვა მხრივ, უჭირს ხალხს და დაიცალა სოფელი. ვისაც სად შეეძლო, იქ წავიდა. მთელი ახალგაზრდობა წასულია აქედან. სამსახური არ არის და რა გააკეთოს სახლში? თითზე ჩამოსათვლელი ახალგაზრდები არიან. სკოლა და ამბულატორიაა მხოლოდ სოფელში, სხვა დაწესებულებით ვერ დავიკვეხნით. სანუგეშოდ დედაეკლესია გვაქვს. მომავლის რწმენა და იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

თეა ცაგურიშვილი

მართლმადიდებლური ჰოსტაზი და საიტები

აი, რას აკლავს ქმნილებას ღმერთის განდიდება

**ღიღობა მალაქია შინა
ღმერთსა:**

ნუთუ თქვენ არ იცით, რომ მათ ვინც სასოწარკვეთილებით, უსიხარულო ცხოვრებით იტანჯება, წმინდა მამები უფლისადმი ღიღობის ხშირად აღვლენას ურჩევენ? აი, თქვი ხშირად: ღიღობა შენდა, ღმერთო! ღიღობა შენდა, ღმერთო, ღიღობა შენდა! – და იცხოვრებ, როგორც სამოთხეში. სწეულებებსა და მწუხ-

არებებს შორის იქნები, როგორც სამოთხეში. ისეთი განცდა გექნება სიხარულისა, რომ თავადაც ვერ შეძლებ გაგებას – საიდანაა იგი. ხოლო იგი იმისგან არის, რომ შენ ადიდებ ღმერთს ყველაფრისათვის.

აი, რას აძლევს ქმნილებას ღმერთის განდიდება. ის აძლევს გამოუთქმელ სიხარულს. მხიარულებას. სიცოცხლის სისავსეს. ხოლო, ღმერთის შეუქებლობა,

ქმნილებას აძლევს სევდას, ტანჯვას, დარდს, უსიხარულობას, სასოწარკვეთას...

ერწმუნე იმას, რასაც ახლა გეტყვი. ერთხელ, ერთიმეორის მიყოლებით აღმდგარი სამიწიანი განსაცდელის გამო, მწუხარებამ და სულმოკლეობამ დაძრია ხელი და ვუჩიოდი ღმერთს, რომ უსამართლობაა, ამდენ განსაცდელს რომ მიგზავნის და ოდნავადაც რომ არ აოკებს მათ, რათა სული მაინც მოვითქვა. და იმ სიმწარისას ხმა ჩამესმა, ძალიან ტკბილი და ძალიან წმინდა, უღრმესი თანაგრძნობით ალსავსე: „განა არ დაითმენ ამ ყველაფერს ჩემი სიყვარულისთვის?“ და ამ ხმის გაგონებისთანავე ისეთი ძლიერი ცრემლები წამსკდა და ვნაობდი სულმოკლეობას, რომელმაც ჩემში იმძღავრა. არასდროს მაგიწყდება ეს ხმა, ისეთი ტკბილი, რომ მყისვე გაქრა განსაცდელი და მთელი სულმოკლეობა.

ბერი იოსებ ისიქასტი

მარადყვავილოვანი ცხოვრება:

**ბერი იოსებ
ისიქასტი**



„ქართველები მაინც როგორი კულაბიკა ხალხი ვართ, ვიყიდით ხოლმე ძვირიან ტანისამოსს, ჩავიცვამთ და მოხდენილად დავდივართ ქუჩაში სხვის დასანახად, იმიტომ რომ, ხალხმა არ თქვას – „რა აცვია, როგორ უჭირს ალბათ საწყალსო“, ჩვენ ხომ გაჭირვება სირცხვილი გვკონია. კუჭი კი ამ დროს შიშლით გვაქვს ხოლმე გამხმარი.

შევიძენთ ლამაზყვდიან, სქელტანიან წიგნებს და გამოვტენით თაროებს, რომელიც გამოსაჩენ ადგილას გვაქვს ჩამოკიდული აუცილებლად, ასე იმიტომ ვიქცევით, რომ ხალხმა თქვას – „რა წიგნიერი ოჯახია, მისი სახლი ბიბლიოთეკა გვეგონებაო“, მათი წაკითხვა კი მფორესარისხოვანია, ამ წიგნებზე მერე ყდის სისქე მტვერი გროვდება.

დავდივართ ტაძრებში, ვინანიებთ





მამა
თეოდორე

ცოდვებს, ვაბარებთ აღსარებას. იმისთვის, რომ ხალხმა თქვას – ნახეთ, რა ეკლესიური და მორწმუნე ადამიანია, რწმუნის ფეხს არ დაადგამსო. ტაძრიდან გამოსულს კი თვალი იმ ლამაზი გოგოსკენ გაგვირბის, გულამოღებულ კაბაში მკერდი რომ ნახევრად უჩანს, არადა, ეს გოგო გუშინ, ტაძარში ღვთისმშობელივით სათნოდ გამოიყურებოდა შავ მანდილში.

გადავიხდით გრანდიოზულ ქორწილს, დავპატიჟებთ ყველას, ვისაც ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის, გავწვევთ დიდ ხარჯს, იმიტომ რომ ხალხმა თქვას – გაიგეთ, ხალხო, რამხელა ქორწილი გადაუხდია, საოცრება იყო, თაფლობის თვისთვის კი არაფერი გვრჩება.

სუფრასთან მანდილოსნების სადღეგრძელოს ლამაზი, თბილი, ომახიანი სიტყვებით ვამბობთ. იმიტომ, რომ ხალხმა თქვას – აი, დარბაისლობის მაგალითი, ეს ადამიანი ნამდვილი ჯენტლმენიაო, არადა ცოლებს ვაგინებთ, ხელს ვწვევთ მათზე და გვაიწვევდა რომ კაცები ვართ, ვაჟკაცები კი არა, არაკაცები ვართ.

თვეობით ვაგროვებთ ძვირიანი ტე-

ლეფონის შესაძენ ფულს, გადავიხდით ათას ლარს ან მეტს, იმისთვის, რომ თქვან – რა მაგარი ტელეფონი შეგიძენიაო, ამ დროს შეიძლება ტყავის საფულეში რკინის ლარიანი არ აღმოგვაჩნდეს.

სოფელში ცხოვრება და მიწაზე მუშაობა გვეთავილება, გავრბივართ ქალაქებში, ვიქირავებთ ბინას, ვმუშაობთ სამასლარიან სამსახურებში, სადაც მონური პირობებია, ჩანსა და ყავის სმით მოხარშულები ვართ, ასე იმიტომ ვიქცევით, ხალხმა რომ თქვას – ნახეთ, ქალაქში წასულა საცხოვრებლად, ქალაქური ცხოვრების ყაიდას მორგებიაო.

როცა ვინმე მოკვდება, გადაუხდით დიდ ქელესს, მის კუბოსთან ვიჭვითინებთ, მის მოსაგონარს ბოლომდე ჩავცლით, ავაგვებთ ლამაზ-ლამაზი ყვავილებით, გავუკეთებთ ულამაზეს საფლავს, ჩავეყვებით სამარეში ლამის, იმისთვის, რომ, ხალხმა თქვას – აი, ნახეთ, როგორ დააფასა მიცვალებული, ასეთი ღირსეული უნდა იყოსო“. დრო რომ გავა, იმ საფლავზე ხეები ამოვა, ბევრგან მინახავს.

ეკ, რამდენ რამეს ვკარგავთ ამ ცხოვრებაში კუდაბზიკობის გამო.

თავმდაბლობასა და უბრალოებას არაფერი სჯობს, არაფერი“.

მამა თეოდორე გიგნაძე

უსნოზი ქუთაისი:

სობორო, რომელიც დღევანდელ ცენტრალურ მოედანზე იდგა და სიდიდით თითქმის ბაგრატის ტაძარს უტოლდებოდა.

მისი მშენებლობა 1852 წელს, ცნობილი მხატვრის, გაგარინის პროექტით დაიწყო და 1871 წელს დასრულდა. ტაძარი იმერეთის ეპისკოპოსმა, გაბრიელ ქიქოძემ აკურთხა.

ტაძარში განისვენებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მებრძოლი სასულიერო იერარქი, ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონ გიორგაძე, მიტროპოლიტი ბესარიონ დადიანი.

დაანგრიეს სობორო კომუნისტებმა და კომკავშირელებმა 1923 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებაში ნათქვამი იყო: „დაირღვეს საკათედრო ტაძარი (სობორო), მასალა გამოყენებულ იქნას ძმათა სასაფლაოს შემოსაღობად, იმ ადგილას კი გაფართოვდეს მოედანი და ტაძრის ადგილას დაიდგას ამხანაგ ლენინის ძეგლი“.

სობოროს ნგრევაში მონაწილე ვინმე გვიშტიბელს, ქვის კეცის მთელს, რომელმაც ჯვრის ღეროს ნაწილი გადაჭრა, მთელი სხეული დაუწყლოვდა, მატლები დაესია და ასე საშინელი ტანჯვით აღესრულა. ამბობდნენ, ცოდვებმა უწიაო.

ქუთაისის სობოროს ნგრევის დროს ჭკუიდან გადამდგარი ერთი აქტივისტი გუმბათიდან გადმოვარდა და იქვე გარუტყვა სული.

ამირან-ლაზარე სინაურიძე

	სსამგვრდ	მიმდინარე რეგისტრაციის № 333
	შურნალ-გაზეთების სარედაქციო სამსახური	№
	მართალი რეგისტრაციის № 3	23. 10. 18 თარიღი
დასახელება:	შურნალი ქართული	
რეგენზენტი:	ლევანოვი ლევან აბოშვილი	


მეგზური სიკეთის სამყაროში



„პარიბჭის“ ბიბლიოთეკა მოზარდთათვის

წიგნი 9

„დედა ენა – სამი ანბანი“



25 ოქტომბრიდან

ჟურნალ

„პარიბჭესთან“ ერთად



შვილებთან ერთად წასაკითხი წიგნები – სიკეთის, კაცთმოყვარეობის, მიმტავებლობის მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან და რეალური ბიოგრაფიებიდან.




იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში,
ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673;
0(32)2382674 და www.elva.ge თქვენთვის სასურველ ადგილზე მოგართმევთ.

კლასიკოსები ბავშვებისთვის

ის, რასაც არ ელოდით!
უდიდესი მწერლების შედევრები ბავშვებისთვის
12 ავტორი - 12 წიგნი

ყდა: მაგარი, მოთქრული
ფორმატი: 27,5X21,5 სმ



ლევ ტოლსტოი, ვირჯინია ვულფი, ჯეკ ლონდონი,
უილიამ ფოლკნერი, ოსკარ უაილდი, ტოლკინი.....

19 ნოემბრიდან გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან შეიძინეთ ონლაინ www.biblushi.ge
და მიიღეთ თქვენთვის სასურველ ადგილზე.

